

# **ქანონისებრი და დელიქტური პაღდეგულეებე**

კრებულში გამოქვეყნებულა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანყვეტილებეები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2017, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2017, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №4

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2017, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

## 1.1 საზიარო უფლებები

### უფლება ნაყოფზე

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-603-578-2016

28 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქუჩი,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ხელშეშლის აღკვეთა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელების მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. გ. ვ-მა და ნ. ზ-მა (შემდგომში – მოსარჩელები, მოწინააღმდეგე მხარეები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. და ვ. თ-ების (შემდგომში – მოპასუხეები, აპელანტები, კასატორები) მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...ში არსებულ ეზოში მდებარე, მხარეთა თანასარგებლობაში არსებული ონკანის მკვებავი მილისა და საპირფარეშოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მოპასუხეებისათვის დავალდებულება (თვითნებურად ჩაჭრილი ონკანის მკვებავი მილის ჩაჭრის აღდგენა და აღდგენა და საპირფარეშოს გასუფთავება ქვიშა-ცემენტის ხსნარისაგან).

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეები არიან ე. ჟ-ა, ნ. თ-ე, გ. ვ-ი და ნ. ზ-ი. მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ ეზოში განთავსებულია საპირფარეშო და ონკანის მკვებავი მილი. საპირფარეშო ნ. თ-ის მეუღლემ, მოპასუხე ვ. თ-ემ, გახადა უმოქმედო – ჩაასხა ქვიშა-ცემენტის ხსნარი, ასევე, თვითნებურად გადაჭრა ონკანის მკვებავი მილი, რის შედეგა-

დაც შეუძლებელი გახდა თანამესაკუთრების მხრიდან სველი წერტილით სარგებლობა. მხარეთა შორის გართულებული ურთიერთობის გამო არაერთხელ იქნა გამოძახებული საპატრულო პოლიცია, ასევე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით მოპასუხეებმა არ ცნეს სარჩელი. შესაგებლის თანახმად, სადავო საპირფარეშო წარმოადგენს უკანონო ნაგებობას და აღრიცხულია უფლების დამდგენი დოკუმენტის გარეშე. იგი წარმოადგენდა დამხმარე ფართს სადაც ასევე განთავსებული იყო საქვაზე ნაგებობა, რომელიც თანამესაკუთრეთა შეთანხმებით უნდა დანგრეულიყო. სწორედ ამიტომ, არ დაკანონდა იგი. დღეისათვის საქვაზე უკვე დანგრეულია, გარდა ამისა, ყველა თანამესაკუთრეს გააჩნია ინდივიდუალური წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო ქსელი, შესაბამისად, ონკანმა, რომელიც 50-60 წლის წინ გაკეთდა და დამზადებული იყო რკინის მილებისაგან, დაკარგა ფუნქცია. მილის კოროზიულობის გამო ონკანი პრაქტიკულად დაიშალა და წყალი ჩაედინებოდა ავტოსადგომის საძირკველში, რასაც შედეგად შენობის ჯდენა მოჰყვა, მოსალოდნელია შენობის მეორე სართულზე ამავალი რკინის კიბის დაზიანებაც, რომელიც ავტოსადგომის კედელს ეყრდნობა. საგულისხმოა, რომ თანამესაკუთრეები თავს არიდებდნენ საერთო საკუთრების მოსაგლეჯად ხარჯის განევას. წყლის ონკანის არსებულ მდგომარეობაში აღდგენას შედეგად ავტოსადგომის ჩამონგრევა მოჰყვება, გარდა ამისა, გაურკვეველია, რა საფუძვლითაა აღძრული სარჩელი ნ. თ-ის მიმართ მაშინ, როდესაც მოსარჩელე სადავო ქმედების განხორციელებას უკავშირებს მხოლოდ ვ. თ-ეს.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს დაევალიათ ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...ში არსებულ ეზოში მდებარე საერთო სარგებლობის ონკანის მკვებავი მილისა და საპირფარეშოს აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში, კერძოდ, თვითნებურად ჩაჭრილი ონკანის მკვებავი მილის აღდგენა და საპირფარეშოს გასუფთავება ქვიშა-ცემენტის ხსნარისაგან.

## **4. აპელანტების მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე მონმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მათი გაუქ-

მება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი, ასევე, საქმის წარმოების შეჩერებასა და მოწმეთა დაკითხვაზე აურის თქმის შესახებ საოქმო განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე აურის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და ამ ნაწილზე ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლომ შეფასების საგანს წარმოადგენს ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან მოპასუხეებისათვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დავალდებულების კანონიერება. ამ თვალსაზრისით კასატორები პრეტენზიას გამოთქვამენ, როგორც პროცესუალური თვალსაზრისით მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არასწორად დადგენის, ისე – ერთ-ერთი თანამოპასუხისათვის ამ ვალდებულების არასწორად დაკისრების თაობაზე.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის შემდგომი ნაწილები გვთავაზობენ იმ გარემოებათა ჩამონათვალს, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, რომელთა შორისაა სამართლის ნორმის არასწორი გამოყენება და/ან არასწორი განმარტება, ასევე, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების საპროცესო ნორმათა დარღვევით დადგენა (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები). იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად დასაშვებია შედგება იქნა წარმოდგენილი კასატორთა მხრიდან, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დად-

გენილ, წინამდებარე დავის სწორად გადწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

1.2.1. ქალაქ თბილისში, ბ-ის ქ. №...ში (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.07.013.023) მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეებს წარმოადგენენ: გ. ვ-ი, ე. ჟ-ა, ნ. თ-ე და ნ. ზ-ი. საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია კონკრეტულად თუ რა ფართი გააჩნია თითოეულ მათგანს საკუთრებაში (მითითებულია სართული, განსაზღვრულია როგორც საერთო ფართი, ასევე ცალკეა გამოყოფილი სარდაფის, მანსარდის, ავტოფარეხის ფართი);

1.2.2. საერთო საკუთრების ეზოში მდებარე დამხმარე №3/1 ნაგებობა წარმოადგენს კანონიერ შენობა-ნაგებობას, იგი უძრავი ნივთის მესაკუთრეთა თანასაკუთრებაა, რამდენადაც მასზე, როგორც ინდივიდუალური საკუთრების საგანზე ან ცალკე უფლების ობიექტზე, კონკრეტული პირის სახელზე საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცულ საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილი, გენ.გეგმაზე დაფიქსირებული შენობა-ნაგებობა ლიტერი „გ“ და საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილი ლიტერი „ვ“ წარმოადგენს ერთსა და იმავე შენობა-ნაგებობას. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ გაცემული №ლ-382 ცნობა-დახასიათების მიხედვით, ლიტერი „გ“ დაფიქსირებულია, როგორც კანონიერი შენობა-ნაგებობა და გენ. გეგმაზე დატანილია (მოხაზულია) შავი კალმით;

1.2.3. თანამესაკუთრეთა შორის საზიარო უფლება გაუქმებული არ არის. სადავო საპირფარეშო და ონკანის მკვებავი მილი, რომელიც განთავსებულია მხარეთა კუთვნილ მინის ნაკვეთზე, წარმოადგენს მესაკუთრეთა (მხარეთა) საერთო სარგებლობის ნივთს;

1.2.4. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 11 ივლისის საინჟინრო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...ის ეზოში მდებარეობდა საპირფარეშო, რომელსაც დაკარგული აქვს ფუნქცია, რადგან მისი იატაკის დონე შევსებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. ეზოს შესასვლელში მდებარეობს წყლის ჭა, სადაც მოწყობილია წყლის მილები და ჩამკეტი ონკანები, ერთ-ერთი წყლის მილი გადაჭრილია და საპირფარეშოს გვერდით მდებარე ონკანი არ ფუნქციონირებს;

1.2.5. საპირფარეშოსა და ონკანის მკვებავი მილის გაუქმება ერთ-ერთი თანამესაკუთრის – ნ. თ-ის მეუღლის, ვ. თ-ის თვით-

ნებური მოქმედების შედეგია: მან გადაჭრა წყლის მკვებავი მილი და საერთო სარგებლობაში არსებული ტუალეტი ამოავსო ქვიშა-ცემენტის ხსნარით;

1.2.6. მოპასუხემ ვერ დაადასტურა ვ.თ-ის მიერ ზემოხსენებული მოქმედების თვითდახმარების ფარგლებში განხორციელება, კერძოდ ის, რომ გადაჭრისას ონკანის მილები კოროზიისაგან ისე იყო დაშლილი, რომ წყალი ჟონავდა პირდაპირ ავტოფარების საძირკველში, რამაც გამოიწვია შენობის ჯდენა. მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 26 აგვისტოს საინჟინრო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ავტოფარების შენობის არსებული დეფორმაციები და ბზარები გამოწვეულია ატმოსფერული ნალექებით და წყალ-კანალიზაციის სისტემის გაუმართაობით, საძირკვლის ფუძის დასველების გამო, შენობის საძირკვლების არათანაბარი ჯდენითი დეფორმაციების განვითარებით. ავტოფარების შენობის ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია. ავტოფარების შემდგომი ნორმალური ფუნქციონირებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, ატმოსფერული ნალექების ორგანიზებული გადაყვანის სისტემისა და შემონაკირწყლის მოწყობა, წყალ-კანალიზაციის სისტემის სრული რეაბილიტაცია, რის შედეგადაც ატმოსფერული ნალექები მოსცილდება შენობას. ამ ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, შენობის გაძლიერებისათვის საჭიროა მისი ტექნიკური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შენობის გამაგრება სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად მიჩნეულ ზემოაღნიშნულ გარემოებებს საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია, რამდენადაც კასატორებს ამ გარემოებათა თაობაზე დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენიათ.

1.4. ვიდრე საკასაციო პრეტენზიათა დეტალურ ანალიზს შეუდგებოდეთ, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ყურადღება გაამახვილოს განსახილველი დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველზე. მოკლედ თუ შევაჯამებთ, სარჩელით მოთხოვნილია თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ამასთანავე, უდავოა, რომ სახეზე გვაქვს საზიარო საგანი, შესაბამისად, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორ-

მეზიცი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისა (სა-ზიარო უფლებები) და საკუთრების უფლების მარეგულირებელ დანაწესებში (სანივთო სამართალი) უნდა ვეძიოთ.

1.4.1. სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. თანასაკუთრების წარმოშობის მსგავს დანაწესს შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლიც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო. ამავე მუხლით მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორცაა საერთო საკუთრების დაცვა, მისი უფლებრივი დატვირთვა, მოვლა და შენახვა, საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო საკუთრების რეჟიმზე ვრცელდება მესაკუთრის ისეთივე გარანტიები, როგორც ეს დამახასიათებელია ინდივიდუალური საკუთრებისათვის, მათ შორის ძირითადი განსხვავება არის ის, რომ საერთო საკუთრების შემთხვევაში, მესაკუთრე უფრო მეტად არის შეზღუდული კანონით, ვიდრე ინდივიდუალური საკუთრების შემთხვევაში (მაგ: სკ-ის 173.1. მუხლი, რომლის თანახმადაც, ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ, ასევე, 959-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, თითოეულ მონილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად). მესაკუთრის/თანამესაკუთრის უფლებათა გენერალურ დათქმას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ამავე კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია ქცევის შემდეგი წესი: თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხო-



ვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

1.5. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორთა შედავებას იმის თაობაზე, რომ საზიარო საგნის წინა თანამესაკუთრები შეთანხმებული იყვნენ სადავო საპირფარეშოს დემონტაჟზე. ამ თვალსაზრისით მხარეები აპელირებენ თანასაკუთრებაში არსებულ ეზოში მდებარე სხვადასხვა ნაგებობების ლეგალიზაციის ფაქტზე, რა დროსაც არ განხორციელდა საპირფარეშოს დაკანონება. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული არ შეიძლება საერთო საკუთრებით სარგებლობის წესზე თანამესაკუთრეთა შეთანხმებად იქნას მიჩნეული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, როგორც სარჩელის დაკმაყოფილების შემაფერხებელ გარემოებაზე მიმთითებელ მხარეს, ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელსაც სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია განკუთვნილი მტკიცებულებები. ასეთად ვერ იქნება მიჩნეული კასატორის შედავება მოწმედ ქონების წინა თანამესაკუთრის დაკითხვაზე სასამართლოს მხრიდან უარის არასწორად თქმის შესახებ. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს იმ შუალედური განჩინებების კანონიერების საკითხი, რომლებიც დამოუკიდებელ გასაჩივრებას არ ექვემდებარება (მათ შორის მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ განჩინება), თუმცა, შემომწმების ფაქტობრივ საფუძველს ადგენს ამავე ნორმის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო ამომწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საჩივრის შესწავლით პალატა მიდის იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად მოთხოვნისა, კასატორებს მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული შედავება არ წარმოუდგენიათ.

1.6. პალატა არ იზიარებს კასატორთა პოზიციას ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან სადავო ნაგებობის (საპირფარეშოს) კანონიერების არასწორად შეფასების თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხზე:

1.6.1. როგორც ზემოთ აღინიშნა, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილი-

სის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცულ საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილი, გენ.გეგმაზე დაფიქსირებული შენობა-ნაგებობა ლიტერი „გ“ და საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილი ლიტერი „ვ“ წარმოადგენს ერთსა და იმავე ნაგებობას. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ გაცემული №ლ-382 ცნობა-დახასიათების მიხედვით, ლიტერი „გ“ დაფიქსირებულია როგორც კანონიერი შენობა-ნაგებობა და გენ. გეგმაზე დატანილია (მოხაზულია) შავი კალმით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 02.09.2014 წლის №... და 12.02.2015წ. №... წერილებით დასტურდება, რომ ბ-ის ქუჩა №...ში მდებარე უძრავ ნივთზე – 18.05.2009 წელს ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ მომზადებულ საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილი ლიტ. „ვ“ შეესაბამება სამსახურის მიერ 07.03.2011 წელს მომზადებულ საკადასტრო გეგმაზე დატანილ შენობა-ნაგებობა №3/1-ს. აღნიშნულის საპირისპიროდ, კასატორები შემოიფარგლებიან სასამართლო დასკვნების ზოგადი კრიტიკით და აბსტრაქტული პრეტენზიით ამ დასკვნების საპირისპირო მტკიცებულებების საქმის მასალებში არსებობის, ასევე, მოსარჩელის მიერ მტკიცებულების (საჯარო რეესტრის ამონაწერის) გაყალბების ფაქტზე, რაც, პალატის შეფასებით, დასაბუთებულ შედავებას არ წარმოადგენს.

1.6.2. აქვე პალატა არ ეთანხმება მხარეთა პოზიციას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის არასწორად თქმის შესახებ. კასატორები შუამდგომლობას ასაბუთებდნენ იმით, რომ მათ წარადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე. თავის მხრივ, აღძრული სარჩელი შეეხებოდა ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დადგენილებებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. ადმინისტრაციული წარმოების საგანს კი, წარმოადგენდა სადავო შენობა-ნაგებობის კანონიერება. თუკი დადგინდება, რომ საპირფარეშო უკანონო ნაგებობაა, მაშინ იგი დემონტაჟს დაექვემდებარება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ადგენს საქმის წარმოების შეჩერების წინაპირობებს, რომლებიც შეიძლება პირობითად დავყოთ ორ სახეობად. ერთ შემთხვევაში, კანონით იმპერატიულადაა განსაზღვრული სასამართლოს ვალდებულება, შეაჩეროს საქმის განხილვა (სსსკ-ის 279-ე მუხლი), ხოლო, მეორე შემთხვევაში – იმის მიხედვით, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქმის წარმოების შეჩერება, ამ საკითხს წყვეტს სასამართლო (სსსკ-

ის 280-ე მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, კასატორები მიიჩნევენ, რომ არსებობდა საქმის წარმოების შეჩერების აუცილებლობა მანამ, ვიდრე ადმინისტრაციულ საქმეზე სასამართლო არ მიიღებდა გადაწყვეტილებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. განსახილველი დავის საგნის გათვალისწინებით (ხელშეშლის აღკვეთა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა) საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ დასტურდება ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე წინამდებარე სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის შეუძლებლობის ფაქტი, რაც ამ ნაწილში საკასაციო პრეტენზიის გაზიარებაზე უარის თქმის წინაპირობაა.

1.7. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თანამესაკუთრეებს შორის უძრავი ქონებით სარგებლობის წესზე რაიმე შეთანხმების არსებობა საქმის მასალებით დადასტურებული არ არის, პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თითოეულ მონილეს უფლება აქვს, ისარგებლოს საზიარო საგნით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს დანარჩენ მონილეთა სარგებლობას. მოხმობილი ნორმის, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში, ვინაიდან მოპასუხე მხარემ საზიარო საგნის სარგებლობით მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი ვერ დაადასტურა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.2.6. პუნქტი), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა ხელმყოფის – ვ. თ-ის მიმართ წარდგენილი პრეტენზიის ნაწილში საფუძვლიანია, რის გამოც არსებობს ამ ნაწილში გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

1.8. რაც შეეხება ნ. თ-ისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებას, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს საკასაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებას და ყურადღებას გამამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მხარე თავადვე ადასტურებდა ონკანის მკვებავი მილის ჩაჭრასა და საპირფარეოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით ვ. თ-ის მიერ ამოვსების ფაქტს (იხ. სარჩელი), თავის მხრივ, ეს გარემოება დადგენილია სააპელაციო პალატის მხრიდან (იხ. სამოტივაციო ნაწილი 1.2.5. პუნქტი), რომლის თაობაზე შედავებას საკასაციო საჩივარი არ

შეიცავს. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.4.1. პუნქტში მოხმობილი ნორმების დისპოზიციიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თანასაკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის, ასევე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე წარდგენილ პრეტენზიაზე პასუხისმგებელი შეიძლება იყოს მხოლოდ უშუალოდ ხელმყოფი, ანუ პირი, რომლის ქმედების უშუალო შედეგსაც წარმოადგენს მესაკუთრის გარანტირებული უფლების ხელყოფა.

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც მტკიცებულებათა შეფასების, ასევე, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამატებით დადგენისა თუ საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების სხვა წინაპირობები არ იკვეთება, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა. წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვიითარებული მსჯელობიდან გამომდინარე კი, სასამართლო მივიღა დასკვნამდე, რომ არსებობს ნ. თ-ის პრეტენზიის ნაწილში საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

2.1. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრით სადავოდა გამხდარი, მოსარჩელეთა მიერ, როგორც მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ისე – სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის დახმარების გამო განეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრების კანონიერება. საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო შედავებას იმის თაობაზე, რომ ანაზღაურებას არ ექვემდებარება იმ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად განეული ხარჯი, რომელთაც არ ემყარება მიღებული გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს პროცესის ხარჯების ცნებას და 37-ე მუხლით ადგენს, რომ იგი სასამართლო და სასამართლოს გარეშე ხარჯებისაგან შედგება, თავის მხრივ, სასამართლო ხარჯად განიხილება სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები: მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები; თარჯიმნად მოწვეული პირებისათვის მისაცემი თანხები; ადგილობრივ დათვალიერებებზე განეული ხარჯები; სასამართლოს დავალებით ფაქტების კონ-

სტატაციაზე განეული ხარჯები; მოპასუხის მოძებნის ხარჯები; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები; ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები; სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები (სსსკ-ის 44-ე მუხლი), ხოლო, სასამართლოს გარეშე ხარჯებს კი, წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება, რაც პირდაპირ ვალდებულებას წარმოუშობს მხარეს, მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცების მიზნით, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები (სსსკ-ის მე-4 და 83-ე მუხლები), რაც შესაბამისი ხარჯის განევასთანაა დაკავშირებული. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია სასამართლოსგარეშე ხარჯების მოსარჩელების მიერ განევის ფაქტი, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დასაშვებადაა მიჩნეული სასამართლოს მხრიდან, შესაბამისად, დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების მოპოვებისათვის მხარის მიერ განეული დანახარჯები არ შეიძლება არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას მხოლოდ იმ დასაბუთებით, რომ ეს მტკიცებულებები სასამართლოს მიერ სახელდებით არ არის გადმოცემული გადაწყვეტილებაში.

2.2. მნიშვნელოვანია, ვიმსჯელოთ ამ ხარჯების განაწილების საკითხზეც: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით მოწესრიგებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების მხარეთა შორის განაწილების წესი და ნორმით დადგენილია, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს და-

ვის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. საპროცესო ხარჯების თაობაზე საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ, როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს-გარეშე ხარჯებთან. ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დამარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. სასამართლოს შეხედულებით, ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (იხ. სუსგ-ებები: №ას-792-1114-07, 11 თებერვალი, 2008 წელი, №ას-330-315-2015, 29 ივნისი, 2015 წელი).

2.3. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული მართლწესრიგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ წაგებულ მხარეს – ვ. თ-ეს, მოსარჩელების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 120 ლარის, აღსრულების ეროვნული ბიუროს მი-

ერ ფაქტების კონსტანტაციისათვის განეული – 100 ლარის, ექსპერტიზის საფასურის – 200 ლარისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან დოკუმენტაციის გამოთხოვის გამო განეული ხარჯის – 50 ლარის გადახდა (ამ ხარჯების განევა დადასტურებულია საქმეში არსებული შესაბამისი დოკუმენტებით), რაც შეეხება იურიდიული მომსახურების გამო განეულ ხარჯს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არ არსებობს ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობის სრულად გაზიარების წინაპირობა, კერძოდ, მართალია, საქმის მასალებით დასტურდება გ. ვ-ის მიერ იურიდიული მომსახურების გამო, ადვოკატისათვის 600 ლარის გადახდის ფაქტი, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. სამოტივაციო ნაწილის 2.2. პუნქტი), იგი კანონმდებლის მიერ დადგენილი პროცენტული ცენზის შესაბამისად განისაზღვრება. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ დავის საგანი ხელშეშლის აღკვეთა და პირვანდელი მდგომაროების აღდგენაა, შესაბამისად, პროცესუალური თვალსაზრისით სარჩელის ფასი 4 000 ლარს შეადგენს (სსსკ-ის 41.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი), ამ თანხის 4% კი – 160 ლარია.

2.4. საქმეში წარმოდგენილი ქვითრების საფუძველზე, პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ნ. თ-ის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო სახელმწიფო ბაჟის – 160 და 300 ლარის გადახდას, რომლის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ანაზღაურებაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროთ კასატორის მოწინააღმდეგე მხარეებს. რაც შეეხება ვ. თ-ის, იგი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯს გაიღებს სასამართლო.

### **3. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

3.1. სასამართლოს დაზუსტებული საკასაციო საჩივრით მართეს კასატორებმა, რომელსაც დაურთეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი 2 (ორ) ფურცლად.

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითი-

თებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს წარმოდგენილი მტკიცებულების საქმისათვის დართვის წინაპირობები, შესაბამისად, იგი უნდა დაუბრუნდეს წარმომდგენს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 404-ე, 407-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ვ. და ნ. თ-ეების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინება რომლითაც უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება ნ. თ-ის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების, ასევე, ნ. და ვ. თ-ეებისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. გ. ვ-ისა და ნ. ზ-ის სარჩელი ნ. თ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდეს.

4. ვ. თ-ეს (პ/№ ...) გ. ვ-ისა (პ/№...) და ნ. ზ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 120 ლარის, ადვოკატის მომსახურების – 160 ლარის, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ფაქტების კონსტანტაციისათვის განუული – 100 ლარის, ექსპერტიზის საფასურის – 200 ლარისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან დოკუმენტაციის გამოთხოვის გამო განუული ხარჯის – 50 ლარის გადახდა.

5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უც-



ვლელად.

6. კასატორების შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერებასა და მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

7. გ. ვ-სა (პ/№...) და ნ. ზ-ს (პ/№...) ნ. თ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 460 (160+300) ლარის ანაზღაურება.

8. ვ. თ-ე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

9. კასატორებს დაუბრუნდეთ დაზუსტებულ საკასაციო საჩივარზე დართული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 7 დეკემბრის წერილი 2 (ორი) ფურცლად.

10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

### **განჩინება**

№ას-41-41-2016

4 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება, კუთვნილი რეალური წილის გამოყოფა, საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ი. ჩ-სა (შემდეგში: მოსარჩელე ან კასატორი) და ნ. მ-ს (შემდეგში: მოპასუხე ან აპელანტი) თანასაკუთრებაში გააჩნიათ ქ. ქუთაისში, ლ.....ის ქუჩა №.....ში მდებარე უძრავი ქონება (შემდეგში: საზიარო საგანი ან უძრავი ქონება). მოსარჩელის საცხოვრებელი ფართია 50.34 კვმ, ხოლო მოპასუხის – 74.94 კვმ, მხარეების თანასაკუთრებაშია, აგრეთვე არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართო-

ბით: 586.40 კვმ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 953-ე, 95-ე მუხლები; იხ. ამონაწერი საჯარო რეეტრიდან).

2. 1930 წლის 26 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდეგში: ხელშეკრულებით), რომელიც ოფიციალური საარქივო დოკუმენტია და დამონმებულია უფლებამოსილი პირების მიერ, დადგენილია საზიარო საგნის მართვის წესი იმგვარად, რომ თითოეულ თანამესაკუთრეს სარგებლობაში ჰქონდეს თავისი სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთი (სსკ-ის 954-ე, 957-ე მუხლები). ამავე ნასყიდობის ხელშეკრულებაში ასახულია, რომ თავდაპირველმა მესაკუთრემ – კ. ხ-ემ გაასხვისა სახლის ერთი ნაწილი ი. ფ-ეზე (ამ უკანასკნელის შემდგომი მესაკუთრეა მოპასუხე) და მისასვლელად დაუტოვა საურმე გზის უფლება, ხოლო დარჩენილ მეორე ნაწილში დარჩა თავდაპირველი მესაკუთრე (რომლის ამჟამინდელი მესაკუთრეა მოსარჩელე), რომელმაც დაიტოვა მყიდველის საკუთრებაში მოქცეულ ჭაზე მიმოსვლის უფლება.

3. ხელშეკრულებიდანვე დგინდება, რომ უძრავი ნივთი ფაქტიურად 1930 წლიდან არის გაყოფილი და მესაკუთრეები სარგებლობენ მხოლოდ მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ეზოთი, სადავო მიწის ნაკვეთს ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომ არ ესაზღვრება მოსარჩელის სახლს, სახლის კუთხიდან, უკანა ეზო, რკინის ქიშკრითაც იყო გამოყოფილი წლების განმავლობაში, მხარეებს შორის აღმართული იყო საზღვრე მიჯნა.

4. მოსარჩელემ 2014 წლის 14 ივლისს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება და შპს „ი-ის“ მიერ შედგენილი №3 ნახაზის შესაბამისად კუთვნილი მიწის ნაკვეთის (რეალური წილის) 141.25 კვ.მ-ის გამოყოფა ან ნაკვეთის გამოყოფა სამხარაულის ექსპერტიზის №001184515 დასკვნის მიხედვით; მოსარჩელემ, ასევე, მოითხოვა, მისი კუთვნილი უძრავი ქონებით ფლობისა და სარგებლობის უფლება აკრძალვოდა და კანონიერ მესაკუთრეს გადასცემოდა მფლობელობასა და სარგებლობაში (სსკ-ის 963-ე, 172.2 მუხლები).

5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სადავო უძრავი ქონების – საცხოვრებელი სახლის უკანა თავისუფალი მიწის ნაკვეთი ნატურით გაიყო მხარეთა საცხოვრებელი ფართის პროპორციულად და, გასაყოფი ფართიდან (233.3 კვ.მ), მოსარჩელეს, საინჟინრო

ექსპერტიზის №006706114 დასკვნის შესაბამისად, გამოეყო 93.74 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო მოპასუხეს – 139.56 კვმ მიწის ნაკვეთი. დანარჩენი 353.1 კვ.მ დარჩა მხარეთა საერთო საკუთრებაში. მოპასუხეს აეკრძალა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლება. დავის მოსაწესრიგებლად საქალაქო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 170-ე, 172-ე, 173-ე, 953-ე, 954-ე, 961-ე, 963-ე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, (შემდეგში: სსსკ-ის) მე-4, 102-ე, 103-ე მუხლები.

6. საქალაქო სასამართლომ, იმსჯელა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, კერძოდ, შესაძლებელი იყო თუ არა საზიარო უფლებების გაუქმება და თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის რეალური გაყოფა მხარეებს შორის. ამ მიზნით, სასამართლო განიხილებით ჩატარებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2014 წლის 8 დეკემბრის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნით (შემდეგში: საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა) დადგენილია: 1) უძრავი ქონებიდან, სახლის უკანა თავისუფალი მიწის ნაკვეთის მხარეების საცხოვრებელი ფართის პროპორციულად ნატურით გამოყოფა შესაკუთრეთა საკუთრებაში დარჩენილი მიწის ღირებულების ცვლილების გარეშე ტექნიკურად შეუძლებელია; 2) მიწის ნაკვეთის მხარეების საცხოვრებელი ფართის პროპორციულად ნატურით გამოყოფა ისე, რომ გათვალისწინებული იქნას დანიშნულებისამებრ გამოყენება და სერვიტუტით არ მოხდეს რომელიმე საკუთრების დატვირთვა, ტექნიკურად შესაძლებელია. შესაბამისი აზომვითი ნახაზი და დაყოფის შესაძლო ვარიანტი მოცემულია №1 დანართში; 3) ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ გამოსაკვლევი ობიექტი წარმოადგენს მიწის ნაკვეთს, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები. საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე ნაგებობის დასავლეთ მხარეს მდებარეობს მიწის ნაკვეთის განაშენიანებისაგან თავისუფალი ფართი; 4) მიწის ღირებულების ცვლილების გარეშე, ნაკვეთის თავისუფალი ფართის გაყოფა შეუძლებელია. რაც შეეხება დანიშნულებისამებრ გამოყენებას და სერვიტუტით საკუთრების დატვირთვის შეუძლებლობას, აღნიშნულისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტი – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დად-

გენილების და სამშენებლო ნორმების მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც, ნაკვეთთან მისასვლელის მინიმალური სიგანე უნდა იყოს 3.0 მ. და ლიობის მქონე კედლის დაშორება სასაზღვრო ზოლიდან უნდა იყოს მინიმუმ 3.0 მ. საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე დამხმარე ნაგებობას გააჩნია ლიობი ჩრდილოეთ კედელში. შესაბამისად, სასაზღვრო ხაზის გატარება 3.0 მ-ზე ახლოს არღვევს დადგენილ წესს; 5) აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაკვეთის თავისუფალი მინიდან მხარეებს შორის გაყოფას ექვემდებარება 233,3 კვ.მ. ფართი. დანარჩენი 353.1 კვ.მ უნდა დარჩეს საერთო საკუთრებაში. თანამესაკუთრეთა წილი, მათი საცხოვრებელი ფართების მიხედვით, შეადგენს: მოსარჩელის – 40,18%, მოპასუხის – 59,82%; წილების შესაბამისად გასაყოფი ფართიდან მოსარჩელის წილი შეადგენს 93,74 კვმ-ს, ხოლო მოპასუხის – 139,56 კვმ-ს; აღნიშნულის გათვალისწინებით №1 დანართში მოცემულია მიწის თავისუფალი ფართის მხარეებს შორის გაყოფის შესაძლო ვარიანტი.

7. სასამართლომ აღნიშნა, რომ თანასაკუთრების გაყოფის სხვა ალტერნატიული ვარიანტების დადგენის მიზნით, მხარეებმა ჩაატარეს საინჟინრო ექსპერტიზები, რომელთა თანახმად, ასევე დადგენილია, რომ მიწის თავისუფალი ფართის გაყოფა მხარეთა შორის დასაშვებია, ანუ შესაძლებელია საზიარო უფლებების გაუქმება მიწის თავისუფალ ნაკვეთზე;

8. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ – გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

9. მოსარჩელის სააპელაციო პრეტენზიით, სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები ობიექტურად და სრულად, არ იმსჯელა საზიარო თავისუფალი მიწის ნაკვეთის ნატურით გამოყოფისას, სხვა საექსპერტო დასკვნებით დადგენილ გაყოფის სავარაუდო ვარიანტებზე და მხოლოდ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის მიერ შეთავაზებულ გაყოფის ვერსიას მიანიჭა უპირატესობა ისე, რომ იმავე ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე, უძრავი ქონების გაყოფის სხვა ვარიანტების შესახებ, არ უმსჯელია. დაუსაბუთებელია, თუ რატომ გაიზიარა სასამართლომ ერთი და იგივე ექსპერტის რამდენიმე დასკვნიდან მხოლოდ ერთი. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. ასევე არასწორად განმარტა საქ-

მის გარემოებები.

10. მოპასუხის სააპელაციო საჩივრით:

10.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ საზიარო საგნის მართვის წესი ფაქტიურად განსაზღვრულია. საქმეში არსებული 1930 წლის 26 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით დგინდება, რომ საზიარო საგნის მართვის წესი დადგენილია იმგვარად, რომ თითოეული თანამესაკუთრეს სარგებლობაში ჰქონდეს თავისი სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთი. მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ეს დოკუმენტი და არც მასში მოყვანილი საზიარო უფლების განკარგვის წესი. სადავო ნაკვეთის მოპასუხის მიერ ფლობის დამადასტურებელია შესაგებელთან ერთად წარდგენილი საკადასტრო გეგმა ნახაზი, სადაც აღნიშნულია სასაზღვრე მიჯნა და რკინის ჭიშკარი თანამესაკუთრეთა ფაქტობრივ მფლობელობებს შორის. მოსარჩელეს არც ეს დოკუმენტი გაუხდია სადავოდ;

10.2. ექსპერტმა შეგნებულად უგულებელყო სასამართლო ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხი და შეკითხვაზე თუ რატომ არ იქნა წარდგენილი გაყოფის ალტერნატიული ვარიანტი, ან მისივე მითითებული სამშენებლო ნორმები დაცული, ბუნდოვნად განმარტა, რომ ის საინჟინრო ტექნიკური ექსპერტია და არა იურისტი, შესაბამისად, ქონების გაყოფის ნახაზების შექმნისას, სამოქალაქო კანონმდებლობით არ უსარგებლია და არც ნატურით გამოყოფასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საფუძვლებს არ იცნობს. მოპასუხეს მიაჩნია, რომ სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ექსპერტის აღნიშნული დასკვნა;

10.3. სასამართლომ არ შეაფასა მოპასუხის შესაგებელი და მასზე თანდართული დოკუმენტური მასალა. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა ურთიერთგამომრიცხავია. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სახლის თანამესაკუთრეები სარგებლობაში არსებულ მიწებს შეთანხმების საფუძველზე ღობით მიჯნავენ ან სხვა სახის მყარი ნაგებობით, ან ისინი წლების განმავლობაში სარგებლობენ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის ნაწილით. ასეთ შემთხვევაში, წილთა თანაბრობის წესი ნატურით გაყოფისას ვერ იქნება გამოყენებული, რადგან უკვე დადგენილია საზიარო საგნის მართვის წესი, იმ ფორმით, როგორც წლების წინ ფაქტიურადაა გაყოფილი ეს თანასაკუთრება;

10.4. გაყოფა შეუძლებელია, რადგან მოპასუხის ნაკვეთს არ გააჩნია დამოუკიდებელი საკომუნიკაციო მისასვლელი, რაც აუცილებლობას წარმოადგენს თითოეული ნაკვეთისათვის. თუმცა ექსპერტის მიერ გამოყოფილ ნაკვეთებსაც არა აქვს გათვალისწინებული დამოუკიდებელი მისასვლელი საერთო გზიდან და

არც მიმდებარე ნაკვეთის დატვირთვაა გათვალისწინებული აუცილებელი მისასვლელი გზის პირობით. ეს ფაქტი სასამართლომ არ შეაფასა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია მოსარჩელის საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთის ნაწილზე და ხელშეშლის აღკვეთა მომავალში არსებულ ქონებაზე, რაც იურიდიულად დაუსაბუთებელია.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მოსარჩელის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია 1930 წლის 26 მარტის ხელშეკრულება და არც მასში მოყვანილი საზიარო უფლების განკარგვის წესი. მხარეები არ დავობენ იმ გარემოებაზე, რომ უძრავ ნივთზე გააჩნიათ საზიარო უფლება. მოსარჩელე ფლობს მხოლოდ მისი სახლის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, ხოლო მოპასუხე, მისივე წინამორბედის მსგავსად, თავისი სახლის შენობა-ნაგებობის მიმდებარე მიწის ნაკვეთს. ეს გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრში დატული საკადასტრო გეგმა-ნახაზითაც, რომელზეც აღნიშნულია სასაზღვრე მიჯნა და რკინის ჭიშკარი თანამესაკუთრეთა ფაქტობრივ მფლობელობებს შორის.

13. სასამართლომ, სსკ-ის 958-ე მუხლზე დაყრდნობით /თუ მოწილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ ეს წესი გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც/ განმარტა, რომ საზიარო უფლება შესაძლებელია გადავიდეს სხვა პირზე, მაგალითად მემკვიდრეზე, წილის შემქენზე და სხვა. ასეთ შემთხვევაში უფლებამონაცვლის მიმართაც გამოიყენება საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, რომელიც მოწილეებმა განსაზღვრეს. სსკ-ის 954-ე მუხლის დანაწესის /თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი/ საფუძველზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ წილების განაწილების თანაბრობის პრინციპი არ არსებობს მაშინ, თუ დადგენილია წილის კუთვნილების სპეციალური წესი, რაც შეიძლება განსაზღვრული იყოს კანონით ან მხარეთა (ან მათი წინამორბედი მესაკუთრეების) შორის დადებული ხელშეკრულებით. ამ შემთხვევაში ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული 1930 წლის 26 მარტის ხელ-

შეკრულება.

14. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ სახლი შეიძინა მხარეთა შორის არსებული საზიარო ღობით, ანუ დღევანდელი მდგომარეობით, საზიარო საგნის მართვის და სარგებლობის წესი უკვე განსაზღვრული იყო მისი წინამორბედის მიერ სახლის ყიდვამდე (1930 წლიდან), შესაბამისად, არ არსებობდა საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის ფაქტი მოპასუხის მხრიდან.

15. სასამართლომ დაასკვნა, როდესაც სახლის თანამესაკუთრები, სარგებლობაში არსებულ მიწებს, შეთანხმების საფუძველზე, ღობით ან სხვა სახის მყარი ნაგებობით მიჯნავენ, ან ისინი წლების განმავლობაში სარგებლობენ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის ნაწილით, ასეთ შემთხვევაში წილთა თანაბრობის წესი, ნატურით გაყოფისას, ვერ იქნება გამოყენებული, რადგან უკვე დადგენილია საზიარო საგნის მართვის წესი.

16. სასამართლომ იმსჯელა, რომ წლების წინ ფაქტიურად გაყოფილი სახით თანასაკუთრების გაყოფა შეუძლებელია, რადგან მოპასუხის ნაკვეთს არ გააჩნია დამოუკიდებელი საკომუნიკაციო მისასვლელი, რაც აუცილებლობას წარმოადგენს თითოეული ნაკვეთისათვის, თუმცა, ექსპერტის მიერ გამოყოფილ ნაკვეთებსაც არა აქვს გათვალისწინებული დამოუკიდებელი მისასვლელი საერთო გზიდან და არც მიმდებარე ნაკვეთის დატვირთვაა გათვალისწინებული აუცილებელი მისასვლელი გზის პირობით.

17. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება ითხოვა.

18. კასატორის პრეტენზიით, სასამართლომ არ გაიზიარა საქმეში არსებული ოთხი საექსპერტო დასკვნა. გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ მოდავე მხარეთა წინამორბედ მესაკუთრეებს შორის 1930 წლის 26 მარტს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რაც არ შეესაბამება რეალობას. მოსარჩელის წინამორბედმა მესაკუთრემ, მოპასუხის წინა მესაკუთრეს მიჰყიდა მხოლოდ მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლი და ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიჰყიდა ეზოსთან ერთად, ვინაიდან იმ პერიოდში მიწა სახელმწიფო საკუთრება იყო, ამიტომ ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია მსჯელობა მხოლოდ სარგებლობაში დათმობის თაობაზე. აღნიშნული პირობა მოქმედებდა მხოლოდ წინა მესაკუთრეთა სიცოცხლეში, ხოლო შემდეგ, აღნიშნული გამიჯვნის წესი აღარ მოქმედებდა. ორ ოჯახს განაწილებული ჰქონდა სახლის უკან მდებარე ნაკვეთი, სადაც მოსარჩელის ოჯახს მოპ-

ყავდა სხვადასხვა ბოსტნეული და მწვანილი, დარგული ჰქონდა მრავალწლიანი ნარგავები, ვიდრე აღნიშნული ქონება 2011 წელს არ შეიძინა მოპასუხემ, რომელმაც აღარ მისცა მას ამ ფართით სარგებლობის უფლება. მოპასუხემ იმავე წელს დაჭრა მოსარჩელის მიერ დარგული მრავალწლიანი ნარგავები, შეენინა აღმდეგა ბოსტნეულისა და მწვანილის დათესვა-მოყვანაში, მოლაპარაკების არაერთი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

19. კასატორი აკრიტიკებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია 1930 წლის საზიარო უფლების განკარგვის წესი, რაც არასწორია. მოსარჩელე პირველი ჯგუფის ინვალიდია, გადაადგილება შეზღუდული აქვს, რის გამოც, ვერ ესწრებოდა სასამართლო სხდომებს, ხოლო მისი წარმომადგენელი არ იყო სრულყოფილად ინფორმირებული; მოსარჩელემ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო მონაშენი წარდგენა. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, მტკიცებულებები შეაფასა შინაგანი რწმენით, რაც არ ემყარებოდა მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც გამოიტანდა ობიექტურ დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 25 იანვრის განჩინებით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო დასაშვებობის შესამოწმებლად, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო იმავე წლის 13 აპრილის განჩინებით დასაშვებად ცნო დასახელებული მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

21. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.



22. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მითითებული მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

23. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

24. საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ კასატორს ასეთი პრეტენზია არა აქვს წამოყენებული.

25. განსახილველი დავის საგანია თანასაკუთრებაში არსებული ეზოს უკანა მხარეს არსებული 586.40 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყოფა და ამ ნაკვეთით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი). დადგენილია, რომ მოსარჩელე და მოპასუხე უძრავი ქონების თანამესაკუთრები არიან და მათ წინამორბედ მესაკუთრეთა შორის 1930 წლის 26 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით, განისაზღვრა მიწის ნაკვეთის მართვისა და სარგებლობის წესი მხარეთა შორის (იხ. ამ განჩინების 1-3 პუნქტები).

26. საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და საცხოვრებელი სახლის უკანა თავისუფალი მიწის ნაკვეთი ნატურით გაყოფა მხარეთა საცხოვრებელი ფართის პროპორციულად (იხ. ამ განჩინების მე-5 პუნქტი). საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით, სააპელაციო სასამართლომ, სარჩელის უარყოფის საფუძველად მიუთითა, რომ მხარეებს შორის 1930 წლიდან დადგენილი იყო საზიარო საგნის მართვის წესი, რის გამოც, ნატურით გაყოფისას წილთა გათანაბრება ვერ მოხდებოდა. ფაქტობრივი ფლობის გათვალისწინებით კი, სადავო ნაკვეთი ვერ გაიყოფოდა, რადგან მოპასუხის ნაკვეთს არ გააჩნია თითოეული ნაკვეთისათვის აუცილებელი დამოუკიდებელი საკომუნიკაციო მისასვლელი. ექსპერტის მიერ გაყოფილი ნაკვეთებისთვისაც არ არის გათვალისწინებული დამოუკიდებელი მისასვლელი საერთო გზიდან და არც მიმდებარე ნაკვეთის დატვირთვაა გათვალისწინებული აუცილებელი მისასვლელი გზის პირობით. (იხ. წინამდებარე განჩინების 15-

16 პუნქტები).

27. სსკ-ის 954-ე მუხლის შესაბამისად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. ამავე კოდექსის 963-ე მუხლის მიხედვით კი, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. მხარეთა შორის საერთო საკუთრების გამიჯვნისა და სარგებლობის წესის განსაზღვრის შემთხვევაში, საზიარო უფლების გაუქმება, ნატურით გაყოფით, მათ შორის სპეციალური შეთანხმების მიხედვით წარმოებს. სსკ-ის 963-ე მუხლით გათვალისწინებული წილთა თანაბრობის პრინციპის დაცვა ამ დროს არ არის აუცილებელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი წინაპირობაა, ფლობის დადგენილი წესის შესაბამისად, ნატურით გაყოფის შესაძლებლობა. სწორედ აღნიშნულ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უარყოფისას, მაგრამ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, საზიარო უფლება „ნაწილობრივ“ გაუქმდა, სადავო მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ გაიყო მხარეთა შორის, ხოლო ნაწილი დარჩა მათ საერთო საკუთრებაში.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საზიარო უფლება ნივთზე ორი ან მეტი პირის თანასაკუთრების უფლებას ნიშნავს. კანონმდებელი ვალდებულებით სამართლებრივი ნორმებით ცალკე აწესრიგებს საზიარო ურთიერთობებს, მათ შორის საზიარო საგნის მართვის, განკარგვისა და ამ უფლების გაუქმების წესს. საზიარო უფლების გაუქმებით, აღნიშნული უფლება ისპობა და ქონების თანამესაკუთრეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ კანონისმიერი ვალდებულებები. საზიარო უფლების (ურთიერთობის) სპეციფიკიდან და სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, საზიარო უფლება ქონების (ნივთის) ნაწილზე გაუქმდეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე საერთო საკუთრება (იხ. სუსგ №ას-39-39-2016, 01.03.2016 წ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გა-

დანყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში, ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სსკ-ის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ეს ფუნქცია და მნიშვნელობა (იხ. სუსგ-ები: №ას-932-875-2012, 17.09.2012 წ.; №ას-1089-1020-2012, 08.10.2012წ.; №ას-1665-1562-2012, 04.02.2013წ.; №ას-1653-1550-2012, 15.04.2013წ.; №ას-67-65-2014, 31.07.2014წ.; №ას-39-39-2016, 01.03.2016წ.).

30. საკასაციო სასამართლოს, მიაჩნია, რომ წინამდებარე განჩინების 27-ე პუნქტში მითითებული გარემოებისა და მხარეთა შორის სარგებლობის შეთანხმებული წესის არ არსებობის პირობებშიც, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება მაინც შეუძლებელი იქნებოდა იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ღირებულების ცვლილების გარეშე სადავო ნაკვეთის (ე.ი. საბოლოოდ, მთლიანი ნივთის) გაყოფა შეუძლებელია (იხ. წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტი), რაც გამორიცხავს მისი ერთგვაროვან ნაწილებად ნატურით გაყოფის შესაძლებლობას.

31. ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
4. კასატორს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 7 ფურცლად;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

**განჩინება**

№ას-222-212-2016

5 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით (ძირითად სარჩელში), საზიარო უფლების გაუქმება (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. დ. კ-ე (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, პირველი თანამესაკუთრე ან კასატორი), ო. ს-ი, ი. ხ-ი (შემდეგში მოსარჩელები, შეგებებული სარჩელით მოპასუხები, შესაბამისად, მეორე და მესამე თანამესაკუთრე ან მეორე

კასატორი), მ. ლ-ა და ნ. ლ-ა (შემდეგში: მეორე და მესამე მოპასუხეები ძირითად სარჩელში, შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრეები) არიან ქ. თ-ში, ბ-ის ქუჩა №45-ში მდებარე 502 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და 346,57 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობების (შემდეგში: საზიარო საგანი, უძრავი ნივთი /საკადასტრო კოდი .../) თანამესაკუთრეები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 173-ე, 953-ე, 954-ე მუხლები).

2. თანამესაკუთრეთა წილები შემდეგნაირადაა განსაზღვრული: პირველი თანამესაკუთრე –  $1/2$  ნაწილი, მეორე თანამესაკუთრე –  $1/12$ , მესამე თანამესაკუთრე –  $1/24$ , მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრეები –  $1/3$ , ასევე, მეხუთე თანამესაკუთრე –  $1/24$  (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

3. მოსარჩელებმა, კერძოდ, მეორე და მესამე თანამესაკუთრეებმა მოითხოვეს უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება მისი ნატურით გაყოფის გზით, ხოლო პირველმა თანამესაკუთრემ – დ. კ-ემ, შეგებებული სარჩელით მოითხოვა იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილის გაყოფა (სსკ, 961-ე, 963-ე მუხლები).

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით არცერთი მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

5. საქალაქო სასამართლომ მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 266-ე მუხლი), რომლითაც არ დაკმაყოფილდა მეხუთე თანამესაკუთრის სარჩელი მეორე და მესამე თანამესაკუთრეების (იხ. პირველი პუნქტი) წინააღმდეგ, საზიარო უფლების გაუქმების შესახებ. ასევე არ დაკმაყოფილდა მეორე თანამესაკუთრის შეგებებული სარჩელი მეხუთე თანამესაკუთრისადმი, საზიარო უფლების გაუქმების შესახებ (იხ. დასახელებული გადაწყვეტილება).

6. სააპელაციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით დაადგენილია, რომ საქმეში წარდგენილი არაერთი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საზიარო საგნის ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ისე, რომ არ შემცირებულიყო მეორე მწილის წილი, შეუძლებელი იყო.

7. საქალაქო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მიერ 2009 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაზე (იხ.წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი) მითითებით, აღნიშნა, რომ საზიარო საგანზე თანამესაკუთრეთა იდეალური წილები არ შეცვლილა; ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, ხუთი თანამესაკუთრის

არსებობის პირობებში, ის გარემოება, რომ ორ თანამესაკუთრეს შორის საზიარო საგნის ნატურით გაყოფა შეუძლებელი იყო, ადასტურებდა საზიარო საგანზე თანამესაკუთრეებს შორის ნატურით გამიჯვნის შეუძლებლობას;

8. საქალაქო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ასევე, მიუთითა, რომ განსახილველ სარჩელზე სასამართლოს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნითაც დადგენილია საზიარო საგანზე ყველა თანამესაკუთრეს შორის საზიარო უფლების გაუქმების შეუძლებლობა; კერძოდ, ექსპერტის მიერ შემოთავაზებული ორივე ვარიანტის მიხედვით, საზიარო უფლების გაყოფისას საჭიროა სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება; ამასთან, ექსპერტიზის დასკვნით ცალსახად დადგენილია განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შეუძლებლობა.

9. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსკ-ის 953-ე, 954-ე, 961-ე, 963-ე, სსსკ-ის 266-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სსკ-ის 963-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, საზიარო უფლების ნაწილობრივ გაუქმების დაუშვებლობა, კანონი არ უშვებს ორზე მეტი თანამესაკუთრის არსებობის პირობებში, მხოლოდ ერთს გამოეყოს ინდივიდუალურ საკუთრებაში მისი წილის შესაბამისი ნაწილი საზიარო ნივთიდან, საზიარო უფლების გაუქმება მხოლოდ ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიმართ დაუშვებელია და საზიარო უფლება უქმდება ყველა თანამესაკუთრისათვის. არცერთ თანამესაკუთრეს არა აქვს უფლება საზიარო ნივთიდან აირჩიოს მისთვის სასურველი ნაწილი.

10. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხუთივე თანამესაკუთრემ, როგორც მოსარჩელეებმა, ასევე მოპასუხეებმა (მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრეებმა). მათ მოითხოვეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

11. პირველმა თანამესაკუთრემ შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მიუთითა:

11.1. დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ თანამესაკუთრებაში არსებული საზიარო საგანი ნატურით არ იყოფა.

11.2. მცდარია სასამართლოს მითითება სსსკ-ის 266-ე მუხლზე, რადგან, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ სახეზე იყო დასახელებული ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები, უარი უნდა ეთქვა მოცემული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე,

ვინაიდან მხარეებს შორის აღნიშნული საფუძველით დავა ერთხელ უკვე გადაწყვეტილია; სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ 2009 წელს განხილულ გადაწყვეტილებას და სხვა საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნას, მაშინ, როდესაც განსახილველ საქმეზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ (შემდეგში: ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) ჩაატარა ექსპერტიზა, ხოლო ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს, რომ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყოფა, მეორე მხარის წილის შემცირების გარეშე, დასაშვები და შესაძლებელია;

11.3. ექსპერტიზის დასკვნებში არ არის მითითებული უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმების შეუძლებლობის შესახებ; რაც შეეხება სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების საჭიროებას, აღნიშნული გარემოება, არ არის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი;

12. მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრების სააპელაციო საჩივარი იმავე საფუძველებს ემყარება, რაც ასახულია პირველი თანამესაკუთრის სააპელაციო მოთხოვნაში.

13. მეორე და მესამე თანამესაკუთრების შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე უთითებენ:

13.1. საზიარო საგნიდან უნდა გამოეყოთ მათი კუთვნილი ფართი მე-2 სართულზე მდებარე ფართიდან, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მე-2 სართულის გეგმაზე არსებული №27 და №5 ოთახების თანაბარწილად გაყოფის შედეგად მიღებული №27 და №26 ოთახი, ასევე №29 ფართიდან 9,89 კვ.მ. უნდა გამოეყოს მეორე თანამესაკუთრეს, მესამე თანამესაკუთრეს – მე-2 სართულზე მდებარე №21, №22 და №25 ფართი, ხოლო №23 და №24 კორიდორი დარჩეს საერთო სარგებლობის გასასვლელად, როგორც სადარბაზოს ფართი;

13.2. სასამართლომ უნდა აღიაროს მეორე და მესამე თანამესაკუთრების საკუთრების უფლება იდეალურ წილში რეგისტრირებულ ფართზე, რეალურ წილში მეორე თანამესაკუთრეზე – 48,41 კვ.მ. ფართზე და მესამე თანამესაკუთრეზე – 24,2 კვ.მ. ფართზე, ასევე №59 სარდაფის ფართზე და №60 2,05 კვ.მ. ფართზე;

13.3. სასამართლომ უნდა აღიაროს მეორე თანამესაკუთრის საკუთრების უფლება 50,06 კვ.მ, ხოლო მესამე თანამესაკუთრის საკუთრების უფლება – 24,2 კვ.მ. ფართზე;

13.4. სსსკ-ის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უნდა გადაიხინჯოს ყველა იმ განჩინების კანონიერება, რომლებიც წინ უსწრებდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებას;

კერძოდ, დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნაზე, ექსპერტიზის დასკვნის საქმეზე მტკიცებულების სახით დართვაზე, მტკიცებულებების გამოთხოვაზე, მოსამართლის აცილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული განჩინებები.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განჩინებით პირველი, მეორე და მესამე თანამესაკუთრეების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ხოლო მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრეთა სააპელაციო საჩივარი – განუხილველად დარჩა.

15. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრით, მოსარჩელებმა სადავოდ გახადეს სასამართლოს დასკვნა, რომლითაც მიჩნეულია, რომ საზიარო საგანი ნატურით გაყოფადი არ არის.

16. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 იანვრის განჩინებით, მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. ექსპერტს გამოსაკვლევად დაესვა შემდეგი კითხვები:

16.1. რა რაოდენობის ფართს ფლობენ აღნიშნულ სახლთმფლობელობაში თანამესაკუთრეები და შეესაბამება თუ არა მათ მიერ დაკავებული ფართები თითოეულის იდეალურ წილს სახლთმფლობელობაში;

16.2. შესაძლებელია თუ არა თანამესაკუთრეთა იდეალური წილების პროპორციულად წილების ნატურით გაყოფა ღირებულების შემცირების გარეშე;

16.3. შესაძლებელია თუ არა მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე საერთო ფართით – 346,57 კვ.მ. 4/24 ნაწილიდან მეორე თანამესაკუთრის 2/4 ნაწილის, მეხუთე თანამესაკუთრის 1/4 ნაწილის და პირველი თანამესაკუთრის 1/4 ნაწილის პროპორციულად წილის ნატურით გამოყოფა ღირებულების შემცირების გარეშე;

16.4. როგორ შეიძლება პირველი თანამესაკუთრის 1/2 ნაწილის რეალურად გამოყოფა ღირებულების შემცირების გარეშე (იხ. დასახელებული განჩინება);

17. ექსპერტიზისათვის დასასმელი კითხვები, ასევე მოამზადეს მხარეებმა და წარუდგინეს სასამართლოს.

18. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 29 აპრილის



№15372/03 დასკვნით, სადავო უძრავი ნივთის განაშენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, ამონაწერში მითითებული წილების შესაბამისად, ისე რომ არ დაირღვეს სამშენებლო ნორმები და წესების მოთხოვნები, შეუძლებელია; ამავე დასკვნის მიხედვით, ექსპერტებმა შეადგინეს გამიჯვნის ორი ვარიანტი: პირველი ვარიანტი ითვალისწინებს მხარეთა კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისი ფართების გამოყოფას დღეისათვის არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით მანსარდის ფართის ჩათვლით, ხოლო მეორე ვარიანტი – მხარეთა კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისი ფართების გამოყოფას დღეისათვის არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით მანსარდის ფართის გარეშე; ცალკეა მოცემული სარდაფში მდებარე სათავსოების წილების გამიჯვნის ვარიანტი; დასკვნაში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ შენობის გამიჯვნა მოხდება დანართებზე ნაჩვენები ვარიანტების მიხედვით, მაშინ აუცილებელი იქნება საცხოვრებელ სახლში მდებარე კარის ღიობის ამოშენება, ხოლო ზოგიერთი კარის ღიობის მოწყობა.

19. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში ასევე წარმოდგენილია, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის 8 ნოემბრის №021655-2011/03 დასკვნა; ექსპერტიზას მიმართა მეოთხე თანამესაკუთრემ შეკითხვით: ექსპერტიზის 2011 წლის 29 აპრილის №15372/03 დასკვნის ორი ვარიანტის გარდა, შესაძლებელია თუ არა შედგეს სახლთმფლობელობის გამიჯვნის მესამე ვარიანტი და მეოთხე თანამოპასუხეს გამოეყოს მის მიერ წარდგენილ დანართებზე მონიშნული ოთახები და სათავსოები; ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ მეოთხე და მეხუთე თანამოპასუხეებს შესაძლებელია გამოეყოს პირველ და მეორე სართულზე მდებარე ოთახები და სათავსოები საერთო ფართით 173,12 კვ.მ., რაც მათი კუთვნილი წილის შესაბამის ფართზე – 176,82 კვ. მეტრზე, 3,7 კვ. მეტრით ნაკლებია; პირველ თანამესაკუთრეს შესაძლებელია გამოეყოს პირველ და მეორე სართულზე მდებარე ოთახები და სათავსოები, საერთო ფართით 235,52 კვ.მ., რაც მის კუთვნილ 1/2 იდეალურ წილზე 0,3 კვ. მეტრით მეტია; მეორე და მესამე თანამესაკუთრეებს – შესაძლებელია გამოეყოს პირველ და მეორე სართულზე მდებარე ოთახები და სათავსოები საერთო ფართით 62,94 კვ.მ., რაც კუთვნილ წილზე 58,93 კვ. მეტრზე 4,0 კვ. მეტრით მეტია.

20. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში, საქმის ზეპირი განხილვისას 2011 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე მონ-

ვეულმა ექსპერტმა (ი. ი-ი) განაცხადა, რომ სადავო საგნის ნატურით გაყოფა იდეალური წილების შესაბამისად, ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძლებელია;

21. სააპელაციო სასამართლომ, წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტში მითითებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით მიუთითა, არაერთი ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, საზიარო საგნის ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, ისე რომ არ შემცირდეს მეორე მენილის წილი, შეუძლებელია. შესაბამისად, არ არსებობს საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე, არც მეხუთე თანამესაკუთრის სარჩელისა და არც მეორე თანამესაკუთრის შეგებებული სარჩელის, დაკმაყოფილების საფუძველი.

22. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 თებერვლის განჩინებით, დაინიშნა დამატებითი ექსპერტიზა, რომლის წინაშე დაისვა შემდეგი კითხვები:

22.1. შესაძლებელია თუ არა სადავო მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე მეორე თანამესაკუთრის 1/12 ნაწილისა და მესამე თანამესაკუთრის 1/24 ნაწილის გამოყოფა ერთმანეთისაგან ნატურით, ღირებულების შემცირების გარეშე?

22.2. შესაძლებელია თუ არა ამავე უძრავ ქონებაზე მეხუთე თანამესაკუთრის 1/24 იდეალური წილის გამიჯვნა მეოთხე თანამესაკუთრის წილისაგან?

22.3. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 23 აპრილის №012327-2012/03/1 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, უძრავი ნივთის თანამესაკუთრების კუთვნილი წილების შესაბამისი ფართების გამოყოფა მიწის ნაკვეთიდან და შენობა-ნაგებობიდან ერთდროულად, ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელია. თავისუფალი მიწის ნაკვეთისა და სარდაფის გამიჯვნა ტექნიკური ნორმების დაცვით, განჩინებაში მითითებული წილების შესაბამისად შეუძლებელია; ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახლთმფლობელობის გამიჯვნა მოხდება №1 და №2 დანართებზე ნაჩვენები ვარიანტების მიხედვით, აუცილებელი იქნება საცხოვრებელ სახლში მდებარე ზოგიერთი ღიობის ამოშენება, ხოლო ზოგიერთი ღიობისა და ტიხრების მოწყობა.

23. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებზე დაყრდნობით, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების შეფასების, სასამართლო სხდომაზე მოწვეული ექსპერტების განმარტებების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ საზიარო საგნიდან თანამესაკუთრების კუთვნი-

ლი წილების შესაბამისი ფართების გამოყოფა ღირებულების შემცირების გარეშე შეუძლებელია, რაც გამოორიცხავდა მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

24. სასამართლომ მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრის სააპელაციო საჩივარი განუხილველი დატოვა იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ მათ მოთხოვნას წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და პირველი თანამესაკუთრის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუმცა, მათ სასამართლოში სარჩელი არ აღუძრავთ და შესაბამისად, მათი რაიმე მოთხოვნა არ ყოფილა სასამართლო განხილვის საგანი; ამდენად, მოპასუხეები ასაჩივრებდნენ მათ სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ აღძრული სარჩელი სასამართლო გადაწყვეტილებით არ კმაყოფილდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის, კანონმდებელი სააპელაციო საჩივრის სუბიექტებად მიიჩნევს სამართალწარმოების მხოლოდ იმ მხარეებს, რომელთა სამოქალაქო უფლებებსაც შეეხო გასაჩივრებული გადაწყვეტილება; შესაბამისად, პირს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება (განჩინება) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მის წინააღმდეგაა გამოტანილი და სასამართლო აქტი უშუალოდ ზეგავლენას ახდენს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (სსსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები).

25. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრეების სააპელაციო პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები საოქმო განჩინებების უკანონობაზე (იხ.ამ განჩინების 13.4. ქვეპუნქტი) და აღნიშნა:

25.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაზეც უარი ეთქვა. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეს შეეძლო საქმის მომზადების ეტაპზე წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა, ამ ეტაპზე დამატებითი ექსპერტიზის დასკვნის დართვა და სრულყოფილი დასკვნის წარმოსადგენად დამატებითი ვადის დანიშვნა, გამოიწვევდა საქმის გაჭიანურებას;

25.2. ამავე სხდომაზე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარ-

მომადგენლის შუამდგომლობა დამოუკიდებელი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. სასამართლოს მითითებით, თუ ექსპერტიზის დასკვნა არ არის სრული, ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა, კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა, რის გამოც აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

25.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 ივლისის სხდომაზე, მოსარჩელებს უარი ეთქვათ მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობდა ობიექტური გარემოება, რაც სსსკ-ის 31-ე მუხლის შესაბამისად, საფუძვლად დაედებოდა მოსამართლის აცილებას.

26. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 170-ე, 173-ე, 961-ე, 963-ე მუხლებით და განმარტა, რომ მითითებული ნორმები განსაზღვრავს იმ სამართლებრივ მოთხოვნებს, რომლებსაც გაყოფის შედეგად აკმაყოფილებს თითოეული დამოუკიდებელი ნივთი – ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. ნივთების ერთგვაროვანი ბუნება მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც წარმოშობილი დამოუკიდებელი ნივთები, ყოველგვარი დამატებითი ძალისხმევის გარეშე, აღჭურვილი იქნება ყველა აუცილებელი თვისებით და ექნება შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განახორციელოს მისი ფუნქციური დანიშნულება. გარდა ამისა, წარმოქმნილმა ნივთმა უნდა შეინარჩუნოს თანაბარი საბაზრო ღირებულება.

27. სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მესაკუთრე თავის ქონებასთან მიმართებაში თავისუფალია, ამასთან, მისი უფლებამოსილებანი შესაძლოა შეზღუდული იყოს ან კანონით, ან ხელშეკრულებით. მესაკუთრის მოქმედებით არ უნდა ილახებოდეს მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები. მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების ბუნებიდან (საზიარო საკუთრებიდან) გამომდინარე, ნივთით სარგებლობის თავისუფლება გარკვეულწილად იზღუდება, რაც სხვა თანამესაკუთრეთა არსებობით და მათი ინტერესების გათვალისწინებითაა გამოწვეული.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო საგნის ნატურით გაყოფა იდეალური წილების შესაბამისად, ღირებულების შემცირების გარეშე, შეუძლებელია. ვინაიდან საზიარო უფლების ნატურით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობა საგნის ღირებულების შემცირების გარეშე ერთგვაროვან ნაწილებად

გაყოფის შესაძლებლობაა. ამ წინაპირობის არარსებობა გამო-  
რიცხავს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

29. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სა-  
სამართლოს დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, დამა-  
ტებით მიუთითა, რომ სსკ-ის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ  
ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთ-  
რების უფლება. მოხმობილი ნორმის ზემოხსენებულ განმარტე-  
ბასთან ერთად, ყურადსაღებია საკუთრების სოციალური ფუნ-  
ქცია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს საკუთრების  
შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას; კერძოდ, სკ-ის 170-ე მუხ-  
ლის პირველ ნაწილში მითითებულია: „მესაკუთრეს შეუძლია,  
კანონისმიერ ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭ-  
ვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...“. აღ-  
ნიშნული დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ  
და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარ-  
გლები; კერძოდ, არ შეიძლება, საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდ-  
ვამ, მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც  
იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული  
შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს; ადრე მოქმედი კა-  
ნონმდებლობის თანახმად, დაუშვებელი იყო სადავო მიწის ნაკ-  
ვეთზე საკუთრების გადაცემა ან ერთი ფიზიკური პირის მიერ  
მეორესთვის სარგებლობის სამუდამოდ დათმობა (მიწის შესა-  
ხებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-16, 53-ე მუხლები). მოქ-  
მედი სსკ-ის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენისათ-  
ვის აუცილებელია, დაცული იყოს ამავე კოდექსის 183-ე მუხ-  
ლის მოთხოვნები, რომელიც მოითხოვს გარიგების წერილობი-  
თი ფორმით დადებას და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრუ-  
ლი საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში,  
ხოლო საკუთრებაში არსებული ნივთის სხვა პირის სარგებლო-  
ბით სახელშეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრების  
უფლება (სსკ-ის 170-ე და 961-ე მუხლები).

30. ზემოხსენებული მსჯელობის საფუძველზე, სააპელაციო  
სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის მიწის ნაკვეთით  
სარგებლობის წესზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი,  
აღნიშნული არ აუქმებს ან ცვლის უძრავ ქონებაზე საკუთრე-  
ბის უფლების მოპოვების რეჟიმს, შესაბამისად, ამ საქმეზე მხა-  
რეთა საკუთრების უფლების დადგენისათვის უპირატესობა ენი-  
ჭება საჯარო რეესტრის ჩანაწერს (სუსგ – №ას-496-472-2013,  
09.01.2014 წ.);

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინება (იხ. მე-14 პუნქტი)  
საკასაციო წესით გაასაჩივრეს, როგორც პირველმა, ისე მეორე

და მესამე თანამესაკუთრებმა.

32. პირველი თანამესაკუთრის საკასაციო საჩივრის დასაბუთება და პრეტენზიები მისივე სააპელაციო საჩივრის იდენტურია (იხ. ამ განჩინების 11.1.-11.3. ქვეპუნქტები).

33. მეორე და მესამე თანამესაკუთრეთა საკასაციო საჩივრის დასაბუთება და არგუმენტები იმეორებს მათივე სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს (იხ. ამ განჩინების 13.1.-13.4. ქვეპუნქტები) და დამატებით უთითებენ:

33.1. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა, პირველი, მეოთხე და მეხუთე თანამესაკუთრების მიერ სააპელაციო შესაგებლის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის უპირობოდ დაკმაყოფილებაზე, ასევე, არ დააკმაყოფილა მოთხოვნა მეოთხე თანამესაკუთრის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობაზე, ახალი ექსპერტიზის დანიშვნაზე, დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შედგენილი ექსპერტიზის დასკვნის დასაშვებად ცნობაზე, მოსამართლის აცილებაზე და ა.შ.;

33.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ უკრიტიკოდ მიიღო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომელიც არ არის კატეგორიული და ურთიერთგამომრიცხავია, სასამართლომ არ დანიშნა განმეორებითი ან კომისიური ექსპერტიზა. სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაში არ იყო შეტანილი საცხოვრებელი სახლის სხვადასხვა ფართები, კერძოდ, სადარბაზოს ფართები, რაც 2 სადარბაზოს სახით აქვთ მფლობელობაში დანარჩენ თანამესაკუთრებს, არ არის შეტანილი პირველ სართულზე პირველი თანამესაკუთრის მფლობელობაში არსებული კორიდორის ფართები, ეზოდან მე-2 სართულზე პირველ თანამესაკუთრესთან ამავე კიბის უჯრედის დაბოლოებაში არსებული კორიდორი ხელოვნურადაა შემცირებული. ექსპერტს განაწილებაში ეს ფართები არ შეუტანია. საცხოვრებელ ფართად ჩათვალა კორიდორი 19,64 კვ.მ. როცა მათ რეალურად მფლობელობაში აქვთ 25,35 კვ.მ ფართი, საიდანაც 16,04 კვ.მ საცხოვრებლად უვარგისია, ხოლო 9,29 კვ.მ-ს აქვს ცალმხრივი განათება კორიდორის მხრიდან;

33.3. ქვემდგომმა სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს მითითებული გარემოებები და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღეს გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დააკმაყოფილა საქმის ხელახლა განსახილვე-

ლად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების მოთხოვნა, რითაც მოსარჩელებს, მიეცემოდათ გადანყვეტილების ახალი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიღების საშუალება;

33.4. კასატორები მოითხოვენ ყველა ხარჯის მოპასუხეებზე დაკისრებას.

34. საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 5 მაისის განჩინებით წარმოებაში მიიღო საკასაციო საჩივრები, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 3 ივნისის ზეპირი მოსმენით განხილულ სხდომაზე, სადაც მხარეებს განემართათ ანალოგიურ საქმეებზე საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა და მიეთითათ მორიგების მიზანშეწონილობაზე მრავალწლიანი დავის დასასრულებლად, დასაშვებად იქნა ცნობილი საკასაციო განაცხადები სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტების შესაბამისად.

35. საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობიდან საქმის არსებითად განხილვამდე მხარეებს არ წარმოუდგენიათ სასამართლოსათვის მორიგების აქტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო განაცხადები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

36. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

37. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მითითებული მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევა.

38. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგუ-

ლისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

39. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორთაგან არცერთს წარმოუდგენია ასეთი დასაბუთებული პრეტენზია.

40. განსახილველი დავის საგანია თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფის გზით.

41. სსკ-ის 954-ე მუხლის შესაბამისად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი. ამავე კოდექსის 963-ე მუხლის მიხედვით კი, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. მხარეთა შორის საერთო საკუთრების გამიჯვნისა და სარგებლობის წესის განსაზღვრის შემთხვევაში, საზიარო უფლების გაუქმება, ნატურით გაყოფით, მათ შორის სპეციალური შეთანხმების მიხედვით წარმოებს.

42. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს, რომელმაც გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივად სწორი კვალიფიკაცია მისცა მათ (იხ. ამ განჩინების 24-29 პუნქტები).

43. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საზიარო უფლება ნივთზე ორი ან მეტი პირის თანასაკუთრების უფლებას ნიშნავს. კანონმდებელი ვალდებულებით სამართლებრივი ნორმებით ცალკე აწესრიგებს საზიარო ურთიერთობებს, მათ შორის საზიარო საგნის მართვის, განკარგვისა და ამ უფლების გაუქმების წესს. საზიარო უფლების გაუქმებით, აღნიშნული უფლება ისპობა და ქონების თანამესაკუთრეებს ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ კანონისმიერი ვალდებულებები. საზიარო უფლების (ურთიერთობის) სპეციფიკიდან და სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, საზიარო უფლება ქონების (ნივთის) ნაწილზე გაუქმდეს (იხ. სუსგ №ას-41-41-2016, 04.07.2016წ.). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გა-



დასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე საერთო საკუთრება (იხ. სუსგ №ას-39-39-2016, 01.03.2016 წ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებელი და კანონიერია, შეესატყვისება საკასაციო სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას ანალოგიურ დავებზე.

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1. საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2. ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში, ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ასრულებდა გაყოფამდე. ამდენად, სსკ-ის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება არ უნდა გამოიწვიოს ნივთის გაყოფამ. ნატურით გასაყოფმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებს გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ეს ფუნქცია და მნიშვნელობა (იხ. სუსგ-ები: №ას-932-875-2012, 17.09.2012 წ.; №ას-1089-1020-2012, 08.10.2012წ.; №ას-1665-1562-2012, 04.02.2013წ.; №ას-1653-1550-2012, 15.04.2013წ.; №ას-67-65-2014, 31.07.2014წ.; №ას-39-39-2016, 01.03.2016 წ.).

45. საკასაციო სასამართლოს, მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა, არაერთი საექსპერტო კვლევის საფუძველზე, რაშიც ჩართული იყვნენ თავად დავის მონაწილე მხარეებიც (იხ. წინამდებარე განჩინების 16-21 პუნქტები) მართებული დასკვნები გამოიტანეს საზიარო საგნიდან თანამესაკუთრების კუთვნილი წილების შესაბამისი ფართების გამოყოფის შეუძლებლობაზე, მათი ღირებულების შემცირების გარეშე, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც მისი უცვლელად დატოვების საფუძველია.

46. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვთ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. დ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ი. ხ-ისა და ო. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განჩინება;
4. კასატორების მიერ გადახდილი ბაჟი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 1.2. უსაფუძვლო გამდიდრება

### პИТОმ კრადიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები

#### ბანჩინება

№ას-1005-949-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** უსაფუძვლო გამდიდრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. უ-სა (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, შემძენი) და მ. გ-ნს (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი გამსხვისებელი, მიმღები) შორის 1998 წელს დაიდო ზეპირი გარიგება – ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხე 15 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, შემძენს საკუთრებაში გადასცემდა ქ. ფოთში, ..... მდებარე მისი მამის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს (შემდეგში – უძრავი ქონება) {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 477-ე მუხლი}.

2. მოპასუხემ შემძენს სახლი პირდაპირ მფლობელობაში გადასცა {სსკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილი}, თუმცა მისთვის საკუთრების უფლება კანონით დადგენილი წესით არ გადაუცია {სსკ-ის 183-ე და 311<sup>1</sup> მუხლები}.

3. შემძენმა, უძრავი ქონების ნასყიდობის შეთანხმებული ღირებულებიდან, მოპასუხეს გადაუხადა 12 500 აშშ დოლარი {სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეუწიქტი}.

4. 2014 წლამდე უძრავი ნივთი წარმოადგენდა მოპასუხის გარდაცვლილი მამის საკუთრებას. 2011 წლის ივნისში მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე მოსარჩელეს საკუთრებაში გადაუფორმებდა საცხოვრებელ სახლს, სამკვიდრო მონაწილის მიღების შემდეგ {სსკ-ის 1499-1500-ე მუხლები}.

5. 2014 წლის ივნისში მოპასუხე კანონისმიერი მექანიზმების უფლების საფუძველზე უძრავი ქონების მესაკუთრედ აღირიცხა საჯარო რეესტრში; მიუხედავად ამისა, მან დანაპირები არ შეასრულა და მოპასუხეს კანონით დადგენილი წესით არ გა-

დასცა უძრავ ნივთზე საკუთრება (სსკ-ის 183-ე და 311-ე მუხლები).

6. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხემ უძრავი ქონება მესამე პირს მიჰყიდა. მან სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის გადახდილი 12 500 აშშ დოლარისა და ნივთზე მფლობელობის დროს განეული სარემონტო ხარჯის, 500 აშშ დოლარის, მის სასარგებლოდ დაკისრება.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან, როგორც მოთხოვნის გამომრიცხავი, ისე მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი შესაგებელი წარადგინა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

6.1. მხარეთა შორის არ დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება. მართალია, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შედგა მოლაპარაკება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თაობაზე და მოპასუხეს ბედ გადაეცა 1000 აშშ დოლარი, მაგრამ შემდეგში ხელშეკრულება არ დაიდო.

6.2. მოსარჩელეს სადავო უძრავ ქონების სარემონტო სამუშაოები არ ჩაუტარებია და არც ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარუდგენია სასამართლოსთვის.

6.3. მოთხოვნა რომც წარმოშობილი იყოს, ვერ განხორციელდება ხანდაზმულობის გამო.

7. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 აშშ დოლარის გადახდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 980-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 323-ე, 59-ე, 421-ე, 128-ე, 130-ე მუხლები.

8. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე მითითებით:

8.1. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომლის თანახმად მოსარჩელემ მხოლოდ 1000 აშშ დოლარი გადაუხადა მოპასუხეს, ეწინააღმდეგება საქმეზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს, მოწმეთა ჩვენებებს, აპელანტის მითითებით ის 1998 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ ბინაში, რაც შეუძლებელი იქნებოდა სადავო 12500 აშშ დოლარის გადახდის გარეშე.

8.2. აპელანტმა სააპელაციო სასამართლოში დამატებითი მტკიცებულების სახით წარადგინდა 2015 წლის 3 თებერვლის

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლის თანახმადაც, გამსხვილებელი ცნობილ იქნა დამნაშავედ მოსარჩელისაგან მიღებული თანხის თაღლითურად დაუფლებებაში და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით {სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი}. განაჩენით დადგენილად არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ შემძენმა (მოსარჩელემ) გამსხვილებელს (მოპასუხეს) გადასცა 12 500 აშშ დოლარი.

8.3. აპელანტის მოსაზრებით, 1998 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში შეუძლებელია საცხოვრებელ სახლს რაიმე სახით არ დასჭირვებოდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება, თუნდაც იმ ფარგლებში, რაც მითითებულია სარჩელში.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დამატებით დაეკისრა 11500 აშშ დოლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა სარემონტო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო ნაწილობრივ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს.

10. პალატამ დაადგინა წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოება. სასამართლომ, აღნიშნული ფაქტის დადგენისას გაითვალისწინა მოწმეთა ჩვენებები და ფოტის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის განაჩენით დადგენილი ფაქტები.

11. პალატის განმარტებით, ფოტის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 1000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში მხარეს არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, უდავოდ დადგენილია, რომ მხარეთა შორის ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო და ამ ხელშეკრულების საფუძველზე, აპელანტმა მოწინააღმდეგე მხარეს თანხა გადაუხადა.

12. პალატამ განმარტა, რომ მართალია, განაჩენს წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს {საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 106-ე და 105.1 მუხლები}, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ მას საერთოდ არ გააჩნია მტკიცებულებითი ღირებულება. პალატის დასკვნით, მტკიცებულებათა ერთობლიობა, მათ შორის ის გარემოებაც, რომ 1998 წლიდან მოსარჩელის ოჯახი სადავო ქონებას ფაქტობრივად ფლობს, ადასტურებს ზეპირად შეთანხმებული ნასყიდობის სა-

ფასურის, 12 500 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

12.1. პალატის შეფასებით, მხარეთა შორის გარიგება დაიდო კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ფორმის დაუცველად, შესაბამისად, ეს იყო ბათილი გარიგება, რომლის საფუძველზედაც 12 500 აშშ დოლარი მიმღებს გადაეცა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე [სსკ-ის 59-ე, 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი].

13. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა შემდეგი მოტივებით:

13.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებები. მან მიუთითა რომ სადავო უძრავ ქონებაზე დადებული გარიგება დადებისთანავე ბათილია, თუმცა არ უმსჯელია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. გარიგების დადებიდან სარჩელის აღძვრამდე გასულია 16 წელი, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, იმის მხედველობაში მიღებით, რომ უძრავ ქონებაზე დადებული გარიგება იმთავითვე ბათილია, ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა დაიწყო გარიგების დადების მომენტიდან (1998წ), ამის გათვალისწინებით კი, გასულია უძრავ ნივთებზე გარიგების შედავების ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა.

13.2. სააპელაციო პალატამ ერთმნიშვნელოვნად დაადგინა რომ ხელშეკრულება დაიდო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, თუმცა საქმის მასალებში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულება. სასამართლოს არ გამოუკვლევიან იყო თუ არა მოსარჩელე ზეპირი გარიგების მონაწილე და რა სამართლებრივი უფლებამოსილება გააჩნდა ამ უკანასკნელს.

13.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იურიდიულად არასაკმარისია. მონმეთა ჩვენებები და სასამართლოს განაჩენი არ შეიძლებოდა გამხდარიყო სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საკმარისი იურიდიული საფუძველი, უკანონო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობის დროს თანხის გადახდის დამადასტურებელ მტკიცებულებას კანონი არ ადგენს და აღნიშნული შეიძლება დადასტურდეს სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებით.

13.4. სააპელაციო პალატამ საქმის განხილვის დროს დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე-

382-ე მუხლები და მიიღო უკანონო განჩინება, რამდენადაც საქმეს მტკიცებულებად დაურთო აპელანტის მიერ წარდგენილი ფოტის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 თებერვლის განაჩენი. სასამართლოს არ გამოუკვლევია შეეძლო თუ არა მოსარჩელეს აღნიშნული განაჩენის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენა მტკიცებულების სახით და უაპელაციოდ გაიზიარა აპელანტის პოზიცია.

13.5. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მიუთითა, რომ დაწყვეტილებას ასაჩივრებდა მოპასუხისათვის 12000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, თუმცა მოპასუხეს დააკისრა 11500 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოსარჩელეს არ მოუთხოვია, შესაბამისად სასამართლომაც არასწორად დაიანგარიშა სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქ/პუნქტის მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე.

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

17. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის იმ მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივადაც არას-

ნორად შეაფასა.

17.1. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა მხარეთა შორის ფორმალური ცვლელი გარიგების, უძრავი ნივთის ნასყიდობის, დადების ფაქტი.

17.2. ასეთი გარიგება კი დადების მომენტიდან ბათილია {სსკ-ის 59.1-ე, 61.1.-ე, 328-ე და 183-ე მუხლები}. შესაბამისად, მოსარჩელემ მოპასუხის წინაშე შეასრულა არარსებული ვალდებულება – სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადასცა მას 12 500 აშშ დოლარი. რასაკვირველია, გარიგება ნამდვილი გახდებოდა, თუ მას დაასტურებდნენ მხარეები, რადგანაც იგი არ ეწინააღმდეგებოდა ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს, მაგრამ არ დადასტურებულა, მოპასუხის მხრიდან საპასუხო ნების არარსებობის გამო, მაშინ როდესაც მოსარჩელე მზად იყო დაედგინებინა ბათილი გარიგება, რასაც ბუნებრივია, შედეგად მოჰყვებოდა არსებული სამართლებრივი ხარვეზის გამოსწორება {სსკ-ის 61-ე მუხლის მეოთხე ნაწილი}.

17.3. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებები გაანალიზა, შეაფასა ერთობლივად და ისე გამოიტანა დასკვნა მოსარჩელის მიერ შესრულების – 12 500 აშშ დოლარის მიმღებისათვის გადახდის თაობაზე. სასამართლო დაეყრდნო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კანონით დასაშვებ მტკიცებულებებს, მათ შორის არაერთი მონმის (გ. გ., ზ. ბ-ძე, ჯ. მ-ლი) ჩვენებასა და 2015 წლის 2 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს. მართალია, განაჩენით დადგენილ ფაქტებს სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს, მაგრამ იმის მტკიცება, რომ მას საერთოდ არ გააჩნია მტკიცებულებითი ღირებულება და დასაშვები არაა, სამართლებრივად დაუსაბუთებელია. განაჩენი წერილობითი მტკიცებულებაა და მასში დადგენილ ფაქტებს სამოქალაქო საქმეზე სასამართლო სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში აფასებს {სსსკ-ის 105.1 მუხლი}.

17.4. ის გარემოება, რომ აპელანტმა განაჩენი მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა, სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის, რადგანაც მხარეს მისი წარდგენის შესაძლებლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ ჰქონდა. მოსარჩელემ განაჩენი ჩაიბარა 2015 წლის 31 მარტს, ანუ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების დაწყების დროისათვის. შესაბამისად, სახეზე არ იყო სსსკ-ის 380-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა – არასაპატიო მიზეზით მტკიცებულების წარუდგენლობა და სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, მიეღო და სათანადოდ შეეფასებინა მტკიცე-



ბულებზე, რაც გააკეთა კიდევც.

17.5. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის პირობებში {სსკ-ის 976-ე მუხლის მეორე ნაწილი} სავსებით მართებულად მოითხოვა გადაცემულის უკან დაბრუნება, რადგანაც ამის შედეგად მოპასუხე გამდიდრდა {სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილი}.

18. კასატორის მტკიცება რომ ადგილი არ ჰქონია უძრავი ნივთის ნასყიდობაზე ზეპირი ფორმით შეთანხმებას და რომ მან, როგორც „ვითომ-კრედიტორმა“ მოპასუხისაგან მიიღო მხოლოდ 1000 აშშ დოლარი ბეს სახით, სააპელაციო სასამართლომ დამაჯერებლად უარყო საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზისა და ყველა გარემოების ურთიერთშეჯერების შედეგად.

19. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე (კონდიქციური მოთხოვნები) ვრცელდება 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა {სსკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილი} (შდრ. სუსგ საქმე №ას-472-448-2013, 5.12.2013 წელი „ამ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ – უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. ამდენად, ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობებისათვის, რომელიც არ ითვალისწინებენ სპეციალურ ვადას, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი“).

20. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა იმ მომენტიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიცხვის მიუხედავად, დანაპირების შესარულებას და მოპასუხისათვის კანონით დადგენილი წესით უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემას არ აპირებდა, ანუ 2014 წლის ივნისში {სსკ-ის 130-ე მუხლი}. სარჩელი წარდგენილია 2014 წლის 13 ივნისს, რაც ადასტურებს იმას, რომ მოთხოვნა არაა ხანდაზმული და აქედან გამომდინარე, განხორციელებადია.

21. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ დარღვევებს არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არ-

სებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 257.1-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**პირობა კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები**

**განჩინება**

№ას-920-870-2015

9 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ო. ბ-ემ (შემდგომში „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ტ-ის (შემდგომში „პირველი მოპასუხე“), გ. ს-ისა (შემდგომში „მეორე მოპასუხე“) და თ. ნ-ის (შემდგომში „მესამე მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა, ერთის მხრივ, ო. ბ-ესა და, მეორეს მხრივ, გ. ს-სა და თ. ნ-ს შორის დადებული ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილად ცნობა; ო. ბ-ესა და რ. ტ-ს შორის არსებული დავალების ხელშეკრულების შეწყვეტილად

ცნობა და რ. ტ-ისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 50 000 აშშ დოლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით 19 165 აშშ დოლარის დაკისრება შემდეგი დასაბუთებით:

2. 2008 წლის სექტემბერში პირველმა მოპასუხემ მოსარჩელისაგან მიიღო 50 000 აშშ დოლარი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე – ალმასიანის ქუჩაზე ბინათმშენებლობისათვის და იმავდროულად იკისრა შესაბამისი ვალდებულება, თუმცა აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა იმ მოტივით, რომ თანხა ამავე მიზნით გადასცა სხვა პირებს, კერძოდ, მეორე და მესამე მოპასუხეებს.

3. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხე რ. ტ-ი წარმოადგენდა ფირმა „გ“-ს დამფუძნებელს თ. ნ-სა და გ. ს-თან ერთად. ის, როგორც მოსარჩელის ახლობელი და მეზობელი, პასუხისმგებლობას იღებდა თანხის უსაფრთხოებასა და მის მიზნობრივად გამოყენებაზე, რაც, მისი თქმით, გულისხმობდა მშენებლობის ნებართვის აღებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურში.

4. თანხის დაუბრუნებლობისა და ბინათმშენებლობის დანყების უპერსპექტივობის გამო, 2010 წლის 8 იანვარს მოსარჩელე იძულებული გახდა რ. ტ-თან, თ. ნ-სა და გ. ს-თან ერთად მიემართა ნოტარიუსისათვის ვალის აღიარების სანოტარო წესით დამოწმების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება არ შეიცავდა ბინათმშენებლობის თავდაპირველ ვალდებულებებს. ხელშეკრულების მიხედვით, ვალის სარგებელი (პროცენტი) ირიცხებოდა 2010 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის მდგომარეობით, ვალის ოდენობამ დარიცხული პროცენტით შეადგინა 63 600 აშშ დოლარი.

5. სანოტარო ხელშეკრულების დადების პროცესში, ისევე როგორც სარგებლის ოდენობის განსაზღვრაში, მონაწილეობდა რ. ტ-ი, რომელმაც თავის მეგობრებს დააკისრა ვალის დაბრუნების პასუხისმგებლობა, მიუხედავად მათი პროტესტისა. თ. ნ-ი და გ. ს-ი მოითხოვდნენ რ. ტ-ისაგან პასუხისმგებლობის აღებას თანხის დაბრუნებაზე. მეტიც, ისინი მიუთითებდნენ, რომ აღნიშნული თანხა რ. ტ-მა მიითვისა და მათ არ გადასცა.

6. ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მეორე და მესამე მოპასუხეები მიიმალნენ საზღვარგარეთ, ხოლო პირველი მოპასუხე უარს აცხადებდა ვალის დაბრუნებაზე და მიუთითებდა დანარჩენ პირებზე. ამის გამო მას გაუჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულება მხარეებმა გააფორმეს მხოლოდ დროის გასაჭიანურებლად და მათ სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების მისამალად.

7. მოსარჩელის განმარტებით, პირველი მოპასუხე არ უარყოფს თანხის მიღების და ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. შესაბამისად, მას ეკისრება თანხის დაბრუნების პასუხისმგებლობა.

8. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მის მიმართ სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგან მას არანაირი ვალდებულება არ უკისრია მოსარჩელის წინაშე. პირიქით, იგი თვითონაც არის დაზარალებული მეორე და მესამე მოპასუხეების მოქმედებებით, რადგან მათ წაიღეს პირველი მოპასუხის ოჯახის კუთვნილი თანხა 200 000 აშშ დოლარი და უნდა აეშენებინათ საცხოვრებელი კორპუსი ალმასიანის ქუჩაზე, სადაც პირველი მოპასუხისთვის უნდა გადაეცათ საცხოვრებელი და საოფისე ფართები. პირველი მოპასუხის განცხადებით, იგი ისეთივე მყიდველია, როგორც მოსარჩელე. ვინაიდან ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდა, აღნიშნული თანხიდან ნაწილი, 50 000 აშშ დოლარი მეორე და მესამე მოპასუხეებმა მოსარჩელის მეშვეობით დაუბრუნეს მას.

9. პირველი მოპასუხის განცხადებით, მისთვის ცნობილი იყო, რომ მოსარჩელემ ორჯერ მოანერინა ხელი თ. ნ-სა და გ. ს-ს ვალის აღიარებაზე და არცერთი ამ შემთხვევის დროს პირველი მოპასუხე არ იმყოფებოდა მათთან ერთად, შესაბამისად, მისთვის უცნობია სანოტარო ბიუროში ვალის აღიარება რა გარემოებებში მოხდა.

10. მესამე მოპასუხემ თ. ნ-მა სარჩელზე შესაგებელი არ წარადგინა და არც სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა.

11. მეორე მოპასუხემ გ. ს-მა სარჩელზე შესაგებელი არ წარადგინა, თუმცა სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა და განმარტა, რომ მოსარჩელის თანხა, 50 000 აშშ დოლარი მას არ გადასცემია. აღნიშნული თანხა მიიღო პირველმა მოპასუხემ. მეორე მოპასუხე ვალის აღიარების ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას საკუთარ ვალად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ფინანსური სირთულეების გამო მოკლებულია შესაძლებლობას გადაუხადოს მოსარჩელეს ეს თანხა.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ბ-ემ.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ო. ბ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; რ. ტ-ს ო. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის გადახდა; რ. ტ-ს ო. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება 5 703,60 ლარის ოდენობით.

15. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

16. მოპასუხეები, თ. ნ-ი და გ. ს-ი ერთობლივ საქმიანობას ეწეოდნენ და მათ ძირითად საქმიანობას საცხოვრებელი ფართების მშენებლობა წარმოადგენდა.

17. მოპასუხე რ. ტ-ი არ წარმოადგენდა თ. ნ-ისა და გ. ს-ის ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს.

18. 2008 წლის სექტემბერში ო. ბ-ემ რ. ტ-ს გადასცა 50 000 აშშ დოლარი.

19. მოპასუხე გ. ს-ის განმარტებით (სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას) ო. ბ-ისაგან თანხის გამორთმევის ინიციატივა რ. ტ-ს ეკუთვნოდა და რ. ტ-მა საკუთარი ტელეფონიდან დაურეკა ო. ბ-ეს. მას არ მიუცია რ. ტ-ისათვის ბ-ისაგან თანხის მიღებაზე თანხმობა.

20. მოსარჩელე ო. ბ-ის განმარტებით, მას რ. ტ-მა დაურეკა და უთხრა, რომ მშენებლობისათვის ყველაფერი მზად იყო და მხოლოდ არქიტექტორისთვის გადასახდელი თანხა იყო საჭირო. მოსარჩელის განმარტებით, მას გ. ს-სა და თ. ნ-თან ამ საქმიდან გამომდინარე არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია, ვინაიდან წარსულში (2006 წელს) ბინის მშენებლობასთან დაკავშირებით მათთან პრობლემები წარმოეშვა, რის გამოც, თავისი თანხა უკან დაიბრუნა და მათთან ურთიერთობა შეწყვიტა. ამიტომ, ბინის მშენებლობასთან დაკავშირებულ თანხაზე ესაუბრებოდა მხოლოდ ტ-ს და თანხაც შესაბამისად მას გადასცა.

21. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული გარემოებები ნაწილობრივ მოპასუხე რ. ტ-მაც აღიარა. კერძოდ, მან დაადასტურა, რომ თავისი ტელეფონით დაუკავშირდა ო. ბ-ეს, რის შემდგომაც მან ო. ბ-ისაგან მიიღო 50 000 აშშ დოლარი.

22. ზემოაღნიშნული გარემოებები სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ასევე საგამოძიებო მოქმედების დროს საქმეზე მხარეთა მოწმის სახით დაკითხვის ოქმებით.

23. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდებოდა ის ფაქტობრივი გა-

რემოცია, რომ ო. ბ-ემ რ. ტ-ს თანხა გადასცა თ. ნ-ისა და გ. ს-ის თხოვნით.

24. ასევე, მოპასუხე რ. ტ-მა, მისი მტკიცების ფარგლებში, ვერ დაადასტურა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მან ო. ბ-ის 50 000 აშშ დოლარი გადასცა მშენებლებს (თ. ნ-სა და გ. ს-ს) ან მოახმარა მათ სამშენებლო საქმიანობას.

25. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 3 აგვისტოს, ერთის მხრივ, ო. ბ-ესა და მეორეს მხრივ, თ. ნ-სა და გ. ს-ს შორის გაფორმდა ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, თ. ნ-მა და გ. ს-მა, ო. ბ-ის სასარგებლოდ იკისრეს 55 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება 2009 წლის 1 ოქტომბრამდე. 2010 წლის 8 იანვარს მხარეებმა გააუქმეს 2009 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულება და ამავე დღეს, მათ შორის გაფორმდა ვალის აღიარების შესახებ ახალი ხელშეკრულება, ამჯერად, 60 000 აშშ დოლარზე. 2010 წლის 8 იანვრის ხელშეკრულების შესაბამისად, მოვალეებმა – თ. ნ-მა და გ. ს-მა იკისრეს 60 000 აშშ დოლარის 2010 წლის 30 ივნისამდე გადახდის ვალდებულება, რასაც ასევე უნდა დამატებოდა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 30 ივნისამდე სარგებლის სახით, ძირითადი თანხის 1 %.

26. 2009 წლის 3 აგვისტოსა და 2010 წლის 8 იანვრის ვალის აღიარების ხელშეკრულებებში მითითებული ფულადი თანხა წარმოადგენდა ერთსა და იმავე თანხას, კერძოდ, ო. ბ-ის მიერ თ. ტ-ისათვის გადაცემულ 50 000 აშშ დოლარს, რომელსაც დაემატა ზიანის თანხა, სარგებლის სახით.

27. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2010 წლის 8 იანვრის ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულება ნამდვილი იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

28. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 317-ე, 341-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ 2010 წლის 8 იანვრის ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე (თანხის ოდენობა, გადახდის გრაფიკი), ამასთან, ვალის აღიარების თაობაზე თ. ნ-მა და გ. ს-მა ნება გამოხატეს ნოტარიუსთან, სადაც შედგა ხელშეკრულება და მოუწერა ხელი. პალატამ განმარტა, რომ გარიგების დადებაზე ნების ნოტარიუსთან გამოვლენის დროს, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ მოწმდება ნების გამოვლენი პირის ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება. ნოტარიუსი ნების გამოვლენს უმარტავს გარიგების შინაარსს და მის თანამდევ შედეგებს. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გა-

რიგების ტექსტით, რომელსაც მხარეები აწერენ ხელს, სასამართლომ დაადგინა, რომ ნოტარიუსმა შეამოწმა გარიგების დადებისას მათი ნების ნამდვილობა და ისე დაამოწმა ხელშეკრულება.

29. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, ვერ წარმოადგინა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების (მოტყუება, თვალთმაქცობა, მოჩვენებითობა) დამადასტურებელი მტკიცებულებები.

30. პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2009 წლის 11 დეკემბერს მოპასუხეებს – გ. ს-ს და თ. ნ-ს და რ. ტ-ის მამას – თ. ტ-ს შორის გაფორმდა ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულება 150 000 აშშ დოლარზე. მოვალეებმა – გ. ს-მა და თ. ნ-მა, თ. ტ-ის სასარგებლოდ იკისრეს ვალდებულება მითითებული ფულადი თანხა დაეფარათ 2010 წლის 1 ივლისამდე.

31. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ს-მა და თ. ნ-მა 200 000 აშშ დოლარს გამოაკლეს რ. ტ-ისათვის ო. ბ-ის მიერ გადაცემული 50 000 აშშ დოლარი, რასაც ასევე დაეთანხმა რ. ტ-ი. ამიტომ გაფორმდა ვალის აღიარება 150 000 აშშ დოლარზე.

32. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ტ-მა მოპასუხეებს – გ. ს-ს და თ. ნ-ს 200 000 აშშ დოლარი მშენებარე საცხოვრებელ სახლში ფართის შექმნის მიზნით გადასცა. სასამართლომ დაასკვნა, რომ 200 000 აშშ დოლარის გადაცემისას, მოპასუხე რ. ტ-ის ინტერესს წარმოადგენდა უძრავი ქონების შექმნა მის მიერ გადახდილი თანხის ღირებულების პროპორციულად.

33. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება, რომ ო. ბ-ესა და რ. ტ-ს შორის არსებობდა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა.

34. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით აპელანტმა სააპელაციო საჩივარში მიუთითა დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე სამართლებრივ საფუძვლებზე, რაც მოპასუხისადმი ნდობის ფაქტორით იყო განპირობებული.

35. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის აღნიშნული მითითება ასახავდა ო. ბ-ისა და რ. ტ-ის საერთო ინტერესს საცხოვრებელი ფართის შექმნასთან დაკავშირებით და არ გამოდგებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად.

36. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარ-

ტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, გარდა მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა, რასაც კატეგორიულად არ დაეთანხმა პირველი მოპასუხე, მხარეთა შორის კონკრეტული სახის ვალდებულებით-სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა არ დასტურდებოდა რაიმე სახის მტკიცებულებით. მეტიც, მოსარჩელემ ვერ მიუთითა, თუ კონკრეტულად რა დროს, რა ვადით, რა კონკრეტული ვალდებულების შესრულება ევალებოდა მოპასუხეს. მხოლოდ ის განმარტება, რომ ენდობოდა პირველ მოპასუხეს და მას გადასცა თანხა, არ ქმნიდა კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის წინაპირობებს.

37. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, აპელანტმა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ო. ბ-ესა და რ. ტ-ს შორის დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა ვერ დაადასტურა.

38. სასამართლოს მითითებით, ასევე არ დადასტურდა რ. ტ-ის მიერ ო. ბ-ისაგან მშენებლობის მიზნებისთვის მიღებული 50 000 აშშ დოლარის გ. ს-ისა და თ. ნ-ისათვის გადაცემის ფაქტი.

39. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე რ. ტ-მა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების საფუძველზე, სადავო გარემოების – ო. ბ-ის კუთვნილი 50 000 აშშ დოლარის მშენებლებზე გადაცემის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება სამოქალაქო საქმეთა პალატას ვერ წარუდგინა.

40. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ პირველი მოპასუხისათვის გადაცემული სადავო თანხის ასახვა მოხდა მეორე და მესამე მოპასუხეების დავალიანების ანგარიშში.

41. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხე გ. ს-ი უარყოფდა რ. ტ-ისაგან სადავო 50 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტს და განმარტავდა, რომ აღნიშნული თანხა რ. ტ-ის მიერ გადახდილი 200 000 აშშ დოლარიდან გაიქვითა. აქედან გამომდინარე, გაფორმდა ამ უკანასკნელის მიმართ ვალის აღიარება 150 000 აშშ დოლარზე, ნაცვლად 200 000 აშშ დოლარისა. აღნიშნული გარემოება პალატამ ასევე დადასტურებულად მიიჩნია საქმეზე საგამოძიებო მოქმედების დროს მხარეთა მოწმის სახით დაკითხვის ოქმებით და 2009 წლის 11 დეკემბრის ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულებით.

42. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მოცემული ნორმა ანესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრებას ადგილი აქვს კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული



გარიგების საფუძველზე, სადაც ცალსახაა კრედიტორის ნება მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე. აღნიშნული გარიგების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გარიგებით თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და შესაბამისად, კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის აუცილებელია ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს კრედიტორის ნება მასზედ, რომ მესამე პირმა მოვალის ადგილი დაიკავოს.

43. პალატამ განმარტა, რომ ვალის გადაკისრება არის არაჩვეულებრივი და ძალიან მნიშვნელოვანი გარიგება. ის შეიცავს მჭიდრო კავშირს ვალის მკისრებლის ვალდებულებასა და კრედიტორის მოთხოვნას შორის. როგორც წესი, მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ არცერთი კრედიტორი არ იტყვის საფუძვლის გარეშე თავის მოვალეზე უარს. კრედიტორის საამისოდ მიმართული ნება მაშინ მიიღება მხედველობაში, თუკი იგი სრულიად მკაფიოა ან არსებობს ისეთი წინაპირობები, რომლებიც ყველა ასპექტში ამგვარი მყარი დასკვნის საშუალებას იძლევა. კრედიტორის მიერ მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლების დასკვნისათვის აუცილებლად გაითვალისწინება გარკვეული გარემოებები, განსაკუთრებით, მხარეთა ეკონომიკური ინტერესები და ასეთი შეთანხმების მიზანი.

44. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეების – გ. ს-ის და თ. ნ-ის მიერ რ. ტ-ის მიმართ ვალის გაქვითვა და ვალის აღიარების ხელშეკრულება მოსარჩელესთან, გავლენას ვერ მოახდენდა ო. ბ-ის მოთხოვნაზე, ვინაიდან ო. ბ-ის მხრიდან ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების გაფორმებით არ მომხდარა რ. ტ-ის განთავისუფლება თანხის გადახდის ვალდებულებისგან. ასეთ ნებას არ შეიცავდა 2010 წლის ხელშეკრულება. ო. ბ-ის მიზანს, ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგენდა თანხის მიღების მეტი გარანტია და არა რ. ტ-ის გამორიცხვა ვალდებულ პირთა რიგიდან.

45. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მოპასუხის, რ. ტ-ის უსაფუძვლო გამდიდრება.

46. სასამართლომ განმარტა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და აღნიშნული ნორმის საფუძველზე განხორციელებული სამართლებრივი ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ რ. ტ-მა ო. ბ-ისაგან 50 000 აშშ დოლარი შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო, ამიტომ ის ექვემდებარებოდა მოსარჩელისათვის დაბრუნებას.

47. პალატამ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ზინის ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან მოსარჩელე აღნიშნული მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველად უთითებდა დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაზე, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დადასტურდა.

48. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ო. ბ-ემ და რ. ტ-მა. ო. ბ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო რ. ტ-მა მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

49. ო. ბ-ის საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

50. მართალია, სააპელაციო პალატის გადანყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, შედეგობრივად არსებითად სწორია, თუმცა იგი შეიცავს გარკვეულ უსწორობებს და წინააღმდეგობას მსჯელობასა და დასკვნით ნაწილს შორის. კერძოდ, სააპელაციო პალატამ, ამ ნაწილში მსჯელობისას სათანადოდ არ შეაფასა და არ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძვლები, რაც დეტალურად იქნა მითითებული სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში. სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა მის მიერ გამოყენებული კანონებიც, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 327-ე და 976-ე მუხლები.

51. საქმე ეხებოდა მხარეთა შორის დადებულ ე.წ. „ვალის აღიარების“ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნას, ასევე ძირითადი სასარჩელო მოთხოვნიდან (50 000 აშშ დოლარის დაბრუნება) გამომდინარე დამატებითი ხარჯისა (ზიანის) და მოსარჩელის მიერ ამავე საქმესთან დაკავშირებით გაღებული საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნას, რაც მიუხედავად ზემოთ მითითებული ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, ყოვლად გაუგებარი მიზეზით არ დაკმაყოფილებულა.

ფილდა. კერძოდ, ვალის აღიარების ხელშეკრულება შეუსაბამობაში იყო სკ-ის 327-ე მუხლის მოთხოვნასთან, რომლის თანახმადაც, გარიგება დადებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ვალის აღიარების ხელშეკრულების მონაწილენი კი ერთხმად ადასტურებენ, რომ მასში აღნიშნული პირობები არ შეესაბამებოდა რეალურ გარემოებებს, ე.ი. ისინი არსებით პირობებზე არ შეთანხმებულან. უფრო მეტიც, მეორე მოპასუხემ სააპელაციო სტადიაზე ცნო სარჩელი მისთვის წაყენებული ამ მოთხოვნის (გარიგების ბათილობის) ნაწილში, რაც თავის მხრივ, უკავშირდებოდა სსსკ-ის 131-ე-132-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს. კასატორის განცხადებით, ეს გარემოებები სააპელაციო პალატას სათანადოდ არ შეუფასებია.

52. კასატორის განცხადებით ასევე მოიქცა სასამართლო დავალების ურთიერთობის შეფასების დროსაც. საქმის მასალების მიხედვით ცალსახად სახეზე იყო დავალების სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ნიშანი (თანხის გადაცემა თანხის მიმღების მიერ მისი მიმცემის – მოსარჩელის სასარგებლოდ გარკვეულ მოქმედებათა შესასრულებლად), რომელიც მინდობილ ტ-ს არ შეუსრულებია და არც სათანადო ინფორმაცია წარმოუდგენია მარწმუნებლისათვის. პირიქით, სამოქალაქო კოდექსის 713-ე-715-ე მუხლების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, პირველი მოპასუხე არასწორ ინფორმაციას აწვდიდა მოსარჩელეს და სასამართლო განხილვაზეც არაერთხელ შეცვალა პოზიცია (რაც საქმეზე დართული გამოძიების მასალებიდანაც ჩანს). შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი არ ითვალისწინებს ამ სახის გარიგებისათვის სავალდებულო წერილობით ფორმას, შეუძლებელია ამ ზეპირი ურთიერთობის უტყუარად დადგენილი მახასიათებლების მითითება, რაც პალატამ არ გაითვალისწინა.

53. კასატორის მითითებით არასწორია სააპელაციო პალატის მტკიცება, რომ სსსკ-ის 102-ე-105-ე მუხლების შესაბამისად, არ დასტურდებოდა მშენებლობის მიზნებისათვის თანხის გადაცემის ფაქტი, მაშინ როდესაც თვით მოპასუხე ტ-ის თუნდაც ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები ბ-ისგან მიღებული თანხის საპროექტო-სამშენებლო მიზნებით გამოყენებასთან დაკავშირებით, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

54. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილშიც მხოლოდ იმ

მოტივით, რომ დადგენილი არ იყო დავალების ურთიერთობის არსებობა. მაშინ, როდესაც ამ მოთხოვნის სამართლებრივი შეფასებისას მთავარი და გადამწყვეტია არა მხოლოდ ის, თუ რა საფუძვლით დაეკისრა მოპასუხეს ქონებრივი პასუხისმგებლობა და თანხის დაბრუნება (რაც, თვით მოსარჩელის დასაბუთებითა და ურთიერთშეჯერებული მტკიცებულებების თანახმად, საბოლოო შედეგად მოჰყვა სწორედ მის მიერ ამ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევას), არამედ, ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ რა ზიანი მოჰყვა შედეგობრივად ყოველივე ამას. ეს ზიანი კი, მიუღებელი შემოსავლის სახით (რასაც მოსარჩელე მიიღებდა მოპასუხის უკანონო ქმედებების შედეგად მისი მფლობელობიდან რომ არ გასულიყო მისივე კუთვნილი თანხა) დადასტურებულია საქმის მასალებით, თუმცა ისინი არ შეუფასებია სასამართლოს. კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულიყო. რ. ტ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა კი, ცალსახად არის დადგენილი საქმის მასალებით.

55. ამასთან, საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, ასევე არსებობს რ. ტ-ისთვის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი, ვინაიდან რ. ტ-მა სწორედ თავისი ინიციატივითა და მართლსაწინააღმდეგო განზრახვით მიიღო ო. ბ-ისაგან სარგებელი, მისგან მიღებული თანხა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. შესაბამისად, სახეზეა მისი განზრახვი მოქმედება, რომლის შედეგიც – მიღებული თანხის არამართლობიერად გამოყენების შედეგად თანხის მიმცემისათვის მიყენებული ზიანი, მისთვის ასევე ცნობილი და წინასწარ სავარაუდო იყო. შესაბამისად, სასამართლოს მოცემული გარემოება ამ თვალსაზრისითაც უნდა შეეფასებინა, რაც მას არ განუხორციელებია.

56. კასატორის აზრით, გადამწყვეტილების დაუსაბუთებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ სასამართლომ მიუთითა რა ხარჯების ანაზღაურების მავალზე საპროცესო ნორმაზე (სსსკ 53.1 მუხლი), არასწორად განმარტა იგი და უარი თქვა მის ანაზღაურებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ სარჩელი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, თუმცა სასამართლოს ამავე მსჯელობიდან გამომდინარე, გაუგებარია, თუნდაც ზიანისა და ხარჯების ანაზღაურების პროპორციულად ანაზღაურების შეუსაბამობა

და ამ ნაწილში მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა, რაც სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულადაც კი არ განხორციელებულა.

57. რ. ტ-ის საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

58. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის ნაწილში სააპელაციო პალატამ ფაქტობრივად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შეაფასა არასრულყოფილად და საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის სამართლებრივად შემოწმება შეუძლებელია. ამასთან, ამავე გადაწყვეტილებით უდავოდ დასტურდება, რომ სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია დადგენილად.

59. სააპელაციო პალატამ გ. ს-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მიცემული განმარტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ბ-ისაგან თანხის გამორთმევის ინიციატივა ეკუთვნოდა რ. ტ-ს, რომელმაც საკუთარი ტელეფონიდან დაურეკა ო. ბ-ეს. ამასთან, პალატამ დაადგინა, რომ გ. ს-მა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე უარყო ო. ბ-ის მიერ თანხის გადაცემაზე რ. ტ-ისათვის თანხმობის მიცემის ფაქტი.

60. კასატორის განცხადებით, გ. ს-ი იყო მოპასუხე მხარე, 2010 წლის 8 იანვრის ხელშეკრულებით აღებული ჰქონდა ვალდებულება გადაეხადა ო. ბ-ისათვის სადავო 50 000 აშშ დოლარი სარგებელთან ერთად და ცხადია, მის ინტერესში შედიოდა როგორმე თავიდან აეცილებინა აღნიშნული ვალდებულების შესრულება, თუმცა სასამართლომ აღნიშნულ ფაქტს არავითარი შეფასება არ მისცა.

61. მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ბ-ე-ს-ნ-ს შორის სანოტარო წესით სამჯერ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ს-ნ-მა აღიარეს მოსარჩელის მიმართ ვალის არსებობა, რასაც ბ-ეც დაეთანხმა, გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტებით გ. ს-მა დაადასტურა, რომ ეს თანხა მისი და ნ-ის გადასახდელი იყო.

62. ასეთ ვითარებაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი პირველ ინსტანციაში მიცემული გ. ს-ის ჩვენებითა და ამ საკითხთან დაკავშირებით მხარეებს შორის სანოტარო წესით გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულებით

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ უპირატესობა მიენიჭებინა გ. ს-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული შეცვლილი განმარტებისათვის, ამ განმარტების საფუძველზე დაედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებისაგან განსხვავებული გარემოება და აღნიშნული გამოყენებინა გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველად. გ. ს-ი იყო დაინტერესებული მხარე და ცდილობდა პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას, რაც სასამართლოს მიერ სწორად არ იქნა შეფასებული.

63. გ. ს-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული შეცვლილი განმარტების საფუძველზე სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ბ-ის მიერ რ. ტ-ისათვის თანხის გადაცემაზე გ. ს-ის თანხმობა არ ყოფილა. საქმეზე თანდართული გამოძიების მასალებითა და გ. ს-ის მიერ სასამართლოში მიცემული განმარტებით დადასტურდა, რომ მშენებლებს, გ. ს-სა და თ. ნ-ს, რ. ტ-ი სთხოვდა იმ თანხის (200 000 აშშ დოლარის) ნაწილს, რომელიც ასაშენებელი ფართობის ღირებულების სახით გადასცა მათ. გ. ს-ი და თ. ნ-ი დაპირდნენ რ. ტ-ს, რომ 50 000 აშშ დოლარს დაუბრუნებდნენ ო. ბ-ის მემკვიდრით, რომელსაც მშენებლობისათვის გადასახდელი ჰქონდა მისთვის გადასაცემი ფართის ღირებულება. აღნიშნული წესით ბ-ის მიერ ტ-ისათვის მართლაც მოხდა 50 000 აშშ დოლარის გადაცემა, ხოლო მოგვიანებით გ. ს-მა თ. ნ-თან ერთად წერილობითი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ეს თანხა სწორედ ბ-ისათვის გადასახდელ ვალად აღიარა. ამასთან, ო. ბ-ისავე რჩევით ტ-ის მამამ, თ. ტ-მა მშენებლებთან გააფორმა ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომლითაც იმავე მშენებლებმა ეს თანხა ჩაითვალეს რ. ტ-ისათვის დაბრუნებულ კუთვნილ თანხად და გამოაკლეს მის მიერ მათთვის მიცემულ 200 000 აშშ დოლარს.

64. კასატორის განცხადებით, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გ. ს-ის მიერ სააპელაციო სხდომაზე მიცემული შეცვლილი ჩვენება შეეფასებინა ყველა ზემოთ მითითებულ მტკიცებულებასთან ერთობლიობაში და ამის შემდეგ გაეკეთებინა დასკვნა.

65. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, გ. ს-ის ზემოაღნიშნული ჩვენების საფუძველიანობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი განცხადება რ. ტ-ის ტელეფონით ო. ბ-ესთან მისი საუბრის შესახებ. მნიშვნელოვანი იყო არა ის, თუ ვისი ტელეფონით ესაუბრა გ. ს-ი ო. ბ-ეს, არამედ ის, თუ რა დაავალა ამ საუბრისას გ. ს-მა მოსარჩელეს.

66. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ გ. ს-ის მხრიდან ო. ბ-ის მიმართ ასეთ დავალებას მართლაც ჰქონდა ადგილი და მისი საუბარი ბ-ესთან რ. ტ-ის ტელეფონით განპირობებული იყო იმით, რომ არ ახსოვდა ო. ბ-ის ნომერი და რ. ტ-მა აუკრიფა, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ს-ი და არც ნ-ი დათანხმდებოდნენ ვალის აღიარებას და არც რ. ტ-ის კუთვნილ თანხას – 200 000 აშშ დოლარს გამოაკლებდნენ აღნიშნულს თანხას.

67. კასატორის განცხადებით, ზემოთ მითითებული ყველა გარემოება ცნობილი იყო ო. ბ-ისა და გ. ს-ისათვის, მაგრამ შწლის მანძილზე ეს საკითხი სადავოდ არცერთ მათგანს გაუხდია.

68. საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ რ. ტ-ისათვის სადავო თანხის გადაცემისას საქმის მასალებით დადასტურდა, თითქოს თავდაპირველი მოლაპარაკება ბინის აშენების შესახებ მშენებლებთან ო. ბ-ეს 2006 წლისათვის ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ სასურველ დროში მშენებლობა არ ქნა წარმოებული, მან დაიბრუნა თანხა, არასწორი იყო. ამასთან, აღინიშნა, რომ მოგვიანებით მოსარჩელემ კვლავ გადაწყვიტა მშენებლებთან ურთიერთობის გაგრძელება, რაც დადასტურდა როგორც ს-ის განმარტებით, ისე ამ პირებს შორის გაფორმებული ოფიციალური ხელშეკრულებებით (ვალის აღიარების შესახებ).

69. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ბ-ე მშენებლობის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა ტ-თან და ფულიც მას გადასცა, საფუძველსმოკლებული იყო.

70. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. ტ-ი არც დამოუკიდებლად და არც მშენებლებთან ერთად, არავითარ მშენებლობას არ აწარმოებდა. აღნიშნულ ვითარებაში ო. ბ-ეს არ შეეძლო მშენებლობასთან დაკავშირებით რ. ტ-თან გაეფორმებინა რაიმე ხელშეკრულება და აღნიშნულს არც ჰქონია ადგილი.

71. საქმის მასალებით უდავოდ დადასტურდა, რომ მშენებლობასთან დაკავშირებით გადახდილ თანხებზე ხელშეკრულებებს ო. ბ-ე უშუალოდ მშენებლებთან აფორმებდა.

72. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 8 იანვარს გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულება იყო ნამდვილი და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა. კასატორის აზრით, აღნიშნული დასკვნით სასამართლო ეწინააღმდეგებოდა გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ო. ბ-ის მიერ რ. ტ-ისათვის თანხის გადაცემაზე გ. ს-ის თანხმობა არ ყოფილა. საქმეზე არ წარმოდ-

გენილა არავითარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ო. ბ-ესა და ს-ნ-ს შორის არსებობდა ვალის გადაკისრების ხელშეკრულება. აღნიშნულის თაობაზე სასამართლო სხდომაზე რომელიმე მხარის მიერ რაიმე ჩვენებაც კი არ ყოფილა მიცემული.

73. კასატორის მითითებით, უსაფუძვლო იყო სააპელაციო სასამართლოს არგუმენტი, თითქოს ბ-ის მხრიდან ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმებით არ მომხდარა მისი გათავისუფლება თანხის გადახდის ვალდებულებისაგან. ბ-ის მიერ მიერ მისთვის 50 000 აშშ დოლარის გადაცემა მოხდა არა ვალის გადახდის სახით, არამედ მშენებლების დავალების საფუძველზე. სწორედ აღნიშნული გარემოებით იქნა განპირობებული, რომ არც ო. ბ-ესა და ს-ნ-ს შორის გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულებებში ხსენებულა, რომ ამ გარიგებებში მითითებული თანხა იყო მისი გადასახდელი და მშენებლები კისრულობდნენ მის ნაცვლად აღნიშნული თანხის ო. ბ-ისათვის დაბრუნებას. მოცემულ საქმეში არსებულ არცერთ მტკიცებულებაში ხელშეკრულების მონაწილე არცერთ მხარეს ერთი სიტყვაც არ უხსენებია ვალის გადაკისრების მიზნით მათ მიერ ვალის აღიარების ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი.

74. სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი. კასატორის განმარტებით, აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს ორი გარემოებიდან ერთ-ერთი, კერძოდ: 1. ადგილი უნდა ჰქონდეს ქონების უსაფუძვლო გაზრდას სხვა პირის ხარჯზე, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე ან 2. სახეზე უნდა იყოს ქონების უსაფუძვლო დაზოგვა. აღნიშნულ შემთხვევაში კი არცერთ ზემოთ აღნიშნულ გარემოებას ადგილი არ ჰქონია. ს-ნ-ის დავალების საფუძველზე ო. ბ-ემ რ. ტ-ს გადასცა თანხა (50 000 აშშ დოლარი), რომლის დაბრუნების ვალდებულება რ. ტ-ისათვის მშენებლებს ნამდვილად ევალებოდათ, მით უფრო, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებითა და ამავე მშენებლების მიერ ერთ-ერთ სამშენებლო დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერით დადასტურდა, რომ მშენებლებს კასატორის მიმართ 50 000 აშშ დოლარზე გაცილებით მეტი თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდათ.

75. აღნიშნულ ვითარებაში კი საფუძველსმოკლებული იყო რ. ტ-ის უსაფუძვლო გამდიდრებაზე საუბარი. ამასთან, ო. ბ-ემ სწორედ მშენებლების დავალების საფუძველზე გადასცა ეს



თანხა რ. ტ-ს, რაც შემდეგში არაერთხელ დაადასტურა მშენებლებთან გაფორმებული ვალის აღიარების ხელშეკრულებით.

76. კასატორის განცხადებით, მისთვის სადავო თანხის დაკისრების საფუძველი არ შეიძლებოდა გამხდარიყო სასამართლოს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მისი ქონების დაზოგვა მოხდა ო. ბ-ის ხარჯზე. მშენებლებმა ო. ბ-ისათვის მიცემული დავალების საფუძველზე მისივე მეშვეობით გადაიხადეს რ. ტ-ის კუთვნილი თანხის ნაწილი. ამ მიმართებით მშენებლებისა და მოსარჩელის ნების გამოხატვა დადასტურდა არაერთი ვალის აღიარების ხელშეკრულებით.

77. აღნიშნულ ვითარებაში ცხადი იყო, რომ რ. ტ-ი არც უსაფუძვლოდ გამდიდრებულია და არც ქონება დაუზოგავს – მან მიიღო ის თანხა, რომელიც კანონიერად ეკუთვნოდა და თუ ვინმემ უსაფუძვლოდ დაზოგა თავისი ქონება და გამდიდრდა ამ გზით, ეს შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ მშენებლები (ს-ი, ნ-ი), რომლებმაც როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით, არაერთხელ დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება ო. ბ-ის წინაშე. თავად კასატორს კი ამ უკანასკნელის მიმართ არავითარი ვალი არ ჰქონია.

78. კასატორის მითითებით, მოცემული დავის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში სადავო 50 000 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ო. ბ-ეს ჰქონდა ორჯერ – როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების, ისე 2010 წლის 8 იანვრის ვალის აღიარების ხელშეკრულების საფუძველზე.

79. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ო. ბ-ისა და რ. ტ-ის საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

80. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 თებერვლის განჩინებით ო. ბ-ისა და რ. ტ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაზე ცნობილ იქნა დასაშვებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

81. რ. ტ-ის (შემდგომში „პირველი მოპასუხე“) საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის იურიდიული დასაბუთების შემოწმების შე-

დეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

82. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, რაც იმავე კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმობს საკასაციო სასამართლოს უფლებმოსილებას შეცვალოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

83. მოცემულ შემთხვევაში კასატორის პრეტენზია (და ზოგადად მისი პოზიცია ამ დავაში) არსებითად ეფუძნება იმას, რომ მოსარჩელემ მას თანხა გადასცა მეორე და მესამე მოპასუხეების (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პარაგრაფი) დავალების საფუძველზე, პირველი მოპასუხის მიმართ მეორე და მესამე მოპასუხეების ვალდებულების შესასრულებლად [...ტ-ი სთხოვდა ს-ს და ნ-ს იმ თანხის ნაწილს, რომელიც ასაშენებელი ფართობის ღირებულების სახით მათ გადასცა. ს-ი და ნ-ი დაპირდნენ ტ-ს, რომ 50 000 აშშ დოლარს მას გადასცემდნენ ბ-ის მეშვეობით, რომელსაც მშენებლებისათვის გადასახდელი ჰქონდა მისთვის გადასაცემი ფართის ღირებულება“]. აღნიშნულიდან მისთვის გადასაცემი ფართის ღირებულება“]. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტი, თითქოს მოსარჩელისათვის თანხის გამორთმევის ინიციატივა პირველ მოპასუხეს ეკუთვნოდა და ამაზე მეორე და მესამე მოპასუხეებს თანხმობა არ მიუციათ.

84. მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს გადასცა 50 000 აშშ დოლარი, რასაც პირველი მოპასუხეც აღირებს.

85. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არ დასტურდება პირველი მოპასუხის მიერ მოსარჩელისაგან მიღებული 50 000 აშშ დოლარის მეორე და მესამე მოპასუხეებზე გადაცემის ან სამშენებლო მიზნით გამოყენების ფაქტი, რასაც პირველი მოპასუხე, მის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ფაქტობრივად ეთანხმება, როცა საჩივარში მიუთითებს, რომ აღნიშნული თანხით მოხდა მოსარჩელის მიერ მის მიმართ მეორე და მესამე მოპასუხეების ვალდებულების ნაწილობრივ გაქვითვა, რის შედეგადაც მის მიმართ მეორე და მესამე მოპასუხეების ვალდებულება შემცირდა 200 000 აშშ დოლარიდან 150 000 აშშ დოლარამდე [... მშენებლებმა ო. ბ-ისათვის მიცემული დავალების საფუძველზე ო. ბ-ის მეშვეობით გადაიხადეს რ. ტ-ის კუთვნილი თანხის ნაწილი“; „... ვალის აღიარების ხელშეკრუ-

ლებით რ. ტ-ის მიერ გადახდილი 200 000 აშშ დოლარიდან გაიქვითა 50 000 აშშ დოლარი და ვალის აღიარება მოხდა მხოლოდ 150 000 აშშ დოლარზე. ეს ფაქტი კი, ცხადია, ცალსახად ადასტურებს, რომ მშენებლებმა ეს თანხა გამოაკლეს რ. ტ-ის მიერ მათთვის გადაცემულ 200 000 აშშ დოლარს“].

86. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე უთითებს, რომ მან პირველ მოპასუხეს 50 000 აშშ დოლარი მშენებლობისათვის გადასცა და პირველი მოპასუხეც არ უარყოფს ამ თანხის მიღებას, პირველი მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს იმ გარემოების დადასტურება, რომ მისთვის გადაცემულ თანხას ჰქონდა სხვა დანიშნულება, კერძოდ, წარმოადგენდა არა სამშენებლო მიზნით გადაცემულ, არამედ სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის შესაბამისად, მის მიმართ მეორე და მესამე მოპასუხეების ვალდებულების შესასრულებლად გადახდილ თანხას.

87. თუმცა ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს თანხა მეორე და მესამე მოპასუხეების დავალებით, პირველი მოპასუხის წინაშე ამ უკანასკნელთა ვალდებულების შესასრულებლად გადასცა, არ დასტურდება არც მხარეთა ახსნა-განმარტებით (გარდა თავად პირველი მოპასუხის ახსნა-განმარტებისა) და არც საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით (მათ შორის, მეორე მოპასუხის ჩვენებით და გამოძიების პროცესში მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით). მეორე და მესამე მოპასუხეების მიერ მოსარჩელის ან პირველი მოპასუხის სასარგებლოდ ვალის აღიარება ამ გარემოების (მათი დავალებით მოსარჩელის მიერ პირვალი მოპასუხისათვის თანხის გადაცემის) დამადასტურებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს, რადგან ვალის არსებობის აღიარებით ხდება ახალი ხელშეკრულების დადება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ წამდვილობისა. ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივ ძალასა და შინაარსზე (იხ. სუსგ №ას-252-240-2016, 10 ივნისი, 2016 წელი).

88. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ პირველმა მოპასუხემ მოსარჩელისაგან 50 000 აშშ დოლარი შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

მიიღო, რადგან საქმეში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, აგრეთვე არსებული მტკიცებულებებით, არ დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლების არსებობა.

89. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება.

90. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ერთი პირის გამდიდრება მოხდეს მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული იყოს იურიდიულ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში იშლება. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა თუ არა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც, ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შემცირების ხარჯზე.

91. უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც აღნიშნული შენაძენი ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები ალჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არ არის მნიშვნელოვანი რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას.

92. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ პირველი მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტი ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში და მიღებული შესრულება ექვემდებარება დაბრუნებას.

93. ო. ბ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გადანყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკასაციო საჩივარიც არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

94. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლების არსებობის შესახებ.

95. პალატა განმარტავს, რომ ვალის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად იღებს გარკვეული მოქმედებების შესრულების ვალდებულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. ვალის აღიარების ხელწერილით ხდება ვალის ამლიარებლის მხრიდან მოთხოვნის უფლების მქონე პირთან ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობის აღიარება, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მიიჩნევა, რომ ვალის ამლიარებელი ვალს, კრედიტორთან არსებული სამართალურთიერთობის საფუძველზე, როგორც თავის ვალს, ისე აღიარებს.

96. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დადგენილია, რომ ვალის აღიარების შესახებ 2010 წლის 8 იანვრის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობაზე (თანხის ოდენობა, გადახდის გრაფიკი), ამასთან, ვალის აღიარების თაობაზე თ. ნ-მა და გ. ს-მა ნება გამოხატეს ნოტარიუსთან, სადაც შედგა ხელშეკრულება და მოენერა ხელი, საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები კი საქმეში წარმოდგენილი არ არის, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებული დასკვნა გააკეთა ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლების არარსებობის შესახებ.

97. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ მოცემულ დავაში ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილობისათვის სამართლებრივად ღირებული იყო მეორე მოპასუხის მიერ ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის ცნობა. როდესაც დავა ეხება ხელშეკრულების ბათილად აღიარებას

და სარჩელი მიმართულია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, ამასთან მოსარჩელე ერთი მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულების ბათილად აღიარებით მიზნად ისახავს პასუხისმგებლობა დააკისროს სხვა მოპასუხეს, მნიშვნელოვანია, სასამართლომ შეაფასოს, რა სამართლებრივ შედეგს ესწავის ეს მოპასუხე მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების ბათილობის დადასტურებით. მოცემულ შემთხვევაში, ნათელია, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულების ბათილად ცნობით მეორე მოპასუხე თავისუფლდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან ანუ აღიარებით მისთვის დგება სასარგებლო შედეგი. ასეთ პირობებში მისი აღიარების სამართლებრივი ვარგისიანობის შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა, რაც მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა.

98. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ არ დასტურდება ო. ბ-ესა და რ. ტ-ს შორის დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართალური თიერთობის არსებობა.

99. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ნორმის ამგვარი დანაწესი განსაზღვრავს ხელშეკრულების დადების უმთავრეს წინაპირობას – მხარეთა ნების თანაარსებობას და შეთანხმებას მხარეთათვის მნიშვნელოვან პირობებზე. ამავე კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

100. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გარდა მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა, რასაც არ ეთანხმება პირველი მოპასუხე, რომ მხარეთა შორის არსებობდა კონკრეტული სახის ვალდებულებით სახელშეკრულებო ურთიერთობა, საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მხარეთა შორის დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობას, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მხარის მხოლოდ განმარტება, რომ ენდობოდა კონკრეტულ პირს და მას გადასცა თანხა, რომელიც, მისივე განმარტებით, უნდა გადაეცა მშენებლებისთვის, რაც არ მოხდა და ეს თანხა მიითვისა, არ ქმნის კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის წინაპირობას.

101. საკაციაო სასამართლო ვერ გაიზიარებს ასევე კასატორის მითითებას, რომ ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა, რომლის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელე დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე მიუთითებდა, დავალების ხელშეკრულების არსებობის დაუდგენლობის პირობებში სასამართლოს დელიქტიდან გამომდინარე საფუძვლით უნდა დაეკმაყოფილებინა.

102. სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონგებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით. სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება მხარის მიერ აღწერილ კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები, რაც იმას გულისხმობს, რომ მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნის უფლება მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

103. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს ამ მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, ზიანი, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია (იხ. სუსგ №ას-718-683-2015, 9 სექტემბერი, 2015 წელი).

104. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს, რომელიც ზიანის ანაზღაურებას დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო ითხოვდა, სარჩელში

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ ფაქტობრივ შემადგენლობაზე არ მიუთითებია.

105. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის დავალების ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების დაუდგენლობის პირობებში, სასამართლომ პირველ მოპასუხეს მოსარჩელისაგან შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული თანხის დაბრუნება მართებულად დააკისრა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია რომ ერთი პირის გამდიდრება მოხდეს მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული იყოს იურიდიულ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობს, ან შემდგომში იშლება. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად, ან განხორციელდა თუ არა იგი მათი ნების სანინააღმდეგოდ. ასევე არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას თუ მართლწინააღმდეგობას. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია მხოლოდ ობიექტური შედეგი – ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნა (დაზოგვა) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ისეთი სამართლებრივი შეფასების მოქმედება, რომელიც მოთხოვნას ყველაზე მეტად შეესაბამება, სასამართლოს პრეროგატივაა, რა დროსაც ერთ-ერთი საფუძვლით მოთხოვნის კვალიფიკაცია დანარჩენი სამართლებრივი საფუძვლით მოთხოვნის წარმოშობას გამოორიცხავს.

106. კასატორი ო. ბ-ე, ასევე, სადავოდ ხდის გასაჩივრებულ გადანყვეტილებას საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში და მის გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ საადვოკატო მომსახურების ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ აპელანტის მოთხოვნაზე სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა თავის გადანყვეტილებაში.

107. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას ზემოაღნიშნული მოტივით გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების თაობაზე და აღნიშნავს შემდეგს:

108. საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების სა-



კითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრის მექანიზმს, როდესაც, მართალია, მხარემ მოითხოვა პროცესის ხარვეზის დაბრუნება (ან მხარეთა შორის განაწილება) სასამართლოსაგან, მაგრამ სასამართლოს თავისი მიზეზით გამოიჩინა მხედველობიდან ამ საკითხის გადაწყვეტა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოტანს სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარვეზის საკითხი. ამრიგად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატივა შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სასამართლოს, ასევე მხარისაგან. ამასთან, კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

109. დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის დასმის 7-დღიანი ვადის დენის დაწყებას კი კანონი უკავშირებს გადაწყვეტილების გამოცხადებას და არა მხარისათვის მის ჩაბარებას (იხ. სუსგ №ას-225-217-2012, 25 ივნისი, 2012 წელი), რადგან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდეგ მხარეებისათვის (სასამართლოსათვის) ცხადი ხდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია ერთ-ერთი იმ ხარვეზით, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი.

110. შესაბამისად, კანონის ზემოაღნიშნული იმპერატიული დათქმა ემსახურება იმ მიზანს, რომ სასამართლომ დროულად გამოასწოროს მის მიერ დაშვებული ხარვეზი (იხ. სუსგ №ას-795-754-2013, 29 ნოემბერი, 2013 წელი)

111. ზემოთ მოყვანილ ნორმათა ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ მხარე საპროცესო კანონმდებლობით საკმარისად არის დაცული, რათა მან პროცესის მოგების შემთხვევაში დაიბრუნოს მის მიერ განეული ხარვეზი და აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი).

112. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ო. ბ-ემ საადვოკატო მომსახურების ხარჯის მოპასუხისთვის დაკისრება მოითხოვა დაზუსტებული სარჩელით

საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას. აღნიშნული მოთხოვნა მან ასევე დააყენა სააპელაციო საჩივარშიც, თუმცა სააპელაციო სასამართლოს თავის საბოლოო, 2015 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია.

113. ამრიგად, პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას), თუ მოსარჩელეს (აპელანტს) მიაჩნდა, რომ მის რომელიმე მოთხოვნაზე სასამართლომ არ იმსჯელა, მას შეეძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოეთხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, თუმცა მოსარჩელეს (აპელანტს) ამ უფლებით არ უსარგებლია. შესაბამისად, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზია საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების შესახებ აპელანტის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ო. ბ-ის და რ. ტ-ის საკასაციო საჩივრები, არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# პირობა კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები

## უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები

### ბანკინება

№ას-710-680-2016

9 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა და მოთხოვნის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:

1.1. სს „თ-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩე-  
ლი აღძრა სასამართლოში სს „ს-ის“ (შემდგომში – მოპასუხე,  
აპელანტი ან კასატორის მონინალმდევე მხარე) მიმართ უსა-  
ფუძვლოდ მიღებული დანახარჯების – 703 610,51 ლარის და-  
კისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 2003 წლის 7  
ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა მემორანდუმი, ხოლო  
ამავე მემორანდუმის საფუძველზე – ხელშეკრულება, რომლის  
ძალითაც მოსარჩელეს მოპასუხის ქონებაზე აღდგენითი და სა-  
რემონტო სამუშაოები უნდა ეწარმოებინა, რაც შესაძლებელს  
გახდიდა ელ.ენერჯის იმპორტს სომხეთიდან. ხელშეკრულების  
ფარგლებში წარმოებულმა სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუ-  
შაოების ღირებულებამ შეადგინა 261 851,88 ლარი, ხოლო შეძე-  
ნილი და დამონტაჟებული საჰაერო ამომრთველის ღირებულე-  
ბამ – 441 758,63 ლარი. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესუ-  
ლი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მხარეთა შორის გაფორ-  
მებული ხელშეკრულება ძალაში არ შესულა და სს „თ-ს“ მოპა-  
სუხის მიმართ დაეკისრა იმპორტირებულ ელ.ენერჯიაზე გადა-  
ცემა-დისპენჩერიზაციის მომსახურების სრული ანაზღაურების  
ვალდებულება, ამდენად, მოსარჩელეს არც კანონისმიერი და  
არც სახელშეკრულებო ვალდებულება 703 610,51 ლარის ღი-  
რებულების მომსახურების ანაზღაურებისა მოპასუხის მიმართ  
არ გააჩნდა.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ ხარჯების განწესის ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება, მოთხოვნა ხანდაზმულია, ამასთანავე, მოსარჩელე ვერ ამტკიცებს მოპასუხის გამდიდრების ფაქტს. რაც შეეხება საჰაერო ამომრთველის ღირებულების ანაზღაურებას, მოპასუხის განმარტებით, მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგანაც მას ნივთით არ უსარგებლია და ამით არ გამდიდრებულა, ის თანახმაა, დაუბრუნოს ნივთი მოსარჩელეს, რომელსაც ნაცვლად მისი ღირებულების ანაზღაურებისა, მოპასუხისაგან სწორედ ქონების გამოთხოვა შეეძლო მოეთხოვა.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 703 610,51 ლარის გადახდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## **5. სააპელაციო სასამართლოს განჩინების/გასაჩივრებულის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.2. აღნიშნული საქმე განხილულ იქნა საკასაციო წესითაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განჩინება საჰაერო ამომრთველის ღირებულების, ასევე, ამ ღირებულების პროპორციულად საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, ხოლო, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად.

5.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით მოპა-

სუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება გაუქმდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარემონტო ხარჯების 261 851 ლარის ანაზღაურება, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა საპაერო ამომრთველის ღირებულების – 441 758,63 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება (იხ. დაზუსტებული საკასაციო საჩივარი).

### **6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

6.1.1. განსახილველ შემთხვევაში, არსებობს კონდიქციური სარჩელის დაკმაყოფილების სამივე ელემენტი: ა) მოპასუხის გამდიდრება, რაც დასტურდება სარჩელზე დართული მტკიცებულებებით, მათ შორის, საპაერო ამომრთველის ღირებულების შესახებ სასაქონლო ზედნადებით; ბ) კასატორის ქონებრივი დანაკლისი – ნივთის შესაძენად გაღებული ფინანსური სახსრები; გ) მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადაანაცვლების უსაფუძვლობა, რაც დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც საფუძველი გამოეცალა მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასა და მემორანდუმს;

6.1.2. საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, 201-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები, 102-ე, 103-ე მუხლები, 219-ე მუხლის პირველი ნაწილი და 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

6.1.3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები და ამ თვალსაზრისით მიკერძოებულად შეაფასა მტკიცებულებები, რადგანაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორმა მონინაალმდეგე მხარეს გადასცა სადავო ნივთი, რომელიც ამ უკანასკნელს უნდა დაემონტაჟებინა, შესაბამისად, ნივთის არსებობის მტკიცების ტვირთი სწორედ მოპასუხეს ეკირებოდა, რომელსაც შესაგებლით სათანადოდ არ დაუცვია საკუთარი უფლება და მტკიცებულებებით არ გაუქარწყლებია სარჩელის საფუძვლიანობა, რის შემდგომაც მან დაკარგა პოზიციის შეცვლის უფლება, რადგანაც ახალი მტკიცებულებების სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის შემდგომ წარდგენა დაუშვებელია. ამ თვალსაზრისით კასატორი მიუთითებს მონინაალ-

მდევე მხარის 2014 წლის 10 აპრილის წერილის შინაარსობრივ მხარეზე და განმარტავს, რომ მოპასუხეს საჰაერო ამომრთველის დაუმონტაჟებლობა, მისი უვარგისობა და მოსარჩელისათვის დაბრუნების ნება არ გამოუხატავს, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ელექტროგადამცემი ხაზი „ა. ...-ზე“ განეული დანახარჯების დამადასტურებელი მტკიცებულება და ის გარემოება, რომ სადავო ნივთის გადაცემა 2003 წლის მომსახურების ხელშეკრულების ისეთივე ნაწილი იყო, როგორც სარემონტო სამუშაოების განევა, რაც დადასტურებულადაა მიჩნეული. მოპასუხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც საჰაერო ამომრთველის დაუმონტაჟებლად ელექტროენერჯის იმპორტის შეუძლებლობას დაამტკიცებდა. კანონისმიერი ვალდებულებით გათვალისწინებული ქონებრივი ბალანსის აღდგენა ნივთის დაბრუნებით ვერ მოხერხდება, რადგანაც კასატორის დანაკლისი ამ ნივთის შესაძენად განეული ხარჯია და არა თავად ნივთი;

6.1.4. არასწორია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა ნივთის დამონტაჟებისა და ამ დამონტაჟების შედეგად მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, რითაც ამ უკანასკნელმა დაზოგა მატერიალური სახსრები, თავად ნივთის ღირებულება კი, განსაზღვრულია მოწინააღმდევე მხარის 2014 წლის 10 აპრილის წერილით, ამდენად, მოპასუხის გამდიდრების ფაქტის განსაზღვრისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს გარემოებას იმის შესახებ, გამოიყენა თუ არა მან გადაცემული ნივთი;

6.1.5. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან, ასევე, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებას საქმეზე „ვ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ“.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი ადგენს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლებს და მათ განეკუთვნება შემდეგი:

- ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი;
- ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა;
- გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

1.2. საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს კონდიქციური ვალდებულების ფარგლებში გადაცემული ნივთის ღირებულების უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორისათვის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 აპრილის განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შესაბამისად, საქმის მასალების ხელახალი შესწავლით დადგენილად მიიჩნია, რომ:

1.2.1. მოპასუხემ მოსარჩელისათვის 2015 წლის 16 მარტს გაგზავნილ წერილში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: „სადავო BBA-220 ტიპის საჰაერო ამომრთველის მონტაჟი, ექსპლუატაცია ან სხვაგვარი სარგებლობა, ისევე როგორც რეალიზაცია, არც სს „ს-ას“, არც „თ-ს“ და არც სხვა რომელიმე სუბიექტს არ გაწუხორციელებია; სს „თ-ის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ დაზიანებული საჰაერო ამომრთველის შეცვლის ნაცვლად, შესრულდა მხოლოდ დაზიანებული ამომრთველის დემონტაჟი და B და C ფაზების BBA-220 ამომრთველის გადატანა „კოლხიდა – 1-ზე“. ამდენად, BBA-220 ტიპის საჰაერო ამომრთველი ექსპლუატაციაში არ შესულა; მოწყობილობის გადაცემის მომენტიდან დღემდე მოსარჩელეს არც ერთხელ არ მიუმართავს აპელანტისათვის არარსებული ვალდებულების საფუძველზე გადაცემული ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნით...“.

1.2.2. ამავე წერილში, მოპასუხე მზადყოფნას გამოხატავს BBA-220 ტიპის საჰაერო ამომრთველის მოსარჩელისათვის იმ მდგომარეობაში დაბრუნების შესახებ, რა მდგომარეობაშიც იგი მათი კომპანიისათვის გადაცემულ იქნა.

1.2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისადმი მოპასუხის მიერ გაგზავნილი მიმართვით მისი ავტორი სადავო – BBA-220 ტიპის საჰაერო ამომრთველის სასამართლოში დეპონირებას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელე მის უკან მიღებაზე უარს აცხადებდა.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა

საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მატერიალური თუ საპროცესო ნორმების, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებული მხარეთა თანასწორობის პრინციპისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის თაობაზე და კვლავ იმ უდავო გარემოებაზე გაამახვილებს ყურადღებას, რომ 2003 წლის 16 ოქტომბრის ხელშეკრულების ფარგლებში მან მოპასუხეს 441 758,63 ლარის ღირებულების საჰაერო ამომრთველი გადასცა, რომლის ღირებულების ანაზღაურებასაც განსახილველი სარჩელით მოითხოვს. უდავოა ისიც, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა ამ გადაცემის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობა – უსაფუძვლობა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი გვევლინება, რომლის თანახმადაც, შესრულების კონდიქცია გულისხმობს ვითომ კრედიტორის ქონების შეგნებულ და მიზანმიმართულ გაზრდას, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) საფუძველი, ან ამგვარი საფუძველი ნორმაში მითითებულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობის გამო, არ წარმოშობილა ან შეწყდა (გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველით). შესრულების კონდიქციისას, ისევე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის მახასიათებელი მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებაა, კანონისმიერი ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იმ ქონებრივი ბალანსის აღდგენაა, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვითომ კრედიტორის გამდიდრება. კონდიქციური ვალდებულების მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებია: მოპასუხის გამდიდრება; ამის შესაბამისად, მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; მატერიალურ/არამატერიალურ სიკეთეთა ამ გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა. მითითებულთაგან ერთ-ერთი ელემენტის არარსებობა, მოთხოვნის დაკმაყოფილებას გამორიცხავს, ამასთანა-



ნავე, როგორც მატერიალური (სკ-ის 976-ე მუხლი), ისე საპროცესო (სსსკ-ის 102-ე მუხლი) ნორმის თანახმად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (იხ. წინამდებარე საქმეზე საკასაციო პალატის მიერ 2016 წლის 22 აპრილს მიღებული განჩინება №ას-344-329-2016).

1.5. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუბრუნდება საქმეში წარმოდგენილი სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებს, რომელიც სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 13 ივლისის სხდომაზე განსხვავებულად იქნა ინტერპრეტირებული მოსარჩელის მიერ, კერძოდ, სარჩელის თანახმად, სს „თ-მა“ განმარტა, რომ მან ძალაში შეუსვლელი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი მხრივ, განახორციელა 261 851,88 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები (რაც საკასაციო პალატის შეფასების საგანს აღარ წარმოადგენს), ხოლო, მეორე მხრივ, შეიძინა და დაუმონტაჟა მოპასუხეს 441 758,63 ლარის ღირებულების ნივთი. ვინაიდან განხორციელებულ შესრულებას ნამდვილი ხელშეკრულება არ ედო საფუძვლად, მოსარჩელემ მოითხოვა როგორც შესრულების, ისე გადაცემული ნივთის ღირებულების ანაზღაურება. აღნიშნულის საპირისპიროდ, მან სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტა და საკასაციო საჩივრით დაადასტურა, რომ მას საჭირო ამომრთველი არ დაუმონტაჟებია, ამასთან, მისი ქონებრივი დანაკლისი ნივთის შესაძენად გაწეული ხარჯი და არა ნივთია, რომლითაც მისი მიმღები გამდიდრდა, მიუხედავად ნივთით სარგებლობის ფაქტისა და მოსარჩელის დანაკლისს წარმოადგენს შეძენის დროისათვის გაწეული ხარჯი. საკასაციო პალატა, ბუნებრივია, არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ პოზიციას სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო და ყურადღებას რამდენიმე საკითხზე გაამახვილებს:

1.5.1. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, გამდიდრების კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება შეიძლება იყოს, უპირველესად, უნდა შემონმდეს რამდენადაა შესაძლებელი ამ ნივთის დაბრუნება (სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი) და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგაა დასაშვები, თუ დამტკიცდება, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო (სკ-ის 979.2 მუხლი), ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს კონდიქციური ვალდებულების ფარგლებს, ხოლო მე-2 ნაწილით რეგულირებულია უსაფუძვლოდ

გადაცემული ქონების კომპენსაციის გადახდის ვალდებულება თუკი თავად გადაცემული სიკეთის დაბრუნების შეუძლებლობაა სახეზე, ასეთ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით.

1.5.2. კასატორის მსჯელობის საპირისპიროდ, სარჩელში აღნიშნულია, რომ კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორმა ზემოხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში შეიძინა და დაუმონტაჟა მოვალეს ნივთი, რასაც შესაგებლით არ დაეთანხმა მოპასუხე და განმარტა, რომ ნივთის გადაცემით იგი არ გამდიდრებულა, ნივთი დასაწყობებულია და მას იგი არ მოუხმარია. ამ გარემოების გათვალისწინებით გადაცემული ნივთის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა სწორედ იმის დადასტურება, რომ ნივთი მართლაც დაამონტაჟა, ამ დამონტაჟების შედეგად გაუმჯობესდა მოვალის ქონებრივი მდგომარეობა და მან დაზოგა შესაბამისი მატერიალური სახსრები არა უსარგებლოდ გადაცემული ნივთით, არამედ მისი ექსპლუატაციით (საკასაციო პალატის ამ დასკვნის საფუძველს როგორც სკ-ის 976.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 979.1 მუხლი, ისე სსკ-ის 102.1 მუხლი წარმოადგენს).

1.6. საკასაციო პალატა კვლავ ადასტურებს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების საკითხის მარეგულირებელი არც ერთი ნორმა არ ადგენს კრედიტორის უფლებადამცავ იმგვარ დანაწესს, რომელიც ქონებრივი წონასწორობის აღდგენას კრედიტორის სუბიექტური ინტერესის შესაბამისად დაადგენდა (შესრულების კონდიქციის მიზანი უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნებაა და კომპენსაცია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ობიექტური წინაპირობების არსებობისასაა დასაშვები). კანონის ამგვარი ნება ემყარება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რომლის ფარგლებშიც კონტრაჰენტი თავადაა განხორციელებული შესრულების ნეგატიური შედეგების რისკის მატარებელი. იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ ვითომ კრედიტორს გადაცემული ქონებით არ უსარგებლია, ნივთი ობიექტურად არსებობს, რის გამოც შესაძლებელია მისი დაბრუნება, მაშინ კონდიქციური ვალდებულების არსის საპირისპიროდ, ნივთის ღირებულების დაკისრება არა უსაფუძვლო გამდიდრების გათანაბრებას, არამედ მოვალის მდგომარეობის გაუმართლებელ გაუარესებას გამოიწვევს.

1.7. წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის არგუმენტებს, როგორც საპროცესო, ისე

მატერიალური სამართლის ნორმების დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ, საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 22 აპრილის განჩინებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი დასაბუთებისა (სსსკ-ის 412.2 მუხლი) და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სტანდარტით (სსსკ-ის 105-ე მუხლი) მტკიცებულებათა შეფასების გზით მართებულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა საჭაერო ამომრთველის ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საფუძვლიანობა, რის გამოც სწორად არ დააკმაყოფილა სარჩელი. რაც შეეხება კასატორის პოზიციას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლისა თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მოთხოვნების დარღვევის თაობაზე, არც მას იზიარებს პალატა ვინაიდან ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა ემყარება კანონისმიერ საფუძვლებს, საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით აღიარებულ შეჯიბრებითობის პრინციპსა და სწორედ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად „შემონმებულ“ მტკიცებულებებს, რაც გამორიცხავს მხარის უფლების დარღვეულად მიჩნევას. ამდენად, არ დგინდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია, ამასთანავე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით მას უარი ეთქვა საჭაერო ამომრთველის ღირებულების ანაზღაურების ნაწილში საკასაციო საჩივრის/სარჩელის დაკმაყოფილებაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში, ხოლო ამ ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობა არ არსებობს (სსსკ-ის 53-ე მუხლი).

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „თ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სსკვისი სამართლებრივი სიკაეთის ხელყოფის  
შედეგები და მისამე პირის ვალდებულება, უკან  
დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1193-1122-2015

31 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ი-ის (შემდეგში მოპასუხე, პირველი აპელანტი, პირველი კასატორი, მესაკუთრე, მიმღები, „ვიტომ-კრედიტორი“) განცხადება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ, ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ .... მდებარე 348.4 კვ/მ მიწის ნაკვეთზე (შემდეგში მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონება, უძრავი ნივთი) საკუთრების უფლების აღიარების შესახებ და 2009 წლის 9 მარტს მ. ი-ის სახელზე გაიცა საკუთრების მოწმობა № ..., რომლის საფუძველზეც ის საჯარო რეესტრში აღირიცხა მესაკუთრედ {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 3111.1 და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი}

2. მესაკუთრემ 2009 წლის 20 მარტს უძრავი ნივთი აჩუქა რ. დ-ს (შემდეგში: შემძენი, დასაჩუქრებული). ნაჩუქარი ქონება 20 000 ლარად შეფასდა {სსკ-ის 524-ე, 525.2 და 3111.1 მუხლები}.

3. შპს „ე.-ა-ის“ 2014 წლის 25 ოქტომბრის აუდიტორული დასკვნის თანახმად, მოპასუხის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (349 კვმ) საბაზრო-სარეალიზაციო ფასი 2009 წლის მარტი-ოქტომბრისათვის განისაზღვრა 5500 ლარით.

4. 2009 წლის 5 აგვისტოს დასაჩუქრებულმა აღნიშნული უძრავი ქონება მიჰყიდა უ. ვ-ს. ნასყიდობის საგნის ღირებულება 21 000 ლარი იყო {სსკ-ის 477-ე, 3111.1 მუხლები}.

5. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მესაკუთრის სახელზე ზემოაღნიშნული საკუთრების უფლების მონაწილეობა, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მისი გაცემის საფუძველად არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებაც.

6. 2011 წლის 14 ნოემბერს უ. ვ-მ შპს „...“-ს 165 000 ლარად მიჰყიდა უძრავი ნივთი გადახდის განვადებით {სსკ-ის 477-ე და 505-ე მუხლები}.

7. აღნიშნული მიწის ნაკვეთი შპს „...“ გაუერთიანა იმავე მისამართზე არსებულ სხვა მიწის ნაკვეთს და მასზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აღმართა. შესაბამისად, სადავო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის დაბრუნება დღეისათვის შეუძლებელია.

8. 2014 წლის 6 ოქტომბერს სსიპ ს.ქ.ე.ს-მ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, სააგენტო,) სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე, 165 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი იმ საფუძველით, რომ იგი სადავო ქონების გაჩუქებით არ გამდიდრებულა.

10. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 ლარის გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული გარემოებები, ხოლო დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 976-ე, 977-ე, 979-ე მუხლები.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწი-

ლობრივ გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხემ.

12. პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი ეფუძნებოდა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს:

12.1. მოპასუხის მიერ დადებული გარიგებები კანონიერია, ვინაიდან, 2009 წლის 20 მარტს, როდესაც მოპასუხემ გაასხვისა უძრავი ქონება, ხსენებულ ქონებაზე დავა სასამართლოში არ მიმდინარეობდა, სასამართლომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება ბათილად ცნო გარიგების დადების შემდეგ, 2009 წლის 8 ოქტომბერს.

12.2. მოსარჩელემ არასწორად მიუთითა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მართალია, მან შპს „მ-სგან“ მართლაც, მიიღო საცხოვრებელი ბინები, თუმცა აღნიშნული გარიგება სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა. მოპასუხე გარდა სადავო მიწის ნაკვეთისა, ასევე განკარგავდა 700 კვ.მ სხვა მიწის ნაკვეთს, რომელიც მოპასუხისგან შპს „მ-მა“ შეიძინა.

12.3. აუდიტორული დასკვნით, სადავო პერიოდისათვის უძრავი ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრებოდა 5500 ლარით, შესაბამისად, სასამართლოს მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება სწორედ ამ თანხის ფარგლებში უნდა შეეფასებინა.

12.4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლომ მოპასუხის საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე ბათილად ცნო საკუთრების მონმობისა და შესაბამისი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის დღიდან. შესაბამისად, მოპასუხე 2009 წლის 8 ოქტომბრამდე უფლებამოსილი იყო, გაესხვისებინა მის საკუთრებაში რიცხული ქონება.

12.5. აპელანტმა მიუთითა სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4, მე-5 პუნქტებზეც და განმარტა, რომ მოპასუხის მიმართ უნდა გავრცელებულიყო კანონიერი ნდობის პრინციპი და მას თანხის გადახდა არ უნდა დაკისრებოდა.

12.6. სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული, ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის გასული იყო სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ხოლო ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად უნდა განსაზღვრულიყო 2009 წლის 20 მარტი, როდესაც მოპასუხემ გააჩუქა უძრავი ნივთი ან/და 2009 წლის 8 ოქტომბრის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი.

13. მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის დასაბუთება ასეთი იყო:

13.1. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ უსაფუძ-

ვლოდ სხვისი ქონებით სარგებლობის ან სხვის ხარჯზე რაიმე სარგებლის მიღების შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ამ ქონების საერთო ღირებულება, ხოლო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა მხოლოდ ნაწილობრივ 20 000 ლარის ნაწილში, რის თაობაზეც სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად დასაბუთებული.

13.2. სასამართლოს დავის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 982-ე მუხლით დადგენილი ხელყოფის კონდიქციის სპეციალური დანაწესით.

13.3. საქმის გარემოებებით უდავოდ დასტურდება მოპასუხის არაკეთილსინდისიერება. მოპასუხემ მოჩვენებითი გარიგებებით სადავო ქონება შპს „მ-ზე“ გაასხვისა. შპს-მ აღნიშნული ქონება სხვა მიწის ნაკვეთთან გააერთიანა და მასზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი აღმართა, აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის ნატურით დაბრუნება და დღის წესრიგში დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე ზიანის ანაზღაურება იმ ოდენობით, რომლითაც მიძღები რეალურად გამდიდრდა.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. პალატის განმარტებით, პირი, რომელმაც ქონება უსაფუძვლოდ მიიღო, მოვალეა, აგრეთვე, დააბრუნოს ან ანაზღაუროს მთელი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვა ან უნდა მოეპოვებინა იმ დროიდან, როცა შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ ჰქონდა მიღებული. ამასთან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაზე, რაც მოვალემ მიიღო უსაფუძვლოდ მიღებული ქონების განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმების ანაზღაურების სახით. თუ აღნიშნული ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, გადაცემული ქონების მდგომარეობის ან სხვა მიზეზით, უნდა ანაზღაურდეს ქონებას შექმნის მომენტში არსებული ღირებულებით. ქონების დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, როცა შემძენმა იგი სხვას გადასცა უსასყიდლოდ, რადგან მან გააჩუქა სხვისი ქონება და თავისი დაზოგა. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ უსაფუძვლოდ სხვისი ქონებით სარგებლობის ან სხვის ხარჯზე რაიმე სარგებლის მიღების შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს დაზოგილი ხარჯების ტოლფასი თანხა.

16. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ 2009 წლის 20 მარტს სადავო მინის ნაკვეთის გაჩუქებით უსაფუძვლოდ დაზოგა მისი ქონება 20 000 ლარით, შესაბამისად, მოპასუხეს სწორედ მის მიერ უსაფუძვლოდ დაზოგილი ქონების ტოლფასი თანხის ანაზღაურება უნდა დაჰკისრებოდა და არა 165 000 ლარი, ვინაიდან შპს „მ-ს“ სადავო უძრავი ქონება მიჰყიდა არა მოპასუხემ, არამედ უ. ვ-მ, რომელმაც ქონება დასაჩუქრებულისაგან შეიძინა 21000 ლარად.

17. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე აპელანტმა შემდეგი დასაბუთებით:

17.1. პირველი კასატორის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

17.1.1. ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო სადავო ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების ბათილად ცნობამდე. საკუთრების უფლების აღიარების აქტის ბათილად ცნობა შეიძლება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდეს მხოლოდ მოპასუხის მიმართ და შემდგომ მესაკუთრეებზე მისი მოქმედება ვერ გავრცელდება. სადავო ქონებაზე დადებული შემდგომი ნასყიდობის ხელშეკრულებები კანონიერი გარიგებებია და ისინი სადავო არც ყოფილა.

17.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, (შემდეგში სსსკ-ის) 390-ე მუხლი, სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით გამოიტანა განჩინება, რითაც უგულებელყო სსსკ-ის 377.1 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

17.1.3. მოსარჩელემ არასწორად განმარტა ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ სადავო ქონებაზე დადებული გარიგებების სანაცვლოდ მოპასუხემ შპს „მ-სგან“ მიიღო რვა ბინა. აღნიშნულზე აპელირება არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან, მოპასუხეს შპს „მ-სთან“ სახელშეკრულებო ურთიერთობა აკავშირებდა მის საკუთრებაში რიცხული სხვა მინის ნაკვეთის გასხვისებიდან გამომდინარე, რასაც კონკრეტულ დავასთან სამართლებრივი კავშირი არა აქვს.

17.1.4. სასამართლომ ასევე, არასწორად განმარტა სსკ-ის 976-ე, 979-ე მუხლები. მესაკუთრის ქმედება არ შეიცავს უსაფუძვლო გამდიდრების მაკვალიფიცირებელ ნიშნებს. უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს რამდენიმე პირობა კუმუ-



ლაციურად, კერძოდ: მოპასუხის გამდიდრება, მოპასუხის გამდიდრების შესატყვისად მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი, მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადანაცვლების უსაფუძვლობა. კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე კეთილსინდისიერი მხარეა და მას რაიმე სახის სარგებელი არ მიუღია, მოპასუხემ სადავო ქონება უსასყიდლოდ, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა შემძენს.

17.1.5. ექსპერტ-აუდიტორის დასკვნით მიწის ნაკვეთის ღირებულება გასხვისების დროისათვის შეადგენდა 5500 ლარს. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ შეაფასა ზემოაღნიშნული მტკიცებულება.

17.1.6. მოპასუხეს აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის მიმართ გააჩნდა კანონიერი ნდობა, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა და არ შეაფასა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

17.2. მეორე კასატორის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

17.2.1. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კონკრეტულ დავაზე სასამართლომ უნდა ეხელმძღვანელა ხელყოფის კონდიქციის სპეციალური დანაწესით, რომელიც მოცემულია სსკ-ის 982-ე მუხლში და არ არსებობდა სსკ-ის 976-ე მუხლებით გათვალისწინებული შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე, თანხის დაკისრების წინაპირობები. 982-ე მუხლის პირველი ნაწილის იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. შესაბამისად, ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობისას მისი ღირებულების ანაზღაურება.

17.2.2. კონკრეტული საქმის გარემოებებით უდავოდ დასტურდება, მოპასუხის არაკეთილსინდისიერება. მიწის ნაკვეთზე დაიდო რამდენიმე მოჩვენებითი გარიგება, რის შედეგადაც მოპასუხემ საბოლოო შემძენისგან საკუთრებაში მიიღო 8 საცხოვრებელი ბინა.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 9 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებისა და საჩივრის

მოტივების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა პირველი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, ხოლო მეორე კასატორის მოთხოვნისა და სარჩელის უარყოფის შესახებ.

20. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ სამართლებრივად სათანადოდ არ დაასაბუთა თავისი დასკვნები, დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია განჩინების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რითაც დარღვეულია სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, მან არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრის მოტივების მთლიანი უარყოფა, სახელდობრ:

21. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტები:

21.1. სადავო უძრავი ნივთის თავდაპირველი მესაკუთრე იყო სახელმწიფო.

21.2. ამ ნივთზე აღიარებულ იქნა მოპასუხის საკუთრების უფლება სპეციალური კანონის („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“) საფუძველზე და 2009 წლის 18 მარტიდან საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო მოპასუხე.

21.3. 2009 წლის 20 მარტს მან უძრავი ნივთი აჩუქა რ. დ-ს, რომელმაც 2009 წლის 5 აგვისტოს ეს ნივთი 21 000 ლარად მიჰყიდა უ. ვ-ს, ამ უკანასკნელმა კი, მოგვიანებით, 2011 წლის 14 ნოემბერს, ნივთი გაასხვისა შპს „მ-ზე“ 165 000 ლარად.

21.4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მესაკუთრის სახელზე ზემოაღნიშნული საკუთრების უფლების მონაწილეობა, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მისი გაცემის საფუძველად

არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადან-  
ყვეტილებაც.

22. მოპასუხისათვის 165 000 ლარის დაკისრების ფაქტობ-  
რივ და სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე მიუთითებდა  
უსაფუძვლო გამდიდრების (კონდიქცია) ნორმებზე. ყველა სა-  
ხის კონდიქციური მოთხოვნის, მათ შორის შესრულების კონ-  
დიქციის დროს {სსკ-ის 976-ე-881-ე მუხლები} მოპასუხე (მო-  
ვალე) აუცილებლად უნდა იღებდეს ქონებრივ სარგებელს, ანუ  
მდიდრდებოდა. ამ წინაპირობის არარსებობა კი იმთავითვე გა-  
მორიცხავს მოთხოვნას. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ  
აღნიშნა, რომ: „უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამარ-  
თლებრივი საფუძველის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც  
უნდა ვიგულისხმობთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირა-  
ტესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს  
სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რო-  
მელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებ-  
ულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატე-  
სობის მიღებამდე“... უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის  
ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს  
რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძველოდ მიღებუ-  
ლი ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გა-  
დაქმნას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არა-  
ვითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა  
პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრე-  
დიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ  
არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან  
გამომდინარე, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის  
დაბრუნებას“ (იხ. სუსგ. №ას-74-71-2016, 225-215-2016  
25.05.2016, №ას-184-171-2015, 20.05.2016).

23. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხეს სა-  
ხელმწიფომ სპეციალური კანონის საფუძველზე ქონება საკუთ-  
რებაში გადასცა მიზანმიმართულად (შესრულების კონდიქცია)  
და მხოლოდ მოგვიანებით, ისიც მესამე პირის და არა სახელ-  
მწიფოს მოთხოვნით, გამოეცალა ამ შესრულებას სამართლებ-  
რივი საფუძველი, რაც შეიძლებოდა საფუძველად დასდებოდა  
მოსარჩელის (შემსრულებლის) მხრიდან შესრულებულის უკან  
დაბრუნების მოთხოვნას სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწი-  
ლის „ა“ ქვეპუნქტისა და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-  
ნახმად, თუმცა იმის გამო, რომ მიმღებმა მიღებული უსასყიდ-  
ლოდ გადასცა (აჩუქა) მესამე პირს, ხოლო ამ უკანასკნელმა კი,  
მოგვიანებით გაყიდა მიღებული, მოპასუხე არ წარმოადგენს იმ

პირს, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე {სსსკ-ის 85-ე მუხლი}. მოპასუხის სათანადოობა უკავშირდება სადავო მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობას, მისგან გამომდინარე მოთხოვნების ნამდვილობის წინაპირობებს და ამ წინაპირობების განხორციელების სამართლებრივ შედეგებს. მხოლოდ იმის დადგენა, რომ ქონებრივი გადაადგილება განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. აუცილებელია იმის დადგენაც, ამის შედეგად გამდიდრდა თუ არა მოპასუხე, ანუ ამ გადაადგილებით გაიზარდა თუ არა მისი ქონება.

24. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხემ მესამე პირზე ქონების გაჩუქებით დაზოგა მისი ქონება 20 000 ლარით. ამ შემთხვევაში ქონება არ გადაცემულა ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ {სსკ-ის 525-ე მუხლის მესამე ნაწილი} და არც დასაჩუქრებულს წარმოშობია რაიმე სახის საპასუხო ვალდებულება, შესაბამისად, არც მისი ქონება არ გაზრდილა. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 989-ე მუხლის დანაწესით, რომლის მიხედვითაც: „თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია. ზიანის ანაზღაურების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 979-ე-981-ე მუხლების მოთხოვნები“ და აქედან გამომდინარე, მოპასუხის არასათანადოობის გამო უარეყო სარჩელი.

25. მეორე კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე თავიდანვე არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა და მან მინის ნაკვეთზე დადო რამდენიმე მოჩვენებითი გარიგება, რათა შემდეგ მინის საბოლოო შემქნისგან საკუთრებაში მიეღო 8 საცხოვრებელი ბინა, არადაამაჯერებელია. დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთის მქონე მოსარჩელემ გასაგებად ვერ წარმოადგინა, რომ მოპასუხე ამ გზით გამდიდრდა. ჯერ ერთი, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ მინის ნაკვეთზე საკუთრება მოიპოვა ადმინისტრაციული ორგანოს – საკუთრების უფლების ალიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია თავის ფუნქციებს ახორციელებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისა და სპეციალური კანონით დადგენილი წესის მიხედვით. 2009

წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც კომისიამ საკუთრებაში გადასცა მოპასუხეს, მდებარეობდა ურბანული განვითარების სტრატეგიულ ზონაში. ამ გარემოების გათვალისწინება კი კომისიას ევალუბოდა და არა მოპასუხეს. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ 2009 წლის 20 მარტის და 5 აგვისტოს, ასევე, 2011 წლის 14 ნოემბრის გარიგებები მოსაჩვენებლად დაიდო და ამის შედეგად მოპასუხემ რაიმე სახის სარგებელი მიიღო. მეორეც, ჯერ კიდევ სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებამდე, 2007 წლის 28 დეკემბერს, უძრავი ქონების ნასყიდობის საფუძველზე წარმოემგვა შპს-ს („“) ვალდებულება, საკუთრებაში გადაცემული 700 კვ. მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, მოპასუხისათვის გადაეხადა 350 000 ლარი სამი წლის განმავლობაში. მოგვიანებით, 2011 წლის 14 ნოემბრის მხარეთა შეთანხმებით კი, ფულადი შესრულება შეიცვალა სხვა შესრულებით, ანუ შპს-ს მიერ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში 8 ბინის საკუთრებაში გადაცემით {სსკ-ის 428-ე მუხლი}.

26. ამრიგად, მოპასუხის გამდიდრების ფაქტის არარსებობა გამორიცხავს სარჩელის საფუძვლიანობას – არა მარტო შესრულების, არამედ ხელყოფის კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნასაც (სსკ-ის 982-ე მუხლი).

27. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არარსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან, ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება,

28. ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც მხარეებმა განიეს საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამარ-

თლო შეცვლის გადანყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3-ე, 53-ე, 199<sup>1</sup>-ე და 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სსიპ „ს.ქ.ე.ს-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მ. ი-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
4. სსიპ „ს.ქ.ე.ს-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. სსიპ „ს.ქ.ე.ს-ს“ მ. ი-ძის სასარგებლოდ, დაეკისროს 1850 ლარის გადახდა მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. გაუქმდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას შემდეგ უძრავ ქონებას; ქ. ბათუმი, ..... (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №.....); ქ. ბათუმი, (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) და ქ. ბათუმი, ... (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №.....);
7. გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შეცდომით სსპისი ვალდებულების გასტუმრება

### გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-1069-1022-2014

16 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),

პ. ქათამაძე (მომხსენებელი),

ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 3 სექტემბერს ლ. კ-სა (შემდეგში გამყიდველ-სა) და თ. მ-ს (შემდეგში მყიდველს, მოპასუხეს ან კასატორს) შორის დაიდო უძრავი ქონების (ქ. თბილისში, ს-ის ქ. №...-ში, ს-ოს ქ. №...-ში მდებარე №9 ბინის) ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 35000 აშშ დოლარით, რომელიც გადაიხადა მყიდველმა. 2012 წლის 7 სექტემბერს უძრავი ქონება აღირიცხა მოპასუხის საკუთრებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 477-ე და 183-ე მუხლები).

2. მოპასუხის (მყიდველის) ბინის შესაძენად საჭირო 35000 აშშ დოლარიდან 27500 აშშ დოლარი მოსარჩელემ გამყიდველს საკუთარი სახსრებით გადაუხადა. ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე, მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ გააჩნდა ვალი – 11300 აშშ დოლარი.

3. ზ. ჯ-მა (შემდეგში მოსარჩელემ) სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, სესხის – 27500 აშშ დოლარისა და ზიანის – 4125 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

4. მოსარჩელის განმარტებით, მას მოპასუხესთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ამ უკანასკნელმა ისარგებლა მოსარჩელის ნდობით და ბინის შეძენაში დახმარება სთხოვა. მათ უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე მოლაპარაკება აწარმოეს გამყიდველის ძმასთან ვ. კ-თან (შემდეგში გამყიდველის ძმასთან ან მოწმესთან). ამ უკანასკნელს მოსარჩელემ სხვადასხვა დროს გადაუხადა ნასყიდობის ფასის ნაწილი – 27500 აშშ დოლარი, კერძოდ: 2012 წლის 1 აგვისტოს – 7500 აშშ დოლარი,

2012 წლის 9 აგვისტოს – 10000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის 20 აგვისტოს – 10000 აშშ დოლარი. მას შემდეგ, რაც მოპასუხემ უძრავი ქონება თავის საკუთრებაში აღრიცხა, მან უარი განაცხადა მოსარჩელისათვის იმ თანხის დაბრუნებაზე, რაც ამ უკანასკნელმა გამყიდველს გადაუხადა. მოსარჩელის განმარტებით, მას შეეძლო 27500 აშშ დოლარი გამოეყენებინა სამეწარმეო საქმიანობისთვის და ყოველთვიურად მიეღო 1.5%-იანი შემოსავალი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან სარჩელის აღძვრამდე შეადგენდა 4125 აშშ დოლარს.

5. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს მისთვის ბინის შესაძენად თანხა არ უსესხებია. მოპასუხის განმარტებით, მან თავისი სახსრებით შეიძინა ბინა, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე გამყიდველს სრულად გადაუხადა ნასყიდობის ფასი 35000 აშშ დოლარი (2012 წლის 31 ივლისს – 7500 აშშ დოლარი, 2012 წლის 16 აგვისტოს – 10000 აშშ დოლარი, 2012 წლის 20 აგვისტოს – 10000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის 3 სექტემბერს – 7500 აშშ დოლარი). მოპასუხის განმარტებით, 31.07.2012 წელს და 20.08.2012 წელს გამყიდველისათვის გადაცემული თანხა იყო დანაზოგი, რომელსაც მოსარჩელესთან ერთად არსებული საერთო ბიზნესიდან აგროვებდა. რაც შეეხებოდა 16.08.2012 წელს გამყიდველისათვის გადაცემულ თანხას, ეს უკანასკნელი მას ასესხა მეგობარმა, ხოლო 03.09.2012 წელს გადაცემული ფული კი, დეიდამ გამოუგზავნა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით:

- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 16200 აშშ დოლარის გადახდა;
- მოსარჩელეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურებაზე;
- მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისათვის წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის – 2000 ლარის დაკისრებაზე.

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს ბინის შესაძენად ასესხა 27500 აშშ დოლარი, რომელსაც უნდა გამოკლებოდა 11300 აშშ დოლარი (ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოსარჩელის ვალი მოპასუხის მიმართ) და მიღებული სხვაობა – 16200 აშშ დოლარი, სსკ-ის 623-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა.

8. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლებზე



და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ზიანის მიყენების ფაქტი, რაც ამ ნაწილში მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ, კერძოდ, მოპასუხემ (პირველმა აპელანტმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მოსარჩელემ (მეორე აპელანტმა) გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით:

- მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;
- მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი (რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისათვის წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის – 2000 ლარის დაკისრებაზე) ნაწილობრივ გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;
- მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 1140 ლარის ანაზღაურება;
- დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

11. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიჩნია, რომ ამ უკანასკნელმა სამართლებრივად სწორად შეაფასა ისინი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 623-ე მუხლის საფუძველზე, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, მართებულად დაეკისრა 16200 აშშ დოლარის გადახდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერი იყო მოპასუხის (პირველი აპელანტის) მიერ გასაჩივრებულ ნაწილში და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

12. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის (მეორე აპელანტის) პრეტენზია, წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე

და მიიჩნია, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგენი სსსკ-ის) 53-ე და 47.2-ე მუხლების საფუძველზე, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაკისრებოდა ადვოკატის მომსახურებისათვის განუვლი ხარჯი სარჩელის მოგებული ნაწილის პროპორციულად, კერძოდ, 16200 აშშ დოლარის 4% ანუ 648 აშშ დოლარი (1140 ლარი).

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. საკასაციო საჩივრის საფუძველები:

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 623-ე მუხლი, რადგან მხარეებს შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულია და, შესაბამისად, არც სესხის დაბრუნების ვალდებულება არ წარმოშობია მოპასუხეს. ორივე ინსტანციის სასამართლომ ბინის მყიდველის თანმხლები პირი მიიჩნია ნასყიდობის ფასის გადამხდელად (გამსესხებლად), ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე. არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის სესხის ხელშეკრულების დადება;

– სსკ-ის 624-ე მუხლის მიხედვით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. მოცემულ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტს მოწმეებიც კი არ ადასტურებდნენ, მასზე მხოლოდ მოსარჩელე მიუთითებდა;

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ, სასამართლომ არასწორად შეაფასა 2012 წლის 31 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტი (ბეს გადახდის დამადასტურებელი საბუთი), ასევე, მოწმის 2013 წლის 17 დეკემბრის ჩვენება და 2013 წლის 13 ივნისის ხელწერილი;

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 47-ე და 53-ე მუხლები და, შესაბამისად, მოპასუხეს არასწორად დააკისრა მოსარჩელის მიერ განუვლი იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურება. იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების დადების ფაქტი არ ადასტურებს აპელანტის მიერ ხარჯის განევას. აპელანტს დამატებით უნდა წარმოედგინა ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

15. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

16. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

17. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონებს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოპასუხის (მყიდველის) ბინის შესაძენად საჭირო 35000 აშშ დოლარიდან 27500 აშშ დოლარი გამყიდველს გადაუხადა მოსარჩელემ საკუთარი სახსრებით. ეს გარემოება სააპელაციო სასამართლომ დაადგინა 2013 წლის 13 ივნისის ხელნერილის საფუძველზე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-2, მე-7 და მე-11 პუნქტები).

19. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს წარმოდგენილი აქვს ნაწილობრივ დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

20. საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო ურთიერთობა, კერძოდ, ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არასწორად გამოიყენა სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები.

21. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 986-ე მუხლი (პირს, რომელიც შეგნებულად ან შეც-

დომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება).

22. მითითებული ნორმის მიხედვით, სხვისი ვალის გადახდა კონდიქციური ვალდებულების საფუძველი ხდება იმის გამო, რომ უსაფუძვლოდ დაიზოგა სხვისი ქონება. იგულისხმება, რომ პირი შეგნებულად ან შეცდომით აკეთებს ამას. ორივე შემთხვევაში, ვალის გადამხდელს უფლება აქვს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ დაზოგილის უკან დაბრუნება.

23. ზოგადად, კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის ერთდროულად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოვალის გამდიდრება; ამის შესაბამისად, კრედიტორის ქონებრივი დანაკლისი; კრედიტორიდან მოვალესთან სამართლებრივი სიკეთის გადანაცვლების უსაფუძვლობა/გაუმართლებლობა.

24. სსკ-ის 986-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, დადგინდეს, რომ არსებობს სხვისი ვალი და იგი არა მოვალემ, არამედ მესამე პირმა გაისტუმრა.

25. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადანყვეტილებით დადგენილია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს (მყიდველს) გამყიდველისათვის უნდა გადაეხადა 35000 აშშ დოლარი. დადგენილია ისიც, რომ მყიდველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე ნაწილობრივ შეასრულა მესამე პირმა (მოსარჩელემ). ეს შესრულება შეესაბამება სსკ-ის 371-ე მუხლის დანაწესს (თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც), კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, არც კანონიდან და ხელშეკრულებიდან და არც ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალეს (მოპასუხეს) პირადად უნდა შეესრულებინა ვალდებულება.

26. მხარეთა შორის სადავოა მოსარჩელის მიერ მოპასუხის ნაცვლად გასტუმრებული ვალის მოცულობა, კერძოდ, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მან მოპასუხის ბინის შესაძენად საჭირო 35000 აშშ დოლარიდან 27500 აშშ დოლარი გადაუხადა გამყიდველს. მოსარჩელის მოსაზრებით, ეს გარემოება დასტურდება 13.06.2013 წლის ხელწერილით და ამავე ხელწერილის დამწერი პირის (მოწმის) ჩვენებით (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს 17.12.2013 წლის მოსამზადებელი სხდომის ოქმი (ელექტრონული კოპიაკ-დისკი). მითითებული ხელწერილის მიხედ-

ვით, გამყიდველმა მოსარჩელისგან მიიღო ბინის საფასურის ნაწილი – 27500 აშშ დოლარი, კერძოდ: 2012 წლის 1 აგვისტოს – 7500 აშშ დოლარი, 2012 წლის 9 აგვისტოს – 10000 აშშ დოლარი, ხოლო 2012 წლის 20 აგვისტოს – 10000 აშშ დოლარი.

27. ზემოხსენებულ ხელწერილს მოპასუხე უპირისპირებს 31.07.2012 წლის თანხის მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერენ მყიდველი (მოპასუხე) და გამყიდველის ძმა. ამ აქტის მიხედვით, მყიდველმა ბინის შესაძენად გადასცა, ხოლო გამყიდველის ძმამ მიიღო ბე – 7500 აშშ დოლარი. სადავო არაა, რომ გამყიდველის ძმა მოქმედებდა გამყიდველის დავალებით (სსკ-ის 709-ე მუხლი) და ამ უკანასკნელმა მიიღო ნასყიდობის საფასური.

28. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 13.06.2013 წლის ხელწერილით დასტურდება მოსარჩელის მიერ გამყიდველისათვის 7500 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი. საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზემოხსენებული ხელწერილი და მიღება-ჩაბარების აქტი წინააღმდეგობრივი შინაარსისაა, კერძოდ, ერთ შემთხვევაში (ხელწერილში), გამყიდველის რწმუნებული აცხადებს, რომ მან, 2012 წლის პირველ სექტემბერს, 7500 აშშ დოლარი მიიღო მოსარჩელისგან, ხოლო, მეორე შემთხვევაში (მიღება-ჩაბარების აქტში) კი, მიუთითებს, რომ, 2012 წლის 31 ივლისს, იმდენივე თანხა მიიღო უშუალოდ მყიდველისგან. საკასაციო პალატას სწორედ ეს უკანასკნელი მტკიცებულება მიაჩნია სარწმუნოდ, ვინაიდან იგი წარმოადგენს ბეს ხელშეკრულებას (სსკ-ის 421-ე მუხლი) და ხელმოწერილია ორივე მხარის (გამყიდველისა და მყიდველის) მიერ. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია უშუალოდ თანხის გადაცემის მომენტში, ხოლო 13.06.2013 წლის ხელწერილი კი – თანხის გადაცემიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ. გარდა ამისა, წინააღმდეგობრივია მოწმის სახით დაკითხული გამყიდველის რწმუნებულის ჩვენებაც ხსენებული თანხის გადაცემის თაობაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თუ გადახდილად მივიჩნევთ როგორც ხელწერილში, ასევე, მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ თანხას, მაშინ 7500 აშშ დოლარით გაიზრდება ნასყიდობის ფასი და, შესაბამისად, უფრო მეტი იქნება, ვიდრე ეს ხელშეკრულებაშია მითითებული. უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველი არ ადასტურებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე უფრო მეტი თანხის მიღების ფაქტს. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 13.06.2013 წლის ხელწერილი ვერ გააქარწყლებს ბეს ხელშეკ-

რულებას, რომლითაც დასტურდება 7500 აშშ დოლარის გამყიდველისათვის გადაცემა უშუალოდ მყიდველის მიერ, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში კასატორს წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

29. დაუსაბუთებელია კასატორის (მოპასუხის) პრეტენზია იმის შესახებ, რომ 13.06.2013 წლის ხელწერილში მითითებული 20000 (ოცი ათასი) აშშ დოლარით მოსარჩელეს მოპასუხის ვალი არ გაუსტუმრებია. კასატორის მოსაზრებით, ეს გარემოება დასტურდება გამყიდველის რწმუნებულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებით. საკასაციო პალატა კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, ჯერ ერთი, მონმე თავის ჩვენებაში არ უარყოფს ზემოხსენებული ხელწერილის დაწერისა და მოსარჩელისგან 20000 (ოცი ათასი) აშშ დოლარის მიღების ფაქტს. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსკ-ის 429-ე მუხლის საფუძველზე, მოვალის მოთხოვნით შესრულების მიღების შესახებ კრედიტორის მიერ გაცემული ხელწერილის გაქარწყლება მხოლოდ ამ უკანასკნელის ზეპირი განმარტებით შეუძლებელია.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არსებობს სსკ-ის 986-ე მუხლის წინაპირობები, კერძოდ, მოსარჩელემ შეგნებულად გაისტუმრა მოპასუხის ვალი, რითაც ეს უკანასკნელი მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდა (დაზოგა საკუთარი ქონება), შესაბამისად, მოსარჩელემ განიცადა ქონებრივი დანაკლისი, ამასთან, სამართლებრივმა სიკეთემ მოსარჩელისაგან (კრედიტორიდან) მოპასუხესთან (მოვალესთან) უსაფუძვლოდ გადაინაცვლა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის უპირველესი ფუნქცია კრედიტორის ადრინდელ ქონებრივ მდგომარეობაში აღდგენაა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს უკან უნდა დაუბრუნოს დაზოგილი ქონება.

31. გამდიდრების მოცულობის განსაზღვრისას, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოპასუხის მოთხოვნა (11300 აშშ დოლარი) და 13.06.2013 წლის ხელწერილიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა (27500 აშშ დოლარი) სასამართლომ ერთმანეთში გაქვითა, ხოლო გაქვითვის შედეგად დარჩენილი თანხა – 16200 აშშ დოლარი მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება ამ ნაწილში მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია, შე-

საბამისად, წინამდებარე განჩინების 28-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობის მიხედვით, 16200 აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს 7500 აშშ დოლარი და მიღებული სხვაობა – 8700 აშშ დოლარი ( $16200-7500=8700$ ) გადასახდელად უნდა დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

32. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2000 ლარამდე ოდენობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

33. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, არ უნდა დაეკისროს ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება, ვინაიდან ასეთი ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

34. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების ან ასეთი მომსახურებისათვის განეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა, არ გამორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით წარმო-

მადგენლის დახმარებისათვის განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (იხ. სუს 09.02.2012წ., №ბს-1330-1315 (კ-11); 30.10.15წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-2016წ. გადაწყვეტილებები). მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს ადვოკატთან გაფორმებული აქვს იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები), რომლის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, ადვოკატს გადაუხადოს 2000 ლარი ამ უკანასკნელის მიერ სასამართლოში საქმის წარმოებისათვის. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 744.00 ლარის  $(8700 \times 4\% = 348 \times 2.14 = 744.00)$  გადახდა მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად.

35. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 560.00 ლარის  $(8700 \times 3\% = 261 \times 2.14 = 560.00)$  გადახდა, ხოლო, მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს 1445.00 ლარის  $(7500 \times 9\% = 675 \times 2.14 = 1445.00)$  გადახდა მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 53-ე, 264.3-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. თ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ჯ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. თ. მ-ს, ზ. ჯ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 8700.00 აშშ დოლარის გადახდა;
5. ზ. ჯ-ის სარჩელი თ. მ-ისათვის 7500.00 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;



6. თ. მ-ს, ზ. ჯ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 744.00 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად;

7. თ. მ-ს, ზ. ჯ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 560.00 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

8. ზ. ჯ-ს, თ. მ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 1445.00 ლარის გადახდა მოპასუხის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. დელიქტური ვალდებულება

### სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-857-821-2014

21 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული  
ზიანი

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, შპს „მ-ისა“ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა, სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 998-ე მუხლების საფუძველზე, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლის სახით 52 000 ლარისა და შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის სახით 26 780 ლარის, ჯამში – 78 780 ლარის ოდენობით.

2. სარჩელის თანახმად, ნ. გ-ე წარმოადგენს ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში 4260 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელიც 2004 წელს შეიძინა. რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „მ-ს“ სურდა ანძის დამონტაჟება, მოსარჩელემ მოახდინა მიწის ნაკვეთის გამიჯვნა და 4260 კვ.მ.-დან 60 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღრიცხა ცალკე, არასასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულებით. 2005 წელს შპს „მ-მა“ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაიწყო ანძის მშენებლობა. მას მოსარჩელესთან უნდა გაეფორმებინა იჯარის ხელშეკრულება და გადაეხადა საიჯარო ქირა, თუმცა მხარეები საიჯარო ქირის ოდენობაზე ვერ შეთანხმდნენ. 2011 წელს ნ. გ-ემ მიმართა საჯარო რეესტრს ორივე მიწის ნაკვეთზე ამონაწერის განახლებისათვის, რაზეც ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ ადგილი ჰქონ-

და მიწის ნაკვეთების გადაფარვას შპს „მ-ის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან 150 კვ.მ მიწის ფართობის ნაწილში. მოსარჩელემ შეიტყო, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილი – 150 კვ.მ ფართობით არაკანონიერად მიუყიდა შპს „მ-ისთვის“. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ოზურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და გაუქმდა საჯარო რეესტრის ჩანაწერი ოზურგეთის რაიონის დაბა ნაკირალში მდებარე 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „მ-ის“ საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ. მიწის ნაკვეთი კვლავ აღრიცხა მოსარჩელის საკუთრებაში. 2013 წლის აგვისტოში მან შპს „მ-თან“ გააფორმა ქირავნობის ხელშეკრულება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც ყოველთვიური ქირა განსაზღვრულია 500 ლარის ოდენობით. მოსარჩელის განმარტებით მან მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებების გამო წლების განმავლობაში ვერ მიიღო ის თანხა, რასაც მიიღებდა მიწის ნაკვეთის გაქირავებით. მის ოჯახს არ ჰქონდა შემოსავალი და იძულებული იყო რამდენჯერმე აელო სესხი. 2005-2013 წლებში ნ. გ-ის მიმართ მიყენებული ზიანის ოდენობა, მიუღებელი შემოსავლის სახით წარმოადგენს 52000 ლარს, ხოლო შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანი არის 26780 ლარი.

3. მოპასუხე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო. მოპასუხე შპს „მ-ის“ განმარტებით, ქირავნობის საგანი რეალურად არ წარმოადგენს იმ უძრავ ქონებას, სადაც განთავსებულია და მანამდეც განთავსებული იყო მ-ის ანძა; ხოლო ის უძრავი ქონება, სადაც განთავსებულია მ-ის ანძა, არ არის მოსარჩელის საკუთრებაში. ხოლო მოპასუხე საჯარო რეესტრის სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურმა მიუთითა, რომ მას არანაირი ფაქტობრივი ან სამართლებრივი კავშირი არ აქვს მოსარჩელესა და შპს „მ-ს“ შორის კერძო დავასთან, ამასთან, სარჩელი ხანდაზმულია.

4. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო.

5. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

6. 2014 წლის 14 აპრილს მოსარჩელემ ქუთაისის სააპელა-

ციო სასამართლოს მიმართა განცხადებით სასარჩელო მოთხოვნის 50000 ლარამდე შემცირების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა, რომ იგი 50 000 ლარამდე ამცირებს მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის ნაწილში, ხოლო შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნაზე მთლიანად უარს ამბობს.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის განჩინებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

8. სააპელაციო პალატამ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ოზურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების (სარეგისტრაციო ზონა ოზურგეთის რაიონის კოდი 26, სექტორი დაბა ნასაკირალი კოდი 29, ფართობი 150 კვ. მეტრი, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო) ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ჩანაწერი ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში მდებარე 150 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №.....) შპს „მ-ის“ საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ. ასევე ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში მდებარე 150 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (სარეგისტრაციო ზონა ოზურგეთის რაიონის კოდი ..., სექტორი დაბა ნასაკირალი კოდი ..., ფართობი 150 კვ. მეტრი, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო) ოზურგეთის რაიონული გამგეობის საკუთრებად აღრიცხვის შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში მდებარე 4260 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის ნ. გ-ის სახელზე აღრიცხვა;

8.2. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დადასტურდა, რომ 60 კვ. მეტრი უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., აღრიცხულია ნ. გ-ის საკუთრებად;

8.3. 2013 წლის 1 აგვისტოს გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება მოსარჩელე ნ. გ-ესა და მოპასუხე შპს „მ-ს“ შორის, რომლის თანახმად, მოპასუხე შპს „მ-მა“ მოსარჩელე ნ. გ-ისაგან თვეში ხუთას ლარად დაიქირავა 60 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №.....

9. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალა-

ქო კოდექსის 50-ე, 319-ე, 317-ე, 316-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან „მოვალის ვალდებულება ამ დროისათვის შესრულებაშია“, ხოლო 2013 წლის პირველ აგვისტომდე მხარეებს ერთმანეთის მიმართ არანაირი ვალდებულება არ აკავშირებდათ. შესაბამისად, ვინაიდან 2013 წლის პირველ აგვისტომდე მხარეებს შორის არ არსებობდა არანაირი ვალდებულებითი ურთიერთობა, არ არსებობს არც ამ პერიოდში მიუღებელი შემოსავალი. ოზურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით სადავო ტერიტორია იყო მ-ის საკუთრება და შპს „მ-ს“ არანაირი ვალდებულება არ გააჩნდა მოსარჩელის მიმართ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. ხოლო საქმეზე დართული ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლად, ვინაიდან ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, მართალია, გაუქმდა ოზურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ჩანაწერი, მაგრამ აღნიშნული ვერ მიიჩნევა იმის მტკიცებულებად, რომ სწორედ მითითებულმა ფაქტობრივმა გარემოებამ გამოიწვია აპელანტისთვის (მოსარჩელისათვის) ზიანის მიყენება.

10. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მიუღებელი შემოსავლის სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობებით და დამოკიდებულია ამ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემოსავლის მიღების ალბათობაზე. სააპელაციო პალატის მითითებით აპელანტმა ვერ შეძლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, სათანადო მტკიცებულებებით დაე საბუთებინა მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა.

11. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გარდა მოთხოვნის უსაფუძვლობისა, სარჩელი ხანდაზმული იყო.

12. სამოქალაქო კოდექსის 128.1-ე, 129.1-ე და 130-ე მუხლებზე მითითებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის განმარტებით დადგენილი იყო, რომ მისი უფლების დარღვევის შესახებ მან შეიტყო 2005 წლიდან, როდესაც შპს „მ-მა“ დაიწყო ანძის მშენებლობა, ხოლო მან თავისი შესაძლო დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა 2013 წლის 25 სექტემბერს, ხანდაზმუ-

ლობის ვადის დარღვევით.

13. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრის სააგენტოს მიმართაც მოთხოვნა უსაფუძვლო იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის და მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესებიდან გამომდინარე, ვინაიდან მხარე თავად არის უფლებამოსილი წარადგინოს სათანადო დოკუმენტები რეგისტრაციისათვის და, შესაბამისად, საჯარო რეესტრმა კონკრეტული რეგისტრაციის საკითხის განხილვისას კანონის ამ მოთხოვნათა დაცვით უნდა იხელმძღვანელოს. ამასთან, როდესაც მოხდა შპს „მ-ის“ უფლების რეგისტრაცია (სადავო ნაკვეთთან დაკავშირებით) საჯარო რეესტრში, არ არსებობდა მხარის ვალდებულება დაზუსტებული, ელექტრონული ვერსიის ნადგენის თაობაზე.

14. მხარის მითითება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ოზურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ჩანაწერი, საჯარო რეესტრის უკანონო ქმედების შედეგად მიადგა ზიანი, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან მისი განმარტებით, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა რა მიზეზობრივ კავშირში იყო სასამართლოს მიერ გაუქმებული რეგისტრაცია და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა მიუღებელ შემოსავალთან.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

16. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

17. კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, უგულვებლყო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის შესრულება ევალება ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს და, პირველ რიგში, სასამართლოს. ის ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც გახდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველი (დაკმაყოფილდა ნ. გ-ის მოთხოვნა სრულად) სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა უკანონოდ, მაგრამ არ მიუთითა რატომ და რომელი კანონის საფუძველზე.

18. სასამართლომ არ გაითვალისწინა ოზურგეთის რაიონუ-

ლი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ 2005 წელს, როცა შპს „მ-მა“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის-გან შეიძინა 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შპს „მ-ი“ ჩაითვალა არაკეთილსინდისიერ შემძენად, რაც ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 2005 წელს შპს „მ-ისთვის“ ცნობილი იყო ფაქტი, რომ 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო ნ. გ-ე. აღნიშნული მითითებულია ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებაში. 2013 წლის გადაწყვეტილებით ასევე დადგენილია, რომ 150 კვ.მ მიწის ის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შპს „მ-ის“ ანძა, მთლიანად მდებარეობს ნ. გ-ის საკუთრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ბათილად ცნობდა მხოლოდ გადაფარვის ნაწილს. აღსანიშნავია ისიც, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ მოპასუხე მხარეებს.

19. სააპელაციო სასამართლო მიერ მითითებული გარემოება, რომ „შპს „მ-ის“ მიერ ფაქტობრივად შემოღობილი მიწის ნაკვეთი მოიცავს ნ. გ-ის კუთვნილი №..... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 30,3 კვ. მეტრს, საიდანაც ანძას დაკავებული აქვს 14,9 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფართი, კასატორის აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს. აღნიშნული კოდით ნ. გ-ის საკუთრებაშია 60 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო და ნიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც ოთხივე მხარეს ესაზღვრება ნ. გ-ის საკუთრებაში არსებული 4200 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ფაქტობრივად ერთად შემოღობილია  $4200+60=4260$  კვ.მ მიწის ნაკვეთი; შპს „მ-ის“ ანძა განთავსებულია 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, აქედან ნაწილი განთავსებულია ..... კოდით (60 კვ.მ მიწის ფართი) ნაწილი კი ..... კოდით (420 კვ.მ. მიწის ფართი) განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე; სასამართლომ არ გაარკვია 14,9 კვ.მ-ის გარდა,  $150-14,9=135,1$  კვ.მ მიწის ნაკვეთი ვის საკუთრებაშია განთავსებული, ხოლო აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შპს „მ-ი“ რომ არ არის, ეს სასამართლოსთვის დადასტურებულია, ვინაიდან არ არსებობს შპს „მ-ის“ ან სხვა პირის საკუთრების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერი გარდა ნ. გ-ის სახელზე არსებული ამონაწერისა.

20. სააპელაციო სასამართლომ განჩინებით იმსჯელა მიუღებელი შემოსავლით გამონვეულ ზიანზე, ეს მაშინ, როცა სახ. ბაჟის გადახდის დროს, აპელანტმა ნ. გ-ემ განცხადებაში მიუთითა, რომ მას მიაჩნია მისი მოთხოვნა სწორად და სამართლებრივად დადასტურებულად, მაგრამ არ აქვს ფინანსური საშუალება გადაიხადოს სახ. ბაჟი მოთხოვნის შესაბამისად, ამიტომ იძულებული იყო უარი ეთქვა შემოსავლის მიუღებლობით გა-

მონვეული ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე ნაწილობრივ შემცირებინა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში 4.2 და 4.8 პუნქტებში მითითებულია, თითქოსდა, სასამართლო სხდომაზე შეამცირა მოთხოვნა ნ. გ-ემ.

21. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის განჩინებაში – პუნქტი 2.8 მითითებულია შემდეგი: „დადგენილია, რომ ნ. გ-ემ თავისი შესაძლო დარღვეული უფლებების დასაცავად მიმართა სასამართლოს 2013 წლის 25 სექტემბერს“. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს, რამეთუ ნ. გ-ემ თავისი დარღვეული უფლებების დასაცავად მიმართა სასამართლოს 2011 წელს, რაზედაც ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2013 წლის 31 იანვარს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ხოლო 2013 წლის 25 სექტემბრის სარჩელი არის ნ. გ-ის დარღვეული უფლების აღდგენის მეორე ეტაპი, როცა მოითხოვა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, შესაბამისად, დაუსაბუთებელია ნ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა, სასამართლო არ მიუთითებს, თუ მოთხოვნა ხანდაზმულია, რომელ პერიოდს შეეხება იგი, ნ. გ-ემ სასამართლოს მიმართა 2011 წელს, გამომდინარე აქედან, სამი წლის მოთხოვნა – 2008 წლიდან რომელი კანონის საფუძველზე ჩათვალა სასამართლომ ხანდაზმულად, დაუსაბუთებელია.

22. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი. რადგანაც მოცემულ შემთხვევაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „მ-ი“ ცნობილ იქნა არაკეთილსინდისიერ შემძენად, რადგან მისთვის ცნობილი იყო, რომ 150 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო ნ. გ-ე და არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შესაბამისად, შპს „მ-ისთვის“ წინასწარ იყო სავარაუდო ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

23. კასატორის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის განჩინებაში სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 102-ე, 130-ე, 316-ე, 317-ე, 319-ე, 361-ე, 394-ე, 412-ე, 411-ე მუხლები, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი, მაგრამ არასწორად განმარტა მოცემულ დავასთან მიმართებაში და საქმეზე მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 1200 ლარის გა-



დახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. იმავე განჩინებით დაკმაყოფილდა ნ. გ-ის განცხადება ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის 26 000 ლარამდე შემცირების თაობაზე და აღნიშნულ ფარგლებში საკასაციო საჩივარი მოპასუხეების – შპს „მ-ის“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 31 ივლისის განჩინებით ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

26. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

### **სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა**

27. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განხილვის საგანს წარმოადგენს მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის ნაწილი. შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის მოთხოვნაზე მოსარჩელემ უარი განაცხადა.

28. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არამართებულად დაადგინა სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის შემცირების ფაქტი. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის ამ მითითებას.

29. კასატორი საკასაციო საჩივარშივე აღნიშნავს, რომ საკუთარი მოთხოვნა მიაჩნია სწორად და სამართლებრივად დასაბუთებულად, მაგრამ არ აქვს ფინანსური საშუალება, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი მოთხოვნის შესაბამისად, ამიტომ იძულებული გახდა, უარი ეთქვა შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე, ნაწილობრივ შეემცირებინა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა.

30. სწორედ აღნიშნული საკითხი გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 4 ივნისის სასამართლო სხდომაზე (იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 ივნისის

სხდომის ოქმი, CD დისკი, 14:20:45 – 14:20:53) და მართებულად დაადგინა, რომ მიუღებელი შემოსავლის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე მოსარჩელემ (აპელანტი) უარი განაცხადა, ხოლო მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის ნაწილში მოთხოვნა შეამცირა, რომლის საწინააღმდეგოდ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია.

31. კასატორმა საკასაციო სასამართლოში კვლავ შეამცირა მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ნაწილში და წინამდებარე გადაწყვეტილების საგანია მოუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 26 000 (ოცდაექვსი ათასი) ლარის ოდენობით.

### **სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა**

32. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-ემ თავისი შესაძლო დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა 2013 წლის 25 სექტემბერს.

33. სამოქალაქო კოდექსის 128.1-ე, 129.1-ე, 130-ე მუხლებზე მითითებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის განმარტებით, მისი უფლების დარღვევის შესახებ მოსარჩელემ შეიტყო 2005 წელს, როდესაც შპს „მ-მა“ დაიწყო ანძის მშენებლობა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. ხოლო მოსარჩელემ თავისი შესაძლო დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა 2013 წლის 25 სექტემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

34. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცესი დასრულდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით. მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2013 წლის 25 სექტემბერს. ამგვარად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129.1-ე, 130-ე მუხლების შესაბამისად მოსარჩელის მოთხოვნა არ არის ხანდაზმული (იხ. სუსგ №ას-472-448-2013, 5 დეკემბერი, 2013 წ.).

### **დელიქტით მიყენებული ზიანისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძვლები**

35. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საჯარო რეესტრის ეროვნული საა-

გენტროს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახური და შპს „მ-ი“, სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 998-ე მუხლების შესაბამისად, სოლიდარულად აგებენ პასუხს მოსარჩელის საკუთრების მართლსაწინააღმდეგო განკარგვის გამო მისთვის მიყენებული ზიანისათვის.

36. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

37. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელისშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 998.2).

38. თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 998.1).

39. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეში დადგენილია სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით სოლიდარული პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

39.1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ოზურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, აგრეთვე, საჯარო რეესტრის ჩანაწერი ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში მდებარე 150 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №.....) შპს „მ-ის“ საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ;

39.2. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, ასევე ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი იმავე მიწის ნაკვეთის ოზურგეთის რაიონული გამგეობის საკუთრებად აღრიცხვის შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში მდებარე 4260 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის ნ. გ-ის სახელზე აღრიცხვა;

39.3. 60 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №... ამჟამად აღრიცხულია ნ. გ-ის საკუთრებად.

40. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულო

ფაქტს წარმოადგენს ის, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით უკანონოდ იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის ჯერ ოზურგეთის რაიონული გამგეობის, ხოლო შემდეგ შპს „მ-ის“ საკუთრებაში აღრიცხვა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაუბრუნდა კასატორს და კვლავ აღირიცხა მის საკუთრებად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 407.2).

41. თავის მხრივ, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით (რომლითაც გაუქმდა ოზურგეთის რაიონის გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება) დადგენილია, რომ:

41.1. ოზურგეთის რაიონის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებებით დაირღვა კასატორის საკუთრების უფლება;

41.2. ოზურგეთის რაიონის გამგეობასთან 2005 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას შპს „მ-ი“ წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს, რადგან მან იცოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო მოსარჩელე.

42. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს მოცემულ საქმეში აქვთ პრეიუდიციული მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

43. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობს დილიქტით მიყენებული ზიანისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის ცალსახა საფუძველი. სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, ოზურგეთის გამგეობა მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო კასატორის საკუთრების უფლების თაობაზე, სადავო მიწის ნაკვეთი ჯერ აღრიცხვა გამგეობის საკუთრებად, ხოლო შემდეგ გაასხვისა შპს „მ-ზე“. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მხრიდან სათანადო შემოწმების შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა ზემოაღნიშნულ დარღვევას, რაც ასევე მიუთითებს ოზურგეთის საჯარო რეესტრის სამსახურის, როგორც ხელის შემწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ მოქმედებაზე.

44. რაც შეეხება შპს „მ-ს“, უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ არის გამოკვეთილი ზიანის დადგომაში მისი უშუალო მონაწილეობის ან ხელის შეწყობის დამადასტურებელი გარემოებები. დადგენილია მხოლოდ ის, რომ მიწის ნაკვეთის შექმნისას მან იცოდა, რომ ოზურგეთის რაიონის გამგეობა არ იყო მისი მესაკუთრე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს.

45. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი შემძენი არის ის, ვინც უძრავი ნივთის შექმნის მომენტში იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 185). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, წარმოადგენს თუ არა შპს „მ-ი“, რომელმაც უძრავი ნივთის შექმნისას იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ პირს, რომელმაც სხვისი საკუთრების მართლსაწინააღმდეგო განკარგვით ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა.

46. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ზოგადად, დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენებით, რომელიც გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით ან ბრალის გარეშე პასუხისმგებლობით (მაგ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი). ამავე დროს, დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების არსებობა. აუცილებელია, აგრეთვე, ამ ქმედებით ზიანის მიყენება. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვისაც ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს სწორედ ზიანის მიყენების ფაქტი.

47. დელიქტური ვალდებულების ზოგადი კონცეფციის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედი პირი – დელიქტორი – თავისი მოქმედების განხორციელებამდე ჯერ არ არის სამართლებრივ ურთიერთობაში იმასთან, ვისაც ის ზიანს აყენებს.

48. აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე, დელიქტორი უპირველეს ყოვლისა, არის ის, ვინც ზიანი უშუალოდ მიაყენა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მსგავს დანაწესს ითვალისწინებს მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, რომლის 1382-ე და 1383-ე მუხლების თანახმად, ადამიანის ნებისმიერი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს უშუალოდ ზიანის მიმყენებელმა. ყოველი პირი აცემს პასუხს ზიანისათვის, რომელიც მან მიაყენა სხვას თავისი განზრახვი, გაუფრთხილებელი ან დაუდევარი მოქმედებით.

49. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი აფართოებს პასუხისმგებელ პირთა წრეს და მიუთითებს, რომ დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ სუბიექტებს წარმოდგენენ არა მხოლოდ შემსრულებელი (ანუ ის, ვინც ზიანი უშუალოდ მიაყენა), არამედ ისიც, ვინც შემსრულებელი დაიყოლია ან მისი ხელისშემწყობი იყო, და ასევე ისიც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა.

50. შემსრულებელთან ერთად ნამქეზებლებისა და დამხმარე პირების დელიქტურ პასუხისმგებლობას გერმანული სამოქალაქო კოდექსიც იცნობს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 830-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი).

51. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი უფრო შორს მიდის და შემსრულებელთან ერთად პასუხისმგებლობას აკისრებს აგრეთვე იმასაც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა. ამით სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსხვავდება გერმანული<sup>2</sup> და ფრანგული რეგულაციებისაგან და შესაძლებელია ქმნიდეს ერთგვარ გამოწვევის დელიქტურ ვალდებულებათა ზოგადი ნესიდან, რომლითაც უზრუნველყოფილია ვალდებულების არსებობის უფრო მაღალი სტანდარტი „alterum non laedere“ (არ მიყენო ზიანი სხვას). აბსოლუტური დაცვის სისტემამ უფლებებთან ერთად მოიცვა ასევე ფასეულობები, რომლებიც ეკუთვნის უფლებათა დაცვის სფეროს. აღნიშნული სფერო მოიცავს პირის უფლებას და, შესაბამისად, მესამე პირის ვალდებულებას, არ იყოს სხვისთვის ზიანის მიყენების „პასიური მეთვალყურე“ და არ ისარგებლოს ამ ზიანით, თუნდაც ამის თაობაზე მისთვის

---

<sup>2</sup> დელიქტური პასუხისმგებლობის კონტექსტში საყურადღებოა, აგრეთვე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 992-ე პარაგრაფი, რომელიც განსაზღვრავს დელიქტის ჩამდენი მფლობელის პასუხისმგებლობას. აღნიშნული ნორმის თანახმად, დელიქტის ჩამდენად ითვლება მფლობელი, რომელმაც მფლობელობა მოიპოვა აკრძალული თვითნებობის ან დანაშაულის ჩადენის გზით. ასეთი მფლობელი მესაკუთრის წინაშე პასუხს აგებს დელიქტის ნორმების თანახმად. თავის მხრივ, აკრძალული თვითნებობა გულისხმობს მოქმედებას, რომლითაც პირი, მფლობელს ამ უკანასკნელის ნების გარეშე ართმევს მფლობელობას ან ხელს უშლის მფლობელობის განხორციელებაში (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 858-ე პარაგრაფი). აკრძალული თვითნებობის შედეგად შექმნილი მფლობელობა ხარვეზიანია. მფლობელის უფლებამონაცვლემ უნდა დაუშვას მის მიმართ პრეტენზიის წარგენა, თუ იგი არის მფლობელის მემკვიდრე ან მფლობელობის შექმნისას მან იცის მისი წინამორბედის მფლობელობის ხარვეზიანობის შესახებ (იქვე, 858-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი).

მოგვიანებით გახდეს ცნობილი.

52. აქედან გამომდინარე, განსახილველ დანაწესში (ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგულისხმება ორი შემთხვევა: (1) პირი, ვინც თავისი უმოქმედობით ხელი შეუწყო სხვის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებას, რადგან სხვისთვის ზიანის დადგომა მას ანიჭებს რაიმე სარგებელს და ეს უმოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (მაგალითად, მეზობელმა ისარგებლა მუშების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რასაც მოჰყვა მისი მეზობელი მიწის ნაკვეთის მიჯნის მოშლა); (2) მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი გახდა ზიანისა და მისი წარმომშობი მიზეზების თაობაზე, პირმა შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (მაგალითად, შეგნებულად ბინა შეიძინა იმ პირისაგან, ვინც ყალბი საბუთების საფუძველზე აღირიცხა ბინის მესაკუთრედ და ეს შემძენისთვის გახდა ცნობილი) და ამ შემთხვევაშიც, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

53. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევა განსახილველი დანაწესით მოცემული ნორმატიული განმარტებისაგან. განსხვავება არსებობს როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ კრიტერიუმებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით რეგულირდება უფრო ფართო შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, ასევე სამოქალაქო კოდექსის 998.2-ე მუხლის დანაწესით მოცემულ შემთხვევასაც.

54. წინამდებარე დავაში დადგენილია, რომ შპს „მ-ი“ წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს, რომელმაც შეძენის მომენტში იცოდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ იყო სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მიუხედავად ამისა, მან შეიძინა მიწის ნაკვეთი, რითაც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ-ი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურთან ერთად წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობის სუბიექტს.

55. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ დამატებით შპს „მ-ის“ პასუხისმგებლობის კრიტერიუმები განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლით. შპს „მ-ი“ არ არის

კეთილსინისიერი შემძენი, შესაბამისად, ის არის არაკეთილსინდისიერი მფლობელი, რომლისგანაც უფლებამოსილ პირს (კასატორს) შეუძლია მოითხოვოს მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. ამ მიღებულ სარგებელს წარმოადგენს არამართლზომიერი მფლობელობის პერიოდში ის თანხა, რასაც მიღებდა მესაკუთრე.

56. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მხარეთა შორის უფლება-ვალდებულებები წარმოიშვა მხოლოდ 2013 წლის 1 აგვისტოს ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 1 აგვისტოს წარმოიშვა მხარეთა შორის სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობები, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება არ მისცა არამართლზომიერი მფლობელობიდან წარმოშობილ მხარეთა შორის ურთიერთობებს.

57. დაუსაბუთებელია, ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქირავნობის საგანი არ წარმოადგენდა იმ უძრავ ქონებას, სადაც განთავსებულია და მანამდეც განთავსებული იყო შპს „მ-ის“ ანძა. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ დასძენს, რომ კონკრეტული ურთიერთობის გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება ქირავნობის ხელშეკრულებამდე არსებულ პერიოდს.

58. ამდენად, სადავო მიწის ნაკვეთის არამართლზომიერად შეძენისა და არაკეთილსინდისიერი მფლობელობის მომენტიდან მხარეთა შორის წარმოიშვა ვალდებულებითი ურთიერთობები (სამოქალაქო კოდექსი, 992-ე, 998.2-ე, 164-ე მუხლები).

59. რაც შეეხება დასაკისრებელი თანხის ოდენობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არცერთ მოპასუხეს, საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდია მისი გაანგარიშების წესი. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელის (კასატორის) მოთხოვნა მიუღებელ შემოსავლის ნაწილში (ოდენობა) მოპასუხეების მიერ არ არის შედავებული. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით 26 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

60. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

61. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სა-



სამართლომ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად მართებულად არ შეაფასა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი.

62. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე თანდართულ მტკიცებულებებს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული, მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი.

63. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე თანდართული მტკიცებულებები (ოზურგეთის რაიონის გამგეობის 2005 წლის 28 ნოემბრის №540 დადგენილება; ოზურგეთის რაიონის გამგეობის 2005 წლის 21 ნოემბრის აქტი მინის ნაკვეთის შერჩევის შესახებ; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2006 წლის 22 თებერვლის №14-10/-445 წერილი; დაბა ნასაკირალის ტერიტორიაზე „მ“-სა და „ჯ“-ს ანძების ადგილმდებარეობის სქემატური გეგმა; 2005 წლის 23 ივნისის აქტი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 16 ივნისის №91851 წერილი; სიტუაციური გეგმა-ნახაზი; საკადასტრო რუკა), მთლიანობაში 9 ფურცლად;

64. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებულ ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სა-

სამართლო ხარჯების გადახდისაგან.

65. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მონინალმდეგე მხარეებს, შპს „მ-ს“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს ნ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ, ნ. გ-ის მიერ სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3120 (სამიათას ას ოცი) ლარისა (ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 26 000 ლარის 3% – 780 ლარი + სააპელაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 26 000 ლარის 4% – 1040 ლარი + საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 26 000 ლარის 5% – 1300 ლარი) და ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის – 500 ლარის, ჯამში 3620 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ივნისის განჩინება;
3. ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხეებს, შპს „მ-ს“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს სოლიდარულად დაეკისროთ ნ. გ-ის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 26 000 ლარის გადახდა;
5. კასატორ ნ. გ-ეს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ოზურგეთის რაიონის გამგეობის 2005 წლის 28 ნოემბრის №540 დადგენილება; ოზურგეთის რაიონის გამგებლის 2005 წლის 21 ნოემბრის აქტი მინის ნაკვეთის შერჩევის შესახებ; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2006 წლის 22 თებერვლის №14-10/-445 წერილი; დაბა ნასაკირალის ტერიტორიაზე „მ“-სა და „ჯ“-ს ანძების ადგილმდებარეობის სქემატური გეგმა; 2005 წლის 23 ივნისის აქტი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 16 ივნისის №91851 წერილი; სიტუაციური გეგმა-ნახაზი; საკადასტრო რუკა), მთლიანობაში 9 ფურცლად;
6. მოპასუხეებს, შპს „მ-ს“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

გამგეობას და ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს სოლი-  
დარულად დაეკისროთ ნ. გ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის  
მიერ სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (3120  
ლარისა) და ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯე-  
ბის (500 ლარის), ჯამში 3620 ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## **ზიანის ანაზღაურება**

### **მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით**

№ას-616-586-2013

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფას“ (შემდეგში: შემკვე-  
თი, საწარმო, კომპანია) და შპს „ქ. ა-ს“ (შემდეგში: შემსრულე-  
ბელი, მენარდე, მოსარჩელე ან კასატორი) შორის 2010 წლის 1  
თებერვალს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკ-  
რულება, რომლის საგანს შემკვეთისათვის ადიტორული მომსა-  
ხურების გაწევა წარმოადგენდა (საქართველოს სამოქალაქო  
კოდექსის, შემდეგში სს.კ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. ხელშეკრულების მიხედვით, გაწეული მომსახურების  
ანაზღაურება მოხდებოდა დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარდგე-  
ნისა და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის სა-  
ფუძველზე. ხელშეკრულების 7.2.1 პუნქტის მიხედვით, შემკვე-  
თი ვალდებულია კისრულობდა, მენარდის (შემსრულებლის)

მიერ შესრულებული სამუშაო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 საბანკო დღის განმავლობაში აენაზღაურებინა.

3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაში შესრულებას უზრუნველყოფდა პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.01%-ით განისაზღვრა (სსკ-ს 417-ე-418-ე მუხლები).

4. 2010 წლის 20 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. ამ აქტის თანახმად, მენარდემ შემკვეთის დავალებით შეასრულა აუდიტორული მომსახურება (კომპანიის 2009 წლის ფინანსური ანგარიშგების ა-ი), რომლის საფასური მხარეებმა თავდაპირველად 30 000 ლარით, ხოლო მოგვიანებით 12 000 ლარით განსაზღვრეს.

5. შემკვეთმა არ შეასრულა მენარდის წინაშე ნაკისრი ვალდებულება და მენარდეს შეთანხმებული 12 000 ლარი არ გადაუხადა.

6. შემკვეთის (კომპანიის) 100%-იანი წილის მესაკუთრე სახელმწიფო იყო. დამფუძნებლის 2012 წლის 10 ოქტომბრის განწყვეტილების საფუძველზე დაიწყო კომპანიის ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც იმავე წლის 15 ოქტომბერს (5 დღეში!) დასრულდა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განწყვეტილებით სანარმოს რეგისტრაცია გაუქმდა.

7. კომპანიის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება: 67 996 ლარი, 12 702 443 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება და 13 672 072.68 ლარის დებიტორული დავალიანების მოთხოვნის უფლება სახელმწიფოს გადაეცა.

8. 2012 წლის 17 ოქტომბერს მენარდემ სარჩელი აღძრა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ (შემდეგში: მოპასუხე) წინააღმდეგ განეული მომსახურების საფასურის ძირითადი დავალიანების – 12 000 ლარის, აგრეთვე, 2010 წლის 20 აგვისტოდან 2012 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით პირგასამტეხლოს – 940 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან მოთხოვნის გამომრიცხველ შესაგებელში მიუთითა, რომ იურიდიული პირის უფლებანარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან დაწყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან. მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელეს თავისი უფლების რეალიზაცია იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესში უნდა მოეხდინა, რაც არ განუხორციელებია. ამასთან, შემკვეთის 2012 წლის 9 ოქტომბრის წერილით დასტურდება, რომ მას მოსარჩელის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით: სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12 940 ლარის გადახდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 24-ე, 25-ე, 316-ე, 317-ე, 361-ე, 417-ე, 418-ე მუხლები, აგრეთვე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: მენარმეთა კანონი) მე-14 და 44-ე მუხლები და მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა ვალდებულების შესრულების ფაქტი.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცვალა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12.1. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ნინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მან განმარტა, რომ ლიკვიდაცია არის იურიდიული პირის (საწარმოს) არსებობის შეწყვეტა, რომლის შედეგად, მისი უფლებები და მოვალეობები უფლებამონაცვლეობის წესით სხვა პირებზე არ გადადის („სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, შემსყიდველის ლიკვიდაციის ფაქტის დასრულებისთანავე, საწარმომ, როგორც ორგანიზებულმა წარმონაქმნმა, არსებობა შეწყვიტა და მას ვალდებულებებზე უფლებამონაცვლე არ დარჩენია (სსკ-ის 25.4 მუხლი). მენარმეთა კანონის 3.4 და 44.1 მუხლებით განმტკიცებული შპს-ს პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნიდან გამომდინარე, პარტნიორისათვის (კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო) საწარმოს მიერ ნაკისრი ვალდებულების ანაზღაურების დაკისრება დაუსაბუთებელია და საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს ეწინააღმდეგება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილშიც. მან მიუთითა, რომ აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე (სსსკ-ის 153-ე მუხლის პირველი ნაწილი), პირგასამტეხლო არ

შეიძლება, არსებობდეს ძირითადი უფლების გარეშე; შესაბამისად, ვინაიდან, ძირითადი თანხის დაკისრების საფუძველი არ არსებობდა, არც პირგასამტეხლოს დაკისრებას არ გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი.

12.3. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა მენარმეთა კანონის 14.5 და 14.9 მუხლები, ასევე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ“ დებულების 3.6 და 3.9 პუნქტები.

13. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

14. საკასაციო საჩივრის საფუძველები:

14.1. აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მენარდეს შემკვეთისადმი 12 000 ლარის მოთხოვნის უფლება გააჩნდა. შემკვეთმა ვალდებულება არ შეასრულა. ის გარემოება, რომ ლიკვიდაციის პროცესში დაირღვა კანონის მოთხოვნები, არ შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი მაშინ, როდესაც მოთხოვნის უფლება და შესრულების ვალდებულება ცალსახაა. მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა ლიკვიდაციის დაწყების შეტყობისთანავე და ამით დაიცვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული სამთვიანი ვადა. პარტნიორისათვის ქონების არასწორად გადაცემა არ უნდა გახდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ასეთ შემთხვევაში, ირღვევა კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი საკუთრების ფუნდამენტური უფლება.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემონმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

17. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენებისა და განმარტების კუთხით დასაბუთები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

18. განუვლი მომსახურების საფასურის ძირითადი დავალიანების, 12 000 ლარის, აგრეთვე, 2010 წლის 20 აგვისტოდან 2012 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით პირგასამტეხლოს – 940 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნა მენარმეთა კანონის 14.9-14.10, სსკ-ის 992-ე, 408.1 და 409-ე მუხლებიდან გამომდინარეობს. საკასაციო პალატა ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელ წინაპირობებს განხორციელებულად და, აქედან გამომდინარე, სარჩელს დასაბუთებულად მიიჩნევს, სახელდობრ:

19. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების დროისათვის კასატორს (მოსარჩელეს) კომპანიის მიმართ 12 940 ლარის ნამდვილი და ვადამოსული სახელშეკრულებო მოთხოვნა გააჩნდა, რომელიც მან, როგორც კრედიტორმა, ლიკვიდაციის პროცესის კანონის დარღვევით ჩატარების გამო ვერ დაიკმაყოფილა.

20. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოტანილი დასკვნა, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 3.4 და 44.1 მუხლებით განმტკიცებული შპს-ს პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნიდან გამომდინარე, პარტნიორისათვის (კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო) საწარმოს მიერ ნაკისრი ვალდებულების ანაზღაურების დაკისრება დაუშვებელია, რადაგა-

ნაც საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს ეწინააღმდეგება, დაუსაბუთებელია. განსახილველ შემთხვევაში კომპანიის პარტნიორის – სახელმწიფოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, რასაც შედეგად მენარდისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა. ლიკვიდაციის პროცესი ისე დაიწყო და დამთავრდა 5 დღეში, რომ ამის შესახებ ამ უკანასკნელს კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა, რითაც დარღვეულია მენარმეთა მე-14.4 მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც: „საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები“. ანალოგიურ რეგულაციებს ითვალისწინებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ“ დებულებაც (იხ. 2.4. მუხლი და მე-5 მუხლის „დ“ პუნქტი).

21. მოსარჩელესთან (კრედიტორთან) საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, 2012 წლის 15 ოქტომბერს, ლიკვიდატორმა ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულად გამოაცხადა, რასაც შედეგად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება მოჰყვა. მან კომპანიის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.7) პარტნიორს, ანუ სახელმწიფოს, ისე გადასცა, რომ არ გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა ამ ქონების სამი თვის განმავლობაში საწარმოს იმ კრედიტორების სასარგებლოდ დეპონირების თაობაზე, რომლებმაც ვერ დაიკმაყოფილეს მოთხოვნები (იხ. მენარმეთა კანონის მუხლი 9).

21. ამრიგად, მოპასუხის მიერ დანიშნული ლიკვიდატორის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ მოქმედებას მენარდის ქონებრივი უფლების შელახვა, ანუ ზიანი მოჰყვა. ამ ზიანისათვის პასუხისმგებლობა კი, მოპასუხეს ეკისრება სსკ-ის 396-ე („მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდე-



ბულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს“) 992-ე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლების საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა ნამდვილია და მენარდემ სარჩელი წინამდებარე გადაწყვეტილების პ.20-ში მითითებულ სამთვიან ვადაში წარადგინა.

22. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაიღეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, მე-7 მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „ქ. ა-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ქ. ა-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შპს „ქ. ა-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 12 940.00 ლარის გადახდა;

5. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შპს „ქ. ა-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის – 1035.19 ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ზიანის ანაზღაურება

### ბანჩინება

№ას-875-825-2015

25 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. სასარჩელო მოთხოვნა:**

უცხოური სანარმოს ფილიალმა „ი-მ“ (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გ. +-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ 1 049 907,99 ლარის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, 2012 წლის 3 აგვისტოს ა. თ-ისგან შეიძინა ქ. ბათუმში, გ-ის ქ. №...ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 336,9 კვ.მ უძრავი ქონება. ამავე შენობის მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ნივთი ირიცხება მოპასუხის საკუთრებად, რომელიც არასათანადო მზრუნველობას იჩენს ქონების მიმართ და შედეგად მოსარჩელეს ადგება ზიანი: წყლის ჩადინების გამო დაზიანდა სართულ-შუა გადახურვა და არსებობს მისი ჩამოქცევის საფრთხე. წყლის ჩამოდინებამ ზიანი ჯერ ქონების თავდაპირველ მესაკუთრეს, ხოლო შემდგომ, მოსარჩელეს მიაყენა, თუმცა ნოტარიულად დამონმებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება თავდაპირ-

ველმა მესაკუთრემ დაუთმო მოსარჩელეს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოსარჩელის კუთვნილი ფართის გაქირავების შემთხვევაში, მისი ღირებულება 2005-2013 წლებში 798 247,72 ლარი, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან 21 თებერვლის ჩათვლით – 13 715,27 ლარი იქნებოდა. 2014 წლის 21 თებერვალს, 64 თვის ვადით მოსარჩელემ იჯარის ხელშეკრულება გააფორმა სს „ბთან“ და ფართის მდგომარეობის გათვალისწინებით, 1 კვ.მ ქონების საიჯარო ქირის ღირებულება განისაზღვრა 7,70 აშშ დოლარით, მხარეთა შეთანხმებით, პირველი სამი თვის განმავლობაში „ბ-ი“ გადაუხდის მხოლოდ 100 აშშ დოლარს. იმ შემთხვევაში, თუ ფართი არ იქნებოდა დაზიანებული, მოსარჩელე დამატებით მიიღებდა 136 750 აშშ დოლარს.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხე არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და აღნიშნა, რომ იგი ფართით არ სარგებლობს, არ ჩაუტარებია სარემონტო სამუშაოები, დალუქულია წყლისა და კანალიზაციის სისტემა, რაც წყლის ჩადინებას გამოიწვია, შენობა აშენებულია გასულ საუკუნეში და მოძველებულია კომუნიკაციები, სართულს შორის გადის ბინათმესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში არსებული ცენტრალური კომუნიკაციები და მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხემ მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რამდენადაც მოსარჩელის განმარტებით ზიანი 2005 წელს დადგა, მას შემდეგ კი, გასულია 9 წელზე მეტი.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, გ-ის

ქ. №...ში, მე-2 სართულზე მდებარე 62.90 კვ.მ №... ბინა, 2004 წლის 31 მაისიდან ეკუთვნის მოპასუხეს.

5.1.2. მითითებული უძრავი ნივთის ქვემოთ, პირველ სართულზე მდებარე 336.49 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 2005 წლის 24 მარტიდან ეკუთვნოდა ა. თ-ს, რომელმაც 2012 წლის 3 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით, 76 000 აშშ დოლარად, გაასხვისა ეს ქონება მოსარჩელეზე.

5.1.3. 2014 წლის 21 თებერვალს მოსარჩელემ მითითებული უძრავი ნივთი 64 თვის ვადით იჯარით გადასცა სს „ბ-ს“, მოიჯარეს უნდა ეხადა ქირა შემდეგი წესით: პირველი სამი თვე – ყოველთვიურად 100 აშშ დოლარი, შემდეგ – ყოველთვიურად 2 590 აშშ დოლარი

5.1.4. მოსარჩელის კუთვნილი ნივთის 1 კვ.მ ფართის ქირავნობის (იჯარის) ერთი თვის საშუალო ღირებულება შეადგენდა: 2014 წლის 20 მარტის მდგომარეობით, ასევე, 2013 წელს – 13,7 აშშ დოლარს; 2011-2012 წლებში – 13 აშშ დოლარს; 2009-2010 წლებში – 12,33 აშშ დოლარს; 2008 წლის პირველ ნახევარში – 18,5 აშშ დოლარს; 2008 წლის მეორე ნახევარში – 16,44 აშშ დოლარს; 2007 წელს – 17,8 აშშ დოლარს; 2006 წელს – 10,96 აშშ დოლარს; 2005 წელს – 8,9 აშშ დოლარს.

5.1.5. აპელანტის ქონების ჭერი (სართულშუა გადახურვა), იატაკი, კედლები, სვეტები გარკვეულწილად დაზიანებულია, თუმცა, პალატის შეფასებით, არ ირკვევა ამ დაზიანების გამომწვევი მიზეზი: მოსარჩელე დაზიანების ფაქტს უკავშირებს მოპასუხის კუთვნილი უძრავი ნივთიდან წყლის ჩამოდინებას, რასაც მოპასუხე უარყოფს; ასეთ შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთსაინააღმდეგო ახსნა-განმარტებები, როგორც თანაბარმნიშვნელოვანი მტკიცებულებები, ერთმანეთს აქარწყლებს და საქმისთვის მნიშვნელოვანი ეს ფაქტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დადგინდეს ამავე კოდექსის 162-ე-176-ე მუხლებით დადგენილი წესით, სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის – ექსპერტის დასკვნით. ამგვარი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის: ა) სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2014 წლის 10 მარტის №... ფაქტების კონსტატაციის ოქმი დაზიანების მიზეზზე არ მიუთითებს; ბ) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 15 აპრილის №... დასკვნა მიუთითებს სართულშუა გადახურვის ფილის დაზიანებაზე, რომლის გამოცვლის ხარჯები შეადგენს 18 872 ლარს, თუმცა, დაზიანების მიზეზს ვერ განსაზღვრავს; ანალოგიურად, ვერ მიუთითებს დაზიანების მიზეზზე იმავე ბიუროს 2014 წლის 24

იენისის №... დასკვნაც; გ) შპს „ა-ის“ დირექტორის (რომელიც მოწმედაც იქნა დაკითხული საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 სექტემბრის სხდომაზე) ახსნა-განმარტება თანდართული ლოკალური ხარჯთაღრიცხვით, პალატის შეფასებით, ასევე განსაზღვრავს სართულშუა გადახურვის ფილის გამოცვლის ხარჯებს. შპს „ა-ის“ დირექტორმა განმარტა, რომ დაზიანება გამონვეული იყო ზედა სართულიდან ჩამომავალი წყლით, თუმცა იგი არ არის ექსპერტი; დ) ანალოგიურად, სადავო ფაქტის დადასტურება ვერ მოხდება მოწმეების: ი. რ-ასა და გ. ფ-ას ჩვენებებით, რადგან არც ისინი არიან ექსპერტები; ხოლო ეს უკანასკნელი კი, დაინტერესებული პირიცაა (საქმეში წარმოდგენილია მინდობილობა, რომლითაც გ. ფ-ა უფლებამოსილია, დაიცვას მოსარჩელის ინტერესები სასამართლოში); მოწმედ დაკითხვისას მან დაადასტურა, რომ არის აპელანტის დამფუძნებლის მეგობარი (04.09.2014წ. სხდომის ოქმი). პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოს ინიციატივით ექსპერტიზის ჩატარება საქმის განხილვისას ვერ მოხდა, რადგან უდავო იყო, რომ აპელანტის კუთვნილი ფართი უკვე გარემონტებული ჰქონდა მოიჯარეს და შეუძლებელი იქნებოდა დაზიანების მიზეზების დადგენა. რაც შეეხებოდა 2014 წლის 30 მაისის №... ექსპერტიზის დასკვნას, მართალია, მასში მითითებული იყო, რომ დასკვნის გაცემის მომენტისათვის მოპასუხის ქონებიდან წყლის ჩადინება აპელანტის უძრავ ნივთში შეწყვეტილი იყო, თუმცა ექსპერტმა ს. ბ-ამ, სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მან დასკვნით პასუხი გაცა კითხვას: იმჟამად ზიანდებოდა თუ არა მოსარჩელის ქონება; მანამდე რა ხდებოდა და დამდგარი ზიანი რა მიზეზით (ვისი ბრალით) იყო გამოწვეული, ამაზე არ უმსჯელია (იხ: 04.09.2014წ. სხდომის ოქმი, 16:07:55 – 16:08:30 სთ). ამდენად, ვერც ეს დასკვნა იქნებოდა მიჩნეული „ი-ს“ კუთვნილი ქონების დაზიანების მიზეზის დამდგენ მტკიცებულებად.

5.1.6. განსახილველი სარჩელი აღძრული იყო 2014 წლის 7 მაისს.

5.1.7. მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ 2005-2012 წლებში ა. თ-ს სურდა მისი კუთვნილი და ამჟამად აპელანტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის კომერციული დანიშნულებით გამოყენება, ჰქონდა შესაბამისი ოფერტები ნივთის ამგვარად გამოყენების თაობაზე და გარიგება ვერ დაიდო მოპასუხის ქმედების შედეგად ნივთის დაზიანების გამო.

5.1.8. 2013 წლის 2 ივლისს ა. თ-მა, გასხვისებული ქონების დაზიანებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

ნა დაუთმო აპელანტს.

5.1.9. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მოითხოვდა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, ამ თვალსაზრისით კი, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 326-ე, 411-ე მუხლებით და განმარტა, რომ საქმის განხილვის შედეგად ვერ დადასტურდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების შედეგად ჯერ ა. თ-ის, შემდეგ უკვე აპელანტის ქონების დაზიანების ფაქტი. გარდა ამისა, მოსარჩელემ ვერც ის დაამტკიცა, რომ ა. თ-ს შეეძლო, მიეღო შემოსავალი ნივთის განკარგვის შედეგად და ეს ვერ განახორციელა მოპასუხის ქმედების შედეგად. მოსარჩელემ ქონება შეიძინა დაზიანებული, რასაც მოწმობდა თუნდაც გადახდილი საფასური (76 000 აშშ დოლარი), რომელიც ქონების პარამეტრებისა და მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, აშკარად დაბალია ნორმალურ მდგომარეობაში არსებულ, იმავე პარამეტრებისა და ადგილმდებარეობის ქონების საბაზრო ფასთან შედარებით.

5.1.10. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და პალატამ დამატებით მიუთითა, რომ მოწმეების: ი. მ-ის, გ. ფ-ასა და ი. რ-ას ჩვენებებით ირკვეოდა, რომ ქონება დაზიანდა 2005-2010 წლებში; შპს „ა-მა“ ხარჯთაღრიცხვა სართულშუა გადახურვის ფილის გამოცვლაზე შეადგინა 2010 წლის 28 თებერვალს; ი. რ-ამ განმარტა, რომ 2010 წლის ბოლოს იმყოფებოდა მოპასუხის კუთვნილ ბინაში და აღმოაჩინა, რომ იქ წყალი გუბეებად იდგა (ი. რ-ას მიერ მითითებული თარიღი – 2010 წლის ბოლო ეწინააღმდეგებოდა აპელანტის მიერ მითითებულ თარიღს: ი. რ-ა შპს „გ.+“-ის“ ბინაში იმყოფებოდა 2014 წლის მარტში), თუკი სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოწმეებმა 2010 წელს დააფიქსირეს ა. თ-ის კუთვნილი ქონების დაზიანების ფაქტი, ამის შემდგომი პერიოდისთვის ამავე ქონების დაზიანების გაგრძელების ფაქტის დადამასტურებელი უტყუარი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. ამ ფაქტის დასადასტურებლად მოწმე გ. ფ-ას ჩვენება ამგვარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნეოდა, რადგან იგი საქმის შედეგით დაინტერესებული პირი იყო. პალატის დასკვნით, ა. თ-ს სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, უნდა აღედრა არა უგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა, მისი უფლებამონაცვლის მიერ კი, სარჩელი აღძრული იყო 2014 წლის 7 მაისს.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

#### 6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 326-ე მუხლები, თუმცა არასწორად განმარტა ისინი, რადგანაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასება იძლეოდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ჯერ ა.თ-ის, შემდგომ – კასატორის ქონების დაზიანების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას (ეს გარემოება დაადგინა პირველი ინსტანციის სასამართლომ), რაც სააპელაციო პალატამ არასწორად არ გაიზიარა, ამასთან, განმარტა, რომ მოსარჩელემ ვერც ის გარემოება დაამტკიცა, რომ ქონების წინა მესაკუთრეს შეეძლო ნივთის განკარგვით მიეღო შემოსავალი, პალატამ მიუთითა ქონების შეძენის გამო გადახდილ საფასურზეც, რაც არასწორია, რადგანაც გასაჩივრებული განჩინება არ ემყარება საქმის მასალების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით გამოკვლევას.

6.1.2. განჩინების უსწორობას ადასტურებს ის, რომ პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დარღვევის შესახებ. კასატორმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლზე და განმარტა, რომ საქალაქო სასამართლომ ამ ნორმაში მითითებულ პრინციპზე დაყრდნობით მიიჩნია დადგენილად ფართის 2005-2007 წლებში დაზიანება. იგივე გაიმეორა სააპელაციო პალატამაც, თუმცა დაზიანების პერიოდად 2005-2010 წლები მიიჩნია, რაც ასევე არასწორია. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებული პირის თაობაზე როდის შეიტყო უფლებამოსილმა პირმა. სწორედ ამ მიზნით მიმართა კასატორმა ექსპერტს, თუმცა მოპასუხის ბინის დათვალიერება ვერ მოხერხდა. 2014 წლის 10 მარტის განჩინებით სასამართლომ დაავალდებულა მოპასუხე, ექსპერტი დაემუშაოს მის საკუთრებაში არსებულ ფართში, თუმცა კომუნიკაციის შეუძლებლობის გამო ვერ ჩატარდა ექსპერტიზა. მოპასუხემ თავად წარმოადგინა 2014 წლის 30 მაისის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც დადასტურებულია, რომ მისი ბინის კედელზე, საკანალიზაციო დგარის მიმდებარედ შეინიშნებოდა მცირე სისველე და მე-2 სართულის იატაკის დონეზე გაბზარული პლასტმასის ფასონური ნაწილის შეცვლის გამო აღარ ჩაედინებოდა

წყალი მოსარჩელის ბინაში. ეს გარემოებები მოწმობს იმას, რომ მოსარჩელემ სწორედ ამ პერიოდიდან შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის თაობაზე. ამ დროიდან მოყოლებული კი, სარჩელის ხანდაზმულობაზე საუბარი დაუსაბუთებელია.

6.1.3. კასატორის განმარტებით, ზიანის დადგომის ფაქტის დადასტურების მიზნით იქნა წარდგენილი ფაქტების კონსტანტაციის ოქმი და არა ზიანის გამომწვევი მიზეზის დასადაგენად, რაც არასწორად შეაფასა სასამართლომ; პალატამ ასევე არასწორად შეაფასა 2014 წლის 30 მაისის ექსპერტიზის დასკვნა და ექსპერტ ს. ბ-ას ჩვენება; გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორადაა მითითებული დაზიანების პერიოდი და ის, თითქოს საქმეში არ იყო დაზიანების გაგრძელების დამადასტურებელი მტკიცებულება, ამ თვალსაზრისით სასამართლომ არასწორად იმსჯელა მოწმე რ-ას განმარტებასა და სააპელაციო საჩივარზე, ასევე, დაკითხული ექსპერტის ჩვენებაზე, რომლითაც დასტურდება, რომ პლასტმასის ფასონური ნაწილის გამოცვლის შედეგი იყო წყლის ჩამოდინების შეწყვეტა. მოწმე გ. ფ-ას განმარტებით, წყლის ჩამოდინება 2014 წლამდე გრძელდებოდა; ამავე მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შპს „ა-ის“ ხარჯთაღრიცხვის, ექსპერტიზის 2013 წლის 15 აპრილის დასკვნისა და ფაქტების კონსტანტაციის ოქმის შეფასებით დასტურდება ის გარემოება, რომ წყლის ჩამოდინება 2014 წლამდე გრძელდებოდა, ზიანი იზრდებოდა წლიდან წლამდე და კასატორი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ესარგებლა ფართით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს წყლის ჩამოდინებით გამომწვეული ზიანის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება. ამ თვალსაზრისით კი, სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. მოპასუხის უძრავი ქონება – ქ. ბათუმში, გ-ის ქ. №...ში მდებარე 62,90 კვ.მ ქ. ბინა მოსარჩელის კუთვნილი 336,49 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის მე-2 სართულზეა განლაგებული.

1.1.2. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება შპს „გ.+ს“ სა-



ჯარო რეესტრში რეგისტრირებული აქვს 2004 წლის 31 მაისიდან, ხოლო მოსარჩელეს – 2012 წლის 3 აგვისტოდან (ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე). მის წინამორბედ მესაკუთრეს წარმოადგენდა ა. თ-ი, რომელმაც 2013 წლის 2 ივლისის ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით მოსარჩელეს გადასცა მოპასუხისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

1.1.3. მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ნივთის ჭერი (სართულ-შუა გადახურვა), იატაკი, კედლები, სვეტები გარკვეულწილად დაზიანებულია, თუმცა არ ირკვევა ამ დაზიანების გამომწვევი მიზეზი: მოსარჩელე დაზიანების ფაქტს უკავშირებს მოპასუხის კუთვნილი უძრავი ნივთიდან წყლის ჩამოდინებას, რასაც მოპასუხე უარყოფს, რაიმე პირდაპირი მტკიცებულება კი, რაც სარჩელის საფუძვლიანობას დაადასტურებდა, მოსარჩელეს არ წარუდგენია. გარდა აღნიშნულისა, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ წყალგაყვანილობის დაზიანებული მილიდან ჩაჟონილმა წყალმა მიაყენა ზიანი მოსარჩელის ქონებას. წყალი მეორე სართულიდან ჩავიდა 2005-2010 წლებში, სარჩელი აღძრულია 2014 წლის 7 მაისს და მოთხოვნა ორ ნაწილადაა დაყოფილი, შეეხება, როგორც ა. თ-ის მესაკუთრედ ყოფნის, ისე მოსარჩელის მესაკუთრედ ყოფნის პერიოდში მიყენებულ ზიანის ანაზღაურებას.

1.2. საბოჭალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.3. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის დაუდასტურებლობის, ისე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის თვალსაზრისით და პრეტენზიას გამოთქვამს მატერიალური სამართლის ნორმის არასწორი განმარტების, ასევე საქმის მასალების საპროცესო ნორმების დარღვევით შეფასების თაობაზე.

1.4. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სააპელაციო პალატა გას-

ცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ამასთან, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოუკვლევიან საქმის მასალები, თუმცა, იმისათვის, რათა დადგინდეს საკასაციო შედეგების არსებითობა, უნდა შემოწმდეს ამ საპროცესო დარღვევამ რა გავლენა იქონია დავის მატერიალურ-სამართლებრივ შედეგზე (სსსკ-ის 393.3 მუხლი).

1.4.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით (რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე მითითებით იქნა გაზიარებული სააპელაციო პალატის მიერ) დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, გ-ის ქ. №...ში მდებარე უძრავი ნივთის პირველი და მეორე სართულის სართულშუა გადახურვის, კედლების, ჭერისა და იატაკის დაზიანება არის მოპასუხის უმოქმედობის შედეგი: იგი ვალდებული იყო, სათანადოდ მოეწყო კუთვნილი ქონებისათვის, რაც არ განუხორციელებია. ამ გარემოების თაობაზე აპელანტს პრეტენზია არ წარუდგენია (სსსკ-ის 377.1 მუხლი), თუმცა სააპელაციო პალატამ იმსჯელა და დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხის უძრავი ქონებიდან წყლის ჩამოღინების ფაქტი არ დადასტურდა. ამასთანავე, კასატორმა სავსებით მართებულად მიუთითა მოპასუხის მიერ შესაგებებლად დართულ ექსპერტიზის დასკვნასა და თავად მოპასუხის პოზიციაზე, რომლის თანახმადაც გამოიცვალა საკანალიზაციო დგარის პლასტიკის გაბზარული ფასონური ნაწილი და წყლის ჩადინების კვალი აღარ შეინიშნება (სსსკ-ის 105-ე მუხლი), რაც დასაბუთებულს ხდის მხარის შედავებას ზიანის გამომწვევი მიზეზის თაობაზე.

1.5. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმის ფორმალური შემადგენლობა (სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 326-ე და 411-ე მუხლები) სახეზეა, თუმცა, მხოლოდ აღნიშნული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საკმარის წინაპირობას არ წარმოადგენს. შესაფასებელია ასევე კასატორის პრეტენზიის საფუძვლიანობა მოთხოვნილი თანხის დასაბუთებულობისა და მოთხოვნის იძულებით განხორციელების ვადის მოსარჩელის მხრიდან დაცვის თვალსაზრისით (მოპასუხის შედავების არსებითობა).

1.5.1. საკასაციო პალატა კვლავ მიუბრუნდება სასარჩელო მოთხოვნას, რომელიც, როგორც აღინიშნა, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების შედეგად მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას წარმოადგენს. ამ კუთხით კი, სარჩელი იმ გარემოებას ემყარება, რომ უცხოური სანარმოს ფი-

ლიალ „ი. ე-ს“ წინამორბედმა მესაკუთრემ, მოპასუხის მართლსა-წინააღმდეგო ქმედების გამო, ვერ შეძლო ფართით სარგებლო-ბა და შემოსავლის მიღება. ამ თვალსაზრისით მან წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა ქ. ბათუმში, გ-ის ქ. №...ში მდებარე 336,49 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის (იჯარის) საშუა-ლო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე 2005 წლიდან 2013 წლის ჩათვლით. ქირავნობის (იჯარის) შემთხვევაში, მიუღებელ-მა შემოსავალმა ა.თ-ის უფლების არსებობის პერიოდში, ლ. სამ-ხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2014 წლის 20 მარტის დასკვნის თანახმად, 798 247,72 ლარი შეადგი-ნა. რაც შეეხება კასატორის უფლების რეგისტრაციიდან მოყო-ლებულ ზიანს, მხარე ამ მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითებს იმას, რომ 2014 წლის 21 თებერვალს მას და სს „ბ-ს“ შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება 64 თვის ვადით. უძრავი ქონების მდგომარეობის გათვალისწინებით, 1 კვ.მ ფართის საი-ჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 7,70 აშშ დოლარით, ამავე ხელშეკრულების თანახმად, პირველი სამი თვის საიჯარო ქირა შეადგენს თვეში 100 აშშ დოლარს და ამგვარი შეთანხმება უძ-რავი ქონებისათვის საჭირო სარემონტო-სარეკონსტრუქციო სა-მუშაოებმა განაპირობა, რომელთა წარმოებაც იკისრა მოიჯა-რემ. ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნისა და გაფორმე-ბული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების გათვალისწინებით მოსარჩელის აქტივები შემცირდა 237 945 ლა-რით. აქვე საგულისხმოა მოსარჩელის განმარტება, რომ მას და წინა მესაკუთრეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკ-რულების თანახმად, ქონების ღირებულება განისაზღვრა 76 000 აშშ დოლარით და ნასყიდობის საგნის მდგომარეობის გათვა-ლისწინებით გამყიდველმა მზადყოფნა გამოთქვა მყიდველი-სათვის დაეთმო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

1.5.2. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლო-ების დასკვნას, რომ მოსარჩელეს ნათლად არ განუსაზღვრავს მიუღებელი შემოსავლის (ზიანის) ფაქტი და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი კრედიტორს უფლებას აძ-ლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობ-რივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაც-დენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთა-ვარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზი-ანის დადგომა, თუმცა, „მიუღებელი შემოსავალი“ წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სა-

მოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. ესაა ანაცდენი მოგება, რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის განსაკუთრებულ კომერციულ ინტერესში შედის, ვინაიდან კომერციულ ბრუნვაში მისი ინტერესი შემოსავლის მიღებისკენაა მიმართული. „მიუღებელი შემოსავალი“, როგორც ანაცდენი სარგებელი (მოგება), არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. ასეთ შემთხვევაში, მტკიცების საგანში შედის თავად ამ შემოსავლის მიღების სავარაუდო ბაზა და ზოგადი პრინციპის თანახმად (სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები) მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს გარდა იმისა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე უნდა წარმოედგინა იმგვარი მტკიცებულებები და დაემტკიცებინა იმგვარი გარემოება, რომელიც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით კი, საიჯარო ქირის ოდენობის თაობაზე მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა და იმის აბსტრაქტულად გაცხადება, რომ წინა მესაკუთრეს შეეძლო გაექირავენებინა (იჯარით გაეცა) ფართი სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევის გამორიცხავს. ქვემდგომმა სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელეს ა.თ-ის მხრიდან ფართის გაქირავების მცდელობა დამაჯერებლად არ დაუსაბუთებია, ხოლო კასატორს ამ დასკვნის წინააღმდეგ დასაბუთებული შედავა არ წარმოუდგენია. რაც შეეხება უშუალოდ მოსარჩელის მიერ ფართის შექმნიდან მოყოლებულ მიუღებელ შემოსავალს, საკასაციო პალატა ამ ნაწილშიც იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ უძრავი ქონება შეიძინა დაზიანებულ მდგომარეობაში და ის გარემოება, რომ მან, როგორც ახალმა მესაკუთრემ საბაზრო ფასთან შედარებით ნაკლები ღირებულებით გასცა იჯარით, არ შეიძლება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობა გახდეს. მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი უდავოდ მოწმობს მათ შეთანხმებას ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის თაობაზე და უკვე არსებული ნაკლის შესაძლო თანმდევი რისკის შემქმნის მხარეს გადასვლაზე (სკ-ის 327-ე მუხლი). ანუ ქონების შექმნის დროისათვის უკვე არსებული დაზიანების შედეგად მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნა ცდება სა-

მოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის რეგულაციას (ამის თაობაზე მოსარჩელისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ნასყიდობის გაფორმებისას) რასაც მოწმობს თვით მოსარჩელის მითითება ნასყიდობის საგნის ფასსა და მოპასუხისაგან უკვე მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლების დათმობაზე.

1.6. გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა, წინა მესაკუთრის უფლების ფარგლებში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში ქვემდგომმა სასამართლოებმა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კიდეც ერთ საფუძვლად მიუთითეს მოპასუხის შედავებაზე, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით იმდენად არსებითია, რომ უფლების იძულებით განხორციელებას აფერხებს, კერძოდ, მოპასუხის მტკიცებით, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე სარჩელი ხანდაზმულია, იგი აღძრულია კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ.

1.6.1. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მითითებას სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლზე, რომელიც დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის იძულებით ანაზღაურების მოთხოვნის სპეციალური ნორმაა და ადგენს არა მარტო ხანდაზმულობის 3-წლიან ვადას, არამედ განსაზღვრავს ამ ვადის ათვლის მომენტს. კონკრეტულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ათვლა უკავშირდება მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო დელიქტით მიყენებული ზიანის ფაქტის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. სააპელაციო პალატის განჩინებით დადგენილია, რომ ქ. ბათუმში, გ-ის ქ. №...ში მდებარე შენობის მე-2 სართულიდან წყლის ჩამოდინების შედეგად პირველი სართულის ფართის დაზიანებას ადგილი 2005-2010 წლებში ჰქონდა, ხოლო სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2014 წლის 7 მაისს. ქვემდგომი სასამართლოს ეს დასკვნა ემყარება საქმის მასალების, მათ შორის მონმეთა ჩვენებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შეფასებას. კასატორი, მართალია, არ ეთანხმება ამ ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა მას დასაბუთებული პრეტენზია არ აქვს წარმოდგენილი. ამგვარ შედავებად ვერ განიხილება მხარის ის არგუმენტი, რომ მან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირისა და ზიანის მიყენების სავარაუდო პერიოდის თაობაზე მოპასუხის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნიდან შეიტყო. ამ არგუმენტს აქარწყლებს თუნდაც სარჩელში მითითებული ის გარემოება, რომ „ი.“ ვერ ახერხებდა შპს „გ. +-თან“ დაკავშირებას, მას არ ბარდებოდა მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ საქალაქო სასა-

მართლოს განჩინება. სარჩელს ერთვის „ი-ს“ სახელით უფლებამოსილი პირის მიერ 2013 წლით დათარიღებული წერილობითი მიმართვა მოპასუხისადმი. მითითებული გარემოებების ერთობლიობაში შეფასება ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელისათვის შესაგებლის წარდგენამდე ცნობილი იყო ვალდებული პირის ვინაობა, ასევე მიყენებული ზიანის შესახებ. რაც შეეხება თავად ზიანის ფაქტს, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ 2010 წლის შემდგომ, თუნდაც წყლის ჩამოდინების შემთხვევაში, მან დამატებითი ზიანი (ნივთის კიდევ უფრო გაუარესება) გამოიწვია. შპს „ი.“ შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირი განმარტებით, რომ წლიდან წლამდე იზრდებოდა ზიანი, რასაც პალატა ვერ გაიზიარებს საქმეში შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო და დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეს არც იმგვარ გარემოებაზე მიუთითებია, რაც ხანდაზმულობის დენის შეჩერებას/შენეწყეტას გამოიწვევდა, ასეთ ვითარებაში, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე დავის ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაშიც კი, ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესრულებაზე (სკ-ის 144-ე მუხლი).

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მითითებული ნორმისა და წინამდებარე განჩინების დასაბუთების გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია იმგვარი დასაბუთებული შედაგება რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით უცხოური სანარმოს ფილიალ „ი-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში, შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი წესით სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. უცხოური სანარმოს ფილიალ „ი. ე. მუდმივი ნარმომადგენლობის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ზიანის ანაზღაურება**

### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

№ას-176-163-2015

4 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. შპს „I. I. T.“-ი (შემდეგში: პირველი მოპასუხე, მონინალ-მდეგე მხარე, სანარმო ან კომპანია) 2003 წლის 23 იანვრიდან რეგისტრირებულია საგადასახადო ინსპექციაში გადასახადის გადამხდელად (საიდენტიფიკაციო ნომერი – .....).

2. კომპანიის დირექტორი გ.ი. (შემდეგში: დირექტორი, მეორე მოპასუხე) ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის განაჩენით, დამნაშავედ იქნა ცნობილი 2006 წლიდან 2008 წლის 14 აპრილამდე პერიოდში – 40 204 ლარის ძირითადი გადასახადის გადახდაზე განზრახ თავის არიდებისათვის {საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, შემდეგში სისხლის სამართლის კოდექსი 218-ე მუხლი}.

3. 2011 წლის 15 მარტის განაჩენით დადგენილი ზიანი (დი-

რექტორის მიერ დამალული გადასახადი – დღგ 19044 ლარი და მოგების გადასახადი 21 160 ლარი, სულ 40 204 ლარი), 2011 წლის 16 მარტს კომპანიის კუთვნილი ქონების იძულებითი რეალიზაციის ხარჯზე იქნა ანაზღაურებული.

4. დაფარული გადასახადებიდან წარმოშობილი ვალდებულების საფუძველზე, საკონტროლო გავსვლითი საგადასახადო შემონმების შედეგად, სსიპ შ.ს.ს (შემდეგში მოსარჩელე, სამსახური, აპელანტი ან კასატორი) 2008 წლის 25 იანვრის № 277 ბრძანებით (შემდეგში ბრძანება) კომპანიას 118 875,95 ლარის (ჯარიმებისა და საურავების ჩათვლით) გადახდა დაეკისრა.

5. აღნიშნული ბრძანებით კომპანიას (გადამხდელს) წარედგინა საგადასახადო მოთხოვნა №2. 15 წ. (შემდეგში საგადასახადო მოთხოვნა).

6. 2009 წლის 20 აგვისტოს მონაცემებით, პირველ მოპასუხეს ბიუჯეტის სასარგებლოდ ერიცხებოდა 246 631.35 ლარის დავალიანება. მან თანხის დარიცხვის თაობაზე მიღებული აღმინისტრაციული აქტები სადავოდ გახადა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მაგრამ მისი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

7. მოსარჩელემ საგადასახადო ვალდებულების უზრუნველსაყოფად ყადაღა დაადო საწარმოს კუთვნილ ქონებას, შემდეგ კი, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების იძულებითი რეალიზაცია.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და 2010 წლის 18 მაისს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

9. იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდეგში აღსრულების ეროვნული ბიურო) აღმასრულებელმა მოახდინა მოპასუხის ქონების რეალიზაცია და რეალიზაციის შედეგად მიღებულმა თანხამ შეადგინა – 40 883,88 + 19 046 = 59 929,88 ლარი, რაც შესაბამის სახაზინო ანგარიშებზე ჩაირიცხა. აღნიშნულის გარდა, სახელმწიფოს ნატურით გადაეცა კომპანიის კუთვნილი – 16 500 ლარის ღირებულების ქონება.

10. 2013 წლის 12 ნოემბერს, მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის, 225 096 ლარის, ორივე მოპასუხისათვის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით.

11. მოპასუხეებმა წარადგინეს მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი, იმ საფუძველით, რომ 2011 წლის 16 მარტს კომპანიის კუთვნილი ქონების იძულებითი რეალიზაციის გზით განაჩენით დადგენილი ზიანი, 40 204 ლარი, სრულად ანაზღაურდა. მათი



მოსაზრებით, ზიანის 225 096 ლარის, დაკისრების მოთხოვნას არ გააჩნდა არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი.

12. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწერიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 992-ე, 998-ე, 463-ე, 464-ე და სსსკ-ის 309<sup>17</sup>-ე, 309<sup>20</sup>-ე მუხლები.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგი საფუძვლებით:

13.1. სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნები, არასწორად არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

13.2. არასწორად იქნა დადგენილი, რომ მიყენებული ზიანი მეორე მოპასუხის (მსჯავრდებულის) მიერ გადახდილ იქნა 2011 წლის 16 მარტს. აღნიშნული თანხა მას არ გადაუხდია. პირველ მოპასუხეს 2008 წლის 25 იანვრის საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე დაერიცხა 246 631.35 ლარის დავალიანება, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ღია აუქციონის წესით ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით და ნაწილი ქონების ნატურით გადაცემით სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანება მხოლოდ შემცირდა და არა შეწყდა;

13.3. სასამართლომ უგულებელყო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მეორე მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, წარმოეშვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულება.

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა კომპანიისათვის თანხის დაკისრებაზე; ამ ნაწილში პირველი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

15. აპელანტმა, აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

15.1. მოპასუხეებს საგადასახადო ვალდებულება არ შეუსრულებიათ. კომპანიის კუთვნილი ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით დაიფარა დავალიანების ნაწილი და არა მთლიანი დავალიანება.

15.2. 2008 წლის იანვრისათვის პირველ მოპასუხეს ერიცხებოდა დავალიანება 118 875.95 ლარი, ხოლო კომპანიის ყადაღა-დადებული ქონების რეალიზაციის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობის აღძვრის დროისათვის, ანუ 2009 წლის 20 აგვისტოს მონაცემებით, დავალიანება უკვე 246 631.41 ლარს შეადგენდა.

15.3. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. მას უნდა ეხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით, ვინაიდან სახელმწიფოს წინაშე კომპანიის დავალიანების წარმოშობის მიზეზია მეორე მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოქმედებები.

15.4. დაუსაბუთებელია სასამართლოს გადანყვეტილება პირველი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილშიც.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

17. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე.

18. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად

გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივად ძირითადად სწორად შეაფასა (იხ. წინამდებარე განჩინების პ.1-9 პუნქტები).

20. კასატორი 2013 წლის 12 ნოემბერს აღძრული სარჩელით მოპასუხეებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანის, 225 096 ლარის, სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნას ამყარებდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, რომლის მიხედვითაც მეორე მოპასუხეს მსჯავრი დაედო 2006 წლიდან 2008 წლის 14 აპრილამდე პერიოდში ძირითადი გადასახადის – 40 204 ლარის გადახდაზე განზრახ თავის არიდებისათვის.

21. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას, გამოიყენება სსსკ-ის XXXIV<sup>3</sup> დადგენილი ნორმები. ამ კატეგორიის საქმეების განხილვის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიულიციული მნიშვნელობა გააჩნიათ (სსსკ-ის 309<sup>20</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაც იმას გულისხმობს, რომ დამტკიცებულად და განხორციელებულად ითვლება დელიქტური სამართლის მთავარი ნორმის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 992-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წანამძღვარი: მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ზიანი, ადექვატური მიზეზობრივი კავშირი და ბრალი. აქედან გამომდინარე, მეორე მოპასუხე პასუხს აგებდა განაჩენით დადგენილი ზიანის (40 204 ლარი) და არა 225 096 ლარის ფარგლებში, როგორც ამას კასატორი მოითხოვდა.

22. თუმცა, რადგანაც სარჩელის აღძვრის დროისათვის (2013 წლის 12 ნოემბერი), ზიანი უკვე ანაზღაურებული იყო (იხ. წინამდებარე განჩინების პ.9), აღარ არსებობდა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად მართებულად შეაფასა საქმის გარემოებები და სწორად დაასკვნა, რომ, მოთხოვნის შეწყვეტის გამო, მეორე მოპასუხის მიმართ სარჩელის უარყოფა დასაბუთებული იყო.

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი მოპასუ-

ხის, როგორც გადასახადის გადამხდელის, პასუხისმგებლობა არა კერძო, არამედ საგადასახადო კანონმდებლობის ნორმებით განისაზღვრება. შესაბამისად, სსსკ-ის მე-11 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საგადასახადო დავების განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით არ შეიძლება. ამ ტიპის დავების განხილვის წესი მოწესრიგებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით (თავი XIV, მუხლი 296-ე: „საგადასახადო დავა შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სასამართლოში. ამ კარით დადგენილია საგადასახადო დავის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის ნებისმიერ ეტაპზე მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს. სასამართლოში საგადასახადო დავის წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით“).

24. შესაბამისად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირველი მოპასუხის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადართვი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით. აქვე, პალატა კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირველ მოპასუხეს სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანება აღარ ერიცხება.

25. რაც შეეხება, კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯერ ერთი, ეს ნორმა სანარმოს (პირველ მოპასუხეს) და არა მოსარჩელეს ანიჭებდა მეორე მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას („ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულ-

ლად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ...“), მეორეც, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა საწარმოს და არა მის დირექტორს (მეორე მოპასუხეს), ამიტომ მისთვის, საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ჯარიმა-საურავების დაკისრება დაუშვებელია.

26. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-7, 257.1-ე, 372-ე, 408.2-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სსიპ შ.ს.ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება;
3. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის  
ანაზღაურება**

**განჩინება**

№ას-711-677-2015

29 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2013 წლის 1 მაისს ი-ის მე-2 კორპუსის შენობაში, ი. ლ-ემ (შემდეგში ზიანის მიმყენებელი ან მოპასუხეთა შვილი), გ. ა-ა (შემდეგში – დაზარალებული, მოსარჩელე ან კასატორი) გადმოაგდო მეორე სართულის კიბის მოაჯირიდან, 11 მეტრის სიმაღლიდან; გოგონა დაენარცხა პირველი სართულის იატაკს და მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

2. 2013 წლის 14 მაისის განჩინებით, ზიანის მიმყენებელი პირი სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო გამოკვლევებისათვის მოთავსდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ (შემდეგში ექსპერტიზის ბიურო) ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში.

3. ექსპერტიზის ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის №002505413 დასკვნით (შემდეგში ექსპერტიზის დასკვნა), ზიანის მიმყენებელს დაუდგინდა არადიფერენცირებული შიზოფრენია (კოდი F 20.3 დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით). ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს, ზიანის მიმყენებელი პირი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით – არადიფერენცირებული შიზოფრენიით და მას არ შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა, ეხელმძღვანელა მისთვის, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით (შეურაცხადობა); მას არ შეეძლო, ანგარიში გაენია თავისთვის, მიეცა სწორი ჩვენება და

მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში. ის დაავადებულია იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. იგი საჭიროებს არანებაყოფლობით, სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას შპს „ა-ის“ (შემდგომში – ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი) პირობებში /ხონი-ქუტირი/.

4. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე, №0003503078 დადგენილებით, მოპასუხეთა შვილის მიმართ შეწყდა გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

5. დ. ღ-ე და თ. ჩ-ე არიან ზიანის მიმყენებლის მშობლები (შემდგომში – მშობლები, მოპასუხეები ან მონინალმდევე მხარე) (იხ. ვაჟის დაბადების მოწმობა).

6. დაზარალებულმა 2013 წლის 9 აგვისტოს სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების წინააღმდეგ და მოითხოვა, მათ სოლიდარულად დაჰკისრებოდათ შვილის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის – 3605. 61 ლარისა და მორალური ზიანის – 35 000 ლარის ანაზღაურება.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დაზარალებულის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ისიც, რომ მშობლებისათვის უცნობი იყო, რომ შვილი დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით – არადიფერენცირებული შიზოფრენიით.

9. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდევში სსკ) 995-ე მუხლით (სარჩელის აღძვრის დროისათვის მოქმედი რედაქციით, 2015 წლის 20 მარტის კანონით №3339 ცვლილების შეტანამდე), 1276-ე, 1277-ე მუხლებით.

10. ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაავადება (არადიფერენცირებული შიზოფრენია), რომელიც ზიანის მიმყენებელს დაუდგინდა დანაშაულის ჩადენის დროს, არ იძლეოდა იმის მტკიცების საშუალებას, რომ მას აღნიშნული ავადმყოფობა ბავშვობიდან, პერმანენტულად ჰქონდა. საქმეში წარმოდგენილია სამხედრო სამედიცინო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვით, მოპასუხეთა შვილმა 2009 წელს გაიარა სამედიცინო შემოწმება და სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი იყო. მოპასუხეებმა შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მის ბავშვობაშივე გაამახვილეს ყურადღება

და, გამოვლენილი შიშების გამო, მკურნალობა ჩაუტარეს ნევროპათოლოგ გ. ნ-თან. კონსულტაციების შედეგად გაკეთებული სამედიცინო დასკვნები ასახულია ექსპერტიზის დასკვნაში. კერძოდ, ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ 2003 წლის 10 მარტის კონსულტაციის ფურცელზე ასახული დიაგნოზით, ზიანის მიმყენებელს დაუდგინდა ანანკასტური (აკვიატებათა) ნევროზი, ლამის ენურეზი, გამოსარიცხია SCH (იშიფრება როგორც შიზოფრენია) მარტივი ფორმა, ნევროლოგიური ორგანიკა არ აქვს. 05.08.2003 წლის ჩანაწერით: „ბავშვი კარგადაა, დარჩა მხოლოდ მავნე ჩვევა-ფურთხება“.

11. სასამართლოს აზრით, მე-10 პუნქტში მითითებული ფაქტი მოწმობს, რომ მშობლები სისტემატურად ზრუნავდნენ შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, სამედიცინო შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნები არ იძლეოდა ბავშვის ფსიქიკურად დაავადებულად, ჭკუასუსტად და სულით ავადმყოფად მიჩნევის საფუძველს. იგივე დაადასტურა ექსპერტ-ფსიქიატრმა თ. ნ-მა, რომელმაც 20.12.2013 წლის სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ შეუძლებელია იმის წინასწარ განსაზღვრა, რა დრო სჭირდება არადიფერენცირებული შიზოფრენიის განვითარებას. ამ ავადმყოფობის ნიშნების აღქმა რთულია სპეციალისტის გარეშე და გარშემომყოფთათვის ადვილად საცნობი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ იგი გამოკვეთილია. ვაჟთან კლინიკური გასაუბრების შედეგები, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის გაკეთების საფუძველი გახდა, ეხება პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოკვლევას მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში. ექსპერტის განმარტების საფუძველზე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ნევროპათოლოგთან მკურნალობის პერიოდში, ზიანის მიმყენებლისათვის დანიშნული მედიკამენტები არ იყო განკუთვნილი შიზოფრენიის მკურნალობისთვის, არც შემდგომ დიაგნოზებში ფიქსირდება შიზოფრენიაზე მითითება. მიუხედავად იმისა, რომ ნევროპათოლოგს არ აქვს შესაბამისი ცოდნა, დაუდგინოს პირს შიზოფრენიის დიაგნოზი და ამის კომპეტენცია მხოლოდ ფსიქიატრს აქვს. სასამართლოს მითითებით, ნათელი იყო, რომ მოპასუხეთა შვილს არ აღენიშნებოდა შიზოფრენიის ისეთი გამოკვეთილი ნიშნები, რომელიც გარშემომყოფთათვის და მისი მშობლებისათვის აშკარად შესამჩნევი იქნებოდა. შეუძლებელი იყო იმ მომენტის კონკრეტულად განსაზღვრა, როდის დადგა კლინიკური სურათი – მოპასუხეთა შვილის შიზოფრენიით დაავადება. შესაბამისად, მშობლებისთვის უცნობი იყო შვილის ქმედუუნარობის შესახებ.



12. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 995-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, მეთვალყურეობის მოვალეობის დარღვევისას, პასუხისმგებლობა მრავალმხრივია. სისხლისსამართლებრივ სანქციებთან ერთად, მოსარჩელეს აქვს კერძო-სამართლებრივი მოთხოვნები – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 995-ე მუხლი. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ პირს ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება“ (იხ. ამ განჩინების მე-9 პუნქტი).

13. სსკ-ის 995-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, „მეთვალყურეობა“ გულისხმობს ზიანის მიმყენებლის მიმართ, მზრუნველობის გამოჩენას, რომლის მიზანიც არის მესამე პირთა დაცვა. თუ გამორიცხულია ზიანის უშუალოდ მიმყენებლისგან, როგორც საფრთხის წყაროდან, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ამის ვალდებულება ეკისრებათ სამართლებრივად მასზე პასუხისმგებელ პირებს.

14. საქალაქო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განემარტა, თუ ვინ საჭიროებს ზედამხედველობას და ვინ არიან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები.

15. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 995-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საჭიროა, რომ ზიანის მიმყენებელი საჭიროებდეს მეთვალყურეობას. მოხმობილი ნორმის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ასეთ პირებს წარმოადგენენ ქუეყასუსტები ან სულით ავადმყოფები. ასეთად მიიჩნევიან ისინი, რომლებიც თავიანთი გონებრივი და სულიერი განვითარების გამო, საჭიროებენ ზედამხედველობას; შემდეგი წინაპირობაა მეთვალყურეობის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კანონით ან ხელშეკრულებით. კანონის საფუძველზე, მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი შეიძლება იყოს მშობელი, მეურვე, მზრუნველი, ხოლო ხელშეკრულების საფუძველზე – აღმზრდელი, ძიძა. არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლები არიან: მშობლები, მეურვე (სსკ-ის 1276-ე მუხლი) და მზრუნველი (სსკ-ის 1277-ე მუხლი). კანონით მეთვალყურეობის ვალდებულება არ ეკისრებათ მშობლებს სრულწლოვანი სულით ავადმყოფი და ქუეყასუსტი შვილების მიმართ. სრულწლოვან პირზე ზედამხედ-

ველობას ახორციელებენ მეურვე და მზრუნველი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეთა შვილი სრულწლოვანია, მშობლები არ არიან ზედამხედველობაზე ვალდებული სუბიექტები. ამასთან, მშობლების პასუხისმგებლობა გამოირიცხა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მათი უყურადღებობის გამო არ დაუდგინდა მათ შვილს ფსიქიკური აშლილობა 2013 წლის 1 მაისამდე, რაც მასზე სავალდებულო ზედამხედველობის განხორციელების საფუძველი გახდებოდა. შესაბამისად, ზიანის მიმყენებელი პირის მიერ ქმედების ჩადენის მომენტში, არ არსებობდა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი სხვა პირი (მეურვე, მზრუნველი ან ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული სხვა პირი).

16. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსი ადგენს მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობას, ანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს იმ პირისგან, რომელიც საჭიროებდა მეთვალყურეობას. აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლით, ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის უნდა დგინდებოდეს შემდეგი ნიშნების ერთობლიობა: ა) ზიანი; ბ) ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება გ) არამართლობიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; დ) მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის ბრალი. ყურადსაღებია, რომ მოცემული ნორმის გამოყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის სპეციალური სუბიექტის – მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება, თუ ზიანი დადგა მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით.

17. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან დადგენილია, რომ მოპასუხეები არ წარმოადგენდნენ მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს, მოსარჩელის მოთხოვნა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს.

18. დაზარალებულმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

19. სააპელაციო საჩივარი შემდეგ საფუძველებს ემყარებოდა:

19.1. ექსპერტიზის დასკვნით ზიანის მიმყენებლის დიაგნოზია ქრონიკული არაიდენტიფიცირებული შიზოფრენია. „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესა-

ხებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/6 ბრძანების (შემდგომში №1/6 ბრძანება) მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაავადებებს, ანატომიურ და გონებრივ დეფექტებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს, გადამონმების გარეშე (უვადოდ) არის: შიზოფრენია, მკვეთრად გამოხატული დეფექტი. რაც შეეხება შრომისუუნარობის ტერმინის განმარტებას, მოცემულია სოციალური პაკეტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №179 დადგენილებაში. ამ დადგენილების მეორე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განმარტებულია: შრომისუუნარო – პირი, რომელსაც დადგენილი აქვს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ან არის 18 წლამდე ან 65 წლის და მეტი ასაკის. შესაბამისად, დგინდება, რომ პირისათვის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს ნებისმიერი სახის შიზოფრენია. დაზარალებულის მოსაზრებით, ექსპერტიზის დასკვნით ცალსახად დგინდება, რომ მოპასუხეთა შვილის წლების წინაც ჰქონდა და ახლაც აქვს მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის და, შესაბამისად, სრულად შრომისუუნაროდ ცნობის საფუძველი, რის გამოც ის უნდა ყოფილიყო მშობლების რჩენა-კმაყოფაზე.

19.2. დაზარალებულმა აღნიშნა, რომ ინციდენტის შედეგად განიცადა განსაკუთრებული ფიზიკური და მორალური ტანჯვა, კერძოდ, დაუზიანდა შინაგანი ორგანოები, მათ შორის ფილტვები და ღვიძლი მძიმედ, რომელიც გახეთქილიც ჰქონდა და ამის გამო, ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა. ასევე, ჩამტვრეული ჰქონდა ნეკნები და მენჯის ძვლები, იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე და მისი გადარჩენის შანსი მხოლოდ 2% იყო. წამლებსა და მკურნალობაში დაეხარჯა კოლოსალური თანხები, თუმცა, არსებული უმძიმესი ვითარების ფონზე, ყველა შესაბამისი მტკიცებულების მოძიება და შენახვა ვერ შეძლო. აპელანტის ხელთ არსებული დოკუმენტებით, მიყენებული ზიანი შეადგენს 3605.61 ლარს. ზიანის მიმყენებლის მშობლებმა, რომლებმაც კარგად იცოდნენ საკუთარი შვილის მდგომარეობა, მხოლოდ უმნიშვნელო დახმარება გაიღეს დაზარალებულის დასახმარებლად, რაც დაიხარჯა სამკურნალო პრეპარატებსა და ნივთების შეძენაში. დაზარალებულის ოჯახი სოციალურად დაუცველია და ოჯახის სარეიტინგო ქულაა 62 940.

19.3. დაზარალებულმა, გარდა მატერიალური ზიანისა, ასევე, განიცადა ენით აღუწერელი მორალური ტანჯვა, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. მეტიც, პირად საუბარში, ზიანის მიმყენებლის მშობლები აცხადებენ, რომ საზოგადოება მზად უნდა იყოს მათი შვილის არაადეკვატური გამოხტომებისათვის, რადგან ის არის ძალიან ნიჭიერი და ყველა გენიოსისაგან მისაღები უნდა იყოს მსგავსი საქციელი, მაგალითად ასახელებენ აინშტაინს. მოპასუხეები ადანაშაულებენ დაზარალებულს და აცხადებენ, იგი მოაჯირთან ახლოს რომ არ მდგარიყო, მსგავსი რამ არ მოხდებოდა. მონინაალმდევე მხარე, მიუხედავად დაზარალებულის მიმართვისა, ყველანაირი ზიანის ანაზღაურებაზე უარს აცხადებს.

19.4. მოთხოვნის საფუძვლიანობა კანონიდან გამომდინარეობს, სსკ-ის 995-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი პირი, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს სხვა პირს, მას არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება; დაზარალებული აღნიშნავს, რომ კოდექსის ეს დანაწესი არ ართმევს უფლებას დაზარალებულ პირს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი არის ის, რომელსაც ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე. სსკ-ის 995-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პირს ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი.

19.5. დაზარალებულს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში, პირდაპირ დგას დასახელებული ნორმის განმარტების საკითხი. არსებობს ნორმის განმარტების რამდენიმე მეთოდი. ამ შემთხვევაში, ნორმის განმარტება, მისი მიზნიდან და დაცვის ობიექტიდან გამომდინარე, ცალსახად ამართლებს მის სარჩელს და მიუთითებს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. ასევე, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, დგინდება სამართლიანობის აღდგენის ის მიზანი, რაც კანონმდებელს ჰქონდა ნორმის მიღების მომენტში. სსკ-ის 995-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ ჭკუასუსტის ან სულით ავადმყოფის მიერ მიყენებულ ზიანზე, პასუხისმგებელია ის პირი, რომელსაც ეკისრება მეთვალყურეობა. დაზარალებულის მითითებით, მოცემულ დავაში მეთვალყურეს წარმოადგენენ ზიანის მიმყენებლის მშობლები. განმარტების საგანი არის ტერმინი „ეკისრება“, რაშიც კანონმდებელი ყოველთვის გულისხმობს კანონმდებლობის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, „რაც შეიძლება დოკუმენტებში გამოხატულიც კი არ იყოს“ (იხ.სააპე-

ლაციო სასამართლოს განჩინების 3.1.2 პუნქტი).

19.6. ყურადსაღებია ისიც, რომ ზიანის მიმყენებელი არ ყოფილა რაიმე განსაკუთრებული ემოციური ფონით დამუხტული, ან დროებითი სულიერი აშლილობის მდგომარეობაში, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, არ იკვეთება ბოლო პერიოდის რაიმე მოვლენა, რასაც შეეძლო მისი მდგომარეობის ცვლილება. შესაბამისად, ეს პროცესი მიმდინარეობდა წლების განმავლობაში, მშობლებისა და ახლობელების თვალწინ, მათ კი არ მიიღეს შესაბამისი ზომები, რაც მოპასუხეებს მომხდარზე აკისრებს პასუხისმგებლობას.

19.7. დაზარალებული კატეგორიულად არ ეთანხმება, წინამდებარე განჩინების მე-11 პუნქტში ასახულ მსჯელობას, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზიანის მიმყენებელს პერმანენტულად ჰქონდა ავადმყოფობის ნიშნები, რასაც მისი მშობლები მოიხსენიებენ, როგორც დამახასიათებელ უცნაურ ქცევებს, რომლებიც, სწორედ მათი უცნაურად მიჩნევის გამო, დაამახსოვრდათ და მოპასუხეებმა თვითონვე აღწერეს ექსპერტთან გასაუბრების დროს.

19.8. დაზარალებული არ ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, თითქოს მშობლებმა შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ბავშვობიდანვე, მის ადრეულ ასაკშივე გაამახვილეს ყურადღება. დაზარალებული არ ეთანხმება მონინალმდეგე მხარის პოზიციას, თითქოსდა საქმის მასალებით დგინდება, რომ ექიმ გ. ნ-ის დასკვნაში აღნიშნულია, რომ გამოსარიცხი იყო შიზოფრენიის არსებობა. დაზარალებულს მიაჩნია, რომ ამას საქმეში არსებული არცერთი მასალა არ ადასტურებს; მოპასუხეებს, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ ექიმისგან, არც თავდაპირველად და არც გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, არ მიუღიათ ზომები შვილისათვის დასმული დიაგნოზის გამოსარიცხად.

19.9. დაზარალებული არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილშიც, რომ მოპასუხეები ზრუნავდნენ შვილის ჯანმრთელობაზე. მისი მტკიცებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მშობლებმა შვილი ექიმთან კონსულტაციაზე მიიყვანეს 2003 წლის 10 მარტს და შემდეგ, იმავე წლის 5 აგვისტოს. ექიმთან მხოლოდ ორი კონსულტაციის შემდეგ, მშობლები კვლავ ამჩნევდნენ შვილს უცნაურობებს, რაც აღნიშნულია ექსპერტიზის დასკვნაში. ექსპერტისათვის მოპასუხეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ მათ შვილს ჰქონდა შემდეგი უცნაური ჩვენებები: შიშები, აკვიატებები, ჭამისას ათვალეირებდა პურს, რომ რაიმე არ შეჰყოლოდა, წამდაუნუმ იბან-

და ხელებს, ჰქონდა მონამვლის შინაარსის აზრები, საკვების გასინჯვამდე, ყოველთვის ითხოვდა, რომ ჯერ მშობლებს გაესინჯათ კერძი და ა.შ.

19.10. დაზარალებული არ ეთანხმება სასამართლოს შეფასებას ექსპერტ-ფსიქიატრის – თ. ნ-ის განმარტების ნაწილშიც. დაზარალებული აღნიშნავს, რომ ექსპერტი გულისხმობდა დღეის მდგომარეობით იმის გარკვევის შეუძლებლობას, თუ როდის განუვითარდა ზიანის მიმყენებელს დაავადება. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ახლობლებს შეეძლოთ შეემჩნიათ დაავადების ნიშნები, თუ ისინი მკვეთრად გამოხატული იქნებოდა და თუ ეს განიმარტებოდა ექსპერტიზის დასკვნასთან ერთობლიობაში; ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მშობლები ბოლო პერიოდამდე ამჩნევდნენ შვილს აკვიატებულ ქმედებებს და შეგრძნებებს, ამასთან, გაფრთხილებული იყვნენ შიზოფრენიის გამორიცხვის აუცილებლობაზე, ეს ფაქტობრივი გარემოებები სხვა არაფერია, თუ არა დასტური იმისა, რომ მშობლებს შემჩნეული ჰქონდათ შვილისათვის ისეთი ნიშნები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ადამიანს არ ახასიათებს ხოლმე და რადგან სწორად შეაფასეს ეს ნიშნები, როგორც ავადმყოფური, ამიტომაც აღწერეს ისინი ექსპერტთან.

20. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინებით დაზარალებულის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

21. სასამართლომ სრულად გაიზიარა წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული, ასევე საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი სხვა ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

22. სსკ-ის 995-ე მუხლის კომენტარებისას, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისთვის სახეზე უნდა იყოს შემდეგი გარემოებები: ზიანის მიმყენებელი უნდა იყოს ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი; ასეთი პირის ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო; პირს, რომელსაც ეკისრება ზიანის ანაზღაურება, უნდა ევალუბოდეს მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, ზიანის თავიდან აცილება არ უნდა იყოს შეუძლებელი. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, წარმოადგენდნენ თუ არა მოპასუხეები მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზიანის მიმყენებლის მიერ, დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის, მშობლებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მათი შვილის ისეთი სახის დაავადების შესახებ, რომლის გამოც აუცილებელი იყო მისი

მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. ამ მხრივ, სააკველაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს შეფასება, რომ ზიანის მიმყენებელს არ აღენიშნებოდა შიზოფრენიის ისეთი გამოკვეთილი ნიშნები, რომელიც მისი მშობლებისათვის შესამჩნევი იქნებოდა, რაც მეთვალყურეობაზე და შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირებად მიჩნევის საფუძველს წარმოშობდა.

23. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც შეფასებულია გამოსაკვლევი პირის – ზიანის მიმყენებელი პირის მონაცემები მისი პირადი ცხოვრებიდან. კერძოდ, მას 11 წლის ასაკში ძალში უკბინა, რის შემდეგაც დასჩემდა სხვადასხვა სახის შიშები და აკვიატებები, ამის გამო, მას კონსულტაცია გაუწია ნევროპათოლოგმა; სისხლის სამართლის საქმეში განთავსებულ კონსულტაციის ფურცელში აღნიშნულია დაავადების დიაგნოზი (იხ. ამ განჩინების მე-10 პუნქტი). 08.05.2003 წლის ჩანაწერით ირკვევა, რომ „ბავშვი კარგადაა, დარჩა მხოლოდ მავნე ჩვევა – ფურთხება. გასინჯვითი ორგანიკა არ აქვს. დაინიშნა პირიუმი, ციკლოდოლი“.

24. სასამართლოს შეფასებით, მართალია, მშობლებისათვის ცნობილი იყო მათი შვილის არასახარბიელო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რის გამოც მათ, ჯერ კიდევ 2003 წელს მიმართეს ნევროპათოლოგს თუმცა, არც იმხანად დადგენილი დიაგნოზი და არც შემდგომში ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნები და მკურნალობის შედეგები, არ იძლეოდა ვაჟის ფსიქიკურად დაავადებულად მიჩნევის საფუძველს.

25. სასამართლომ ამ განჩინების 24-ე პუნქტში მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით, ასევე ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოში ექსპერტ-ფსიქიატრის მიერ სასამართლოსათვის მიცემულ განმარტებაზე. ექსპერტი აღნიშნავდა, რომ წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა დროში შეიძლება ჩამოყალიბდეს არადიფერენცირებული შიზოფრენია, ეს ინდივიდუალური შეფასების საგანია. შესაძლო პაციენტში სიმპტომები არ არის მკვეთრად გამოკვეთილი და მისი შემჩნევა (დიაგნოზირება) არასპეციალისტს შესაძლოა გაუჭირდეს. მოცემულ შემთხვევაში, დასკვნა გაკეთდა პაციენტთან კლინიკური გასაუბრების შედეგად, რა დროსაც მოხდა მისი იდეების შესწავლა. 05.08.2003 წლის კონსულტაციის ჩანაწერში მითითებული მედიკამენტი: მელიპრამინი, რომელიც დაენიშნა პაციენტს, წარმოადგენს ანტიდეპრესანტს, შესაბამი-

სად, მიმართულია დეპრესიული ფონის მოხსნისაკენ. 08.05.2003 წლის ჩანაწერის თანახმად, პაციენტს დაენიშნა პირიუმი და ციკლოდოლი. ექსპერტ-ფსიქიატრის განმარტებით, პრეპარატი – ციკლოდოლი ინიშნება, როგორც კორექტორი, იმისათვის, რომ მოიხსნას არასასურველი გამოვლინებები, ხოლო, პირიუმი არის ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის მქონე ნივთიერება (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინების 4.7 პუნქტი, ასევე, 20.12.2013წ. სასამართლო სხდომის ოქმი 15:08:55სთ).

26. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საქმეში წარმოდგენილი, წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მონშობით დასტურდება, რომ ზიანის მიმყენებელი 13.04.2009 აყვანილი იყო სამხედრო აღრიცხვაზე და ცნობილი იყო, სამხედრო სამსახურისათვის ვარგის პირად, რაც თავისთავად იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ იგი ამ პერიოდისათვის იყო ჯანმრთელი და არ აღენიშნებოდა რაიმე ფორმით გამოხატული ფსიქიკური ხასიათის რომელიმე დაავადება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მისი ჯანმრთელობის (ფსიქიკურ) მდგომარეობას და, შესაბამისად, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობას. სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობისთან დაკავშირებით, მის მშობლებს არასდროს მიუმართავთ ფსიქიატრისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მათთვის შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო აღქმული, როგორც ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანისა, რომელიც საჭიროებდა ფსიქიატრიულ მკურნალობას. შესაბამისად, სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია შეფასება, რომ მშობლებისათვის ზიანის მიმყენებელი არ წარმოადგენდა პირს, რომელიც საჭიროებდა მათ მეთვალყურეობას.

27. ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული გამოკვლევის, ასევე, საქალაქო სასამართლოსათვის ექსპერტ-ფსიქიატრის მიერ მიცემული განმარტების შეფასების და ზემოთ მითითებული გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებისათვის, მათი შვილის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების დროს, უცნობი იყო მისი ფსიქიკური დაავადებისა – არადიფერენცირებული შიზოფრენია – და, შესაბამისად, მისი ქმედუნარობის შესახებ, რის გამოც მშობლები ვერ იქნებიან მიჩნეული მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებად. აღნიშნული კი სსკ-ის 995-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

28. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაზარალებულმა ვერ უზრუნველყო, გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპირისპი-



როდ, შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული დასაბუთებული პრეტენზიის წარმოდგენა, რის გამოც, არ არსებობდა მისი გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

29. სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიმღები ერთ-ერთი მოსამართლე დარჩა განსხვავებულ აზრზე. მისი მოსაზრებით, მოცემული დავის გადაწყვეტისთვის საკვანძო საკითხი დამოკიდებულია სამართლებრივ შეფასებაზე, რომელიც უკავშირდება ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შედეგად დამდგარ ზიანზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სწორად განსაზღვრას.

30. მოსამართლის განსხვავებულ აზრში მითითებულია:

30.1. ფაქტია, რომ მოპასუხეთა შვილი, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს, დაავადებული იყო ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით-არადიფერენცირებული შიზოფრენიით და მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის (შეურაცხადობა). ასევე ფაქტია, რომ ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა დანაშაულის შეურაცხად მდგომარეობაში ჩადენის გამო.

30.2. უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პირის შეურაცხადობის გამო, მოსარჩელის მიერ დაყენებული მოთხოვნის ადრესატად სსკ-ის 995-ე მუხლის დანაწესზე მითითებით, მართებულად დასახელდნენ ზიანის მიმყენებელი პირის მშობლები.

30.3. იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის მიმყენებელი, 2013 წლის 1 მაისის შემთხვევის ჩადენისას, იყო სრულწლოვანი, ასევე, მისი ქმედუწუნაროდ ცნობისთვის დადგენილი წესით სასამართლოსათვის არ მიუმართავთ მშობლებს, მოპასუხეთათვის, როგორც ზიანის მიმყენებლის კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოთხოვნის დაყენება უსაფუძვლოა და ამ მხრივ არც მოსარჩელე დავობს.

30.4. სსკ-ის 995-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ პირს ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება.

30.5. კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი დაუკავშირა იმ მსჯელობას, რომ ზიანის მიმყენებელს არ აღენიშნებოდა შიზოფრენიის ისეთი გამოკვეთილი ნიშნები, რომლებიც მისი მშობლებისთვის შესაძენი იქნებოდა და, ამის გამო, ისინი არ შეიძლება მოიაზრებოდნენ ზიანის მიმყენებლის მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებად. ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე წარ-

მოდგენილი მტკიცებულებების ანალიზიდან.

30.6. საყურადღებოა საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის კვლევითი ნაწილი, სადაც დაფიქსირებულია გამოსაკვლევ ვი პირის მშობლების მიერ ექსპერტისათვის მიწოდებული ინფორმაცია. საგულისხმოა, რომ ეს ინფორმაცია და გარემოებები საქმის ზეპირი განხილვისას მოპასუხეს (ვაჟის დედა) არ უარუყვია.

30.7. მნიშვნელოვანია, რომ როგორც უდავოდ დგინდება, ზინის მიმყენებელს, 11 წლის ასაკში, ჰქონდა მონამვლის შინაარსის აზრები, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ საქმელს არ ჭამდა მანამ, სანამ მშობლებს არ გაასინჯებდა. მას ამ ასაკში აღენიშნებოდა სხვა სახის აკვიატებებიც (ხშირად ნერწყვა, ხშირად ინმენდდა ნერწყვს), ფაქტია, რომ ამ აკვიატებათა გამო მშობელმა შვილის სამკურნალოდ მიმართა ნევროპათოლოგს (გ. ნ-ს).

30.8. საყურადღებოა ნევროპათოლოგის მიერ 2003 წლის 10 მარტს შედგენილი კონსულტაციის ფურცელი, სადაც მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლო სხდომაზე მონვეულმა სპეციალისტმა განმარტა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი, რომ ამ ასაკში აღენიშნებოდა მონამვლის შინაარსის აზრები მოპასუხეთა შვილს. გ. ნ-ის განმარტებით, ასეთი სახის ჩივილი სცდება აკვიატებების ფარგლებს და ის შეფასებული უნდა იქნეს ბოვად, რომელიც საჭიროებდა არა ნევროპათოლოგის, არამედ ფსიქიატრის კონსულტირებას და შესაბამის მკურნალობას. ექსპერტთან საუბრის დროს, მშობლები განმარტავდნენ, რომ შვილს პერიოდულად ეცვლებოდა აკვიატებები, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ყიდულობდა უამრავი რაოდენობის სანერკალმებს, რვეულებს, თუმცა, მათ რეალურად არ იყენებდა, ჰქონდა შიშები, რომ სანერი კალამი არ დამთავრებულიყო და, რამდენიმე წამში ერთხელ, ამონებდა კალმის გულს. მშობლების განმარტებით, სტუდენტობის პერიოდში, იგი ძალზედ შეიცვალა და გახდა თავის თავში ჩაკეტილი, არ სიამოვნებდა ოჯახის წევრებთან ყოფნა, არ სურდა მშობლებთან კონტაქტი (2014 წლის 27 ივნისის საოქმო ჩანაწერი 17:20:54, 17:21:29, 17:22:59).

30.9. შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობლების მიერ ექსპერტისათვის მიწოდებული ინფორმაციიდან ცალსახად ირკვევა, რომ მათთვის შესამჩნევი იყო შვილის შეუსაბამო და არაადეკვატური მოქმედებები, რაც სხვადასხვა ასაკში განსხვავებული ინტენსივობით გამოიხატებოდა. აღსანიშნავია, რომ მშობლები შვილის ქმედებების დახასიათებისას ყურადღებას ამახვილებდნენ სწორედ იმგვარ მოქმედებებზე, რომლებიც მოკლებული იყო მიზეზმედგობრიობას და აშკარად

ალიქმებოდა, როგორც შეუსაბამო ქცევები. მაგალითისათვის, საკმარისია ვაჟის კონკრეტული ქცევები მონამვლის შესახებ აზრებიდან გამომდინარე, როდესაც ბავშვი არ ღებულობდა საკვებს, სანამ მშობლები არ გასინჯავდნენ კერძს; ასევე, უმიზეზოდ, რამდენიმე წამში სანერი კალმის გულის შემონმება, ასევე, სტუდენტობის წლებში, მშობლებთან ურთიერთობაზე უარის თქმა და მუდმივად გარეთ ყოფნის სურვილი; ასევე ინტერესების დაკარგვა (მაგ. სწავლისადმი). საგულისხმო და მნიშვნელოვანია, რომ მშობლები თავის დროზე, კერძოდ, გ. ნ-თან ვიზიტის შემდეგ, ფაქტობრივად გაფრთხილებული იყვნენ, რომ გამოსარიცხი იყო დიაგნოზი შიზოფრენიის თაობაზე.

30.10. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ მოპასუხეები, როგორც სრულწლოვანებამდე, ისე სრულწლოვანების შემდეგ პერიოდშიც ამჩნევდნენ და აფიქსირებდნენ მათი შვილის მხრიდან გამოვლენილ არაადეკვატურ და შეუსაბამო ქცევებს. ამასთან ფაქტია, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ, რომ შვილის ამ შეუსაბამო ქცევების გამო, არსებობდა შიზოფრენიის განვითარების საშიშროება და ამ პირობებში უფრო მეტად საყურადღებო და აუცილებელი იყო ვაჟის მეთვალყურეობა. 30.11. მოპასუხეებს არ წარუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა შიზოფრენიის გამოსარიცხად ქმედითი ღონისძიებების განხორციელებაზე. ექსპერტ გ. ნ-ის განმარტება, რომ მის მიერ ჩატარებული მკურნალობის შემდეგ მიღებული იყო დადებითი შედეგი, არ შეიძლებოდა ყოფილიყო შიზოფრენიის გამორიცხვისთვის საკმარისი ღონისძიება, მით უმეტეს, ექსპერტი განმარტავს, რომ იგი არ ყოფილა ინფორმირებული პაციენტის მშობლების მიერ, რომ ბავშვს აღენიშნებოდა მონამვლის შესახებ მოსაზრებები, რაც აკვიატებებს სცილდება და სპეციალისტის მიერ ფასდება როგორც ბოღვა.

30.12. სსკ-ის 995-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის გამოყენებისათვის და, შესაბამისად მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის სწორად განსაზღვრისათვის, ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არა ის გარემოება, რომ მეთვალყურეობის ვალდებულება შესაბამის პირს დაკისრებული ჰქონდეს მაინცდამაინც მესამე პირის (მაგ. რომელიმე სახელმწიფო უწყების) მიერ, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ მეთვალყურეობის ვალდებულების წარმოშობაზე. შესაბამისად, სახეზეა ის აუცილებელი ფაქტობრივი სა-

ფუძველი, რაც საკმარისია მოპასუხეების მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებად მისაჩნევად.

31. დაზარალებულმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

32. საკასაციო საჩივრის პრეტენზიები ამ განჩინების 19.1-19.10.პუნქტებში მითითებული სააპელაციო საჩივრის საფუძვლების იდენტურია.

33. კასატორი უთითებს, რომ მას შემდეგ, რაც ზიანის მიმყენებელი გამოუტყდა გრძნობებში და მან უარით უპასუხა, ახალგაზრდა კაცი ვახდა დაზარალებულის „აჩრდილი“. ყველგან დაპყვებოდა, ლექციებზე თუ მეტროში, მუდმივად ეჭვიანობდა მასზე, მათ შორის ნათესავებზეც.

34. იგი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დიაგნოზის გათვალისწინებით, არასათანადო მოპასუხეა, რომლისგანაც არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება. ამკარაა, რომ სახეზეა მისი ქმედუუნაროდ ცნობის საფუძველი, თუმცა, არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ვაჟის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ, ან ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი მისთვის მეურვის დანიშვნის თაობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, არსებობს სსკ-ის 995-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენების საფუძველი, კერძოდ, არსებობენ პირები, რომელთაც კანონით ევალებათ მეთვალყურეობა ჭკუასუსტ და სულით ავადმყოფ პირზე და ასეთები არიან მშობლები, სსკ-ის 1212-ე მუხლის თანახმად, „მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ“. რჩენაში იგულისხმება მატერიალური პასუხისმგებლობის აღება, თუ შრომისუუნარო შვილს ეკისრება ფულადი პასუხისმგებლობა.

35. კასატორი მისი საჩივრის განხილვის ყოველ ეტაპზე უთითებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §823-ე-826-ე, 827-ე, 828-ე, 932-ზე, რომელთა შინაარსიდან გამომდინარე, ვაჟის მშობლების დასახელება მოპასუხედ სრულიად სამართლიანი და საფუძვლიანია. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებმა იცოდნენ შვილის არაადეკვატური საქციელის შესახებ, ისინი იჩენდნენ უმოქმედობას და ურღვევდნენ შვილს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, რაც „ბავშვის უფლებების კონვენციის“ 24-ე მუხლის თანახმად, ბავშვის საყოველთაო უფლებაა.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გ. ა-ას საკასაციო საჩივარი 2015 წლის 13 ივლისის განჩინებით წარმოებაში მიიღო საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 10 სექტემბრის განჩინებით, დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან სადავო სამართლებრივი საკითხი ეხება სსკ-ის 995-ე მუხლის განმარტებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების, საქმის, მათ შორის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული მოსაზრების, დეტალურად შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

37. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

38. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში განთავსებული მასალების მიხედვით, უდავოა, რომ მომხდარი ინციდენტის შედეგად მიღებული დაზიანებების გამო, კასატორმა მიიღო სიცოხლისათვის საშიში არაერთი ტრავმა, რამაც მას მიაყენა ძლიერი ფიზიკური ტკივილები და მორალური განცდა, ამასთან, მის გადარჩენას, შემდგომ მკურნალობასა და რეაბილიტაციას ხანგრძლივი დრო, ნებისყოფა და დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

39. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანს წარმოადგენს სსკ-ის 995-ე მუხლის განმარტების მართებულობა, რადგან სახეზეა ზიანის მიმყენებელი პირის მოქმედება, რომლის ბრალეულად მიჩნევა, გა-

მოირიცხა მისი შეურაცხადობის გამო, რაც დადგენილია საქმეში არსებული მტკიცებულებებით (იხ. განჩინების მე-12 პუნქტი).

40. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელში მოპასუხეებად დასახელებული ზიანის მიმყენებლის მშობლების, სსკ-ის 995-ე მუხლის მეორე ნაწილის (იხ. განჩინების მე-12 პუნქტი) დეფინიციის თანახმად, ზიანის მიმყენებელ პირზე პასუხისმგებლებად მიჩნევის წინაპირობები და, სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, მათთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებებით არ დასტურდება არა მხოლოდ ფორმალურ-იურიდიული საფუძველი, რომ მოპასუხეები იყვნენ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები, არამედ, არც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეა შესაძლებელი, მოხმობილი ნორმის (ცვლილებამდე არსებული რედაქციით) „თუ პირს ეკისრება მეთვალყურეობა ზიანის მიმყენებელზე, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება“ უფრო ფართოდ განმარტება საკასაციო სასამართლოს მიერ შემდეგ გარემოებათა გამო:

40.1. წინამდებარე განჩინების მე-16 პუნქტში განვითარებულ მსჯელობაზე მითითებით, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზიანის მიმყენებელი პირის მშობლების მიჩნევა ვალდებულ პირებად, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ საკუთარ შვილზე მეთვალყურეობა, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან, რადგან არ დასტურდება, რომ მშობლებმა არ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება შვილისადმი, როდესაც მას შეექმნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წარმოადგენენ განსახილველი დავის შესწავლისას, მტკიცებულებათა ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგებს ისეთი სპეციფიკური საკითხების შეფასებისას, როგორცაა ზიანის მიმყენებლის ფსიქიკური მდგომარეობა, მის მიერ ჩადენილ ქმედებამდე (იხ. წინამდებარე განჩინების 24-27 პუნქტები).

40.2. საკასაციო საჩივრის საფუძველზეთან ერთად, საკასაციო სასამართლომ გულდასმით შეისწავლა და გააანალიზა საქმეში განთავსებული მოსამართლის განსხვავებული აზრი (იხ. განჩინების 30-ე პუნქტი), რაც, ასევე, მნიშვნელოვანია დავის შინაარსისა და კასატორისათვის მიყენებული ზიანის თავისებურების გათვალისწინებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო

კასატორის პრეტენზიებთან ერთად, უთითებს მოსამართლის განსხვავებული მოსაზრების უარყოფის საფუძველზეც, საკაცო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივების დასაბუთებისას.

40.3. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმებისას, ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ სსკ-ის 995-ე მუხლის ფარგლებში ჩამოყალიბებულ ფორმალურ-იურიდიულ საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებულ მოსაზრებაში (იხ. განჩინების 30.12. ქვეპუნქტი) მითითებულ ფაქტობრივ საფუძველზე და განმარტავს, რომ ასეთი საფუძველების არსებობის სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებებით დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ზემოთ მოხმობილი ნორმის უფრო ფართოდ განმარტება, სწორედ ნორმის მიზნიდან და მისი დაცვის ობიექტიდან გამომდინარე. ამავე კონტექსტში, საკასაციო სასამართლო ავითარებს მსჯელობას კასატორის მიერ მითითებულ გერმანული სამოქალაქო კოდექსის იდეტურ ნორმებზე – §823-ე-826-ე, 827-ე, 828-ე, 932-ე (იხ. განჩინების 35-ე პუნქტი). დასახელებული ნორმების მიზანი გამოკვეთილია და ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს ზიანის მიყენებისას პირის უშუალო მონაწილეობას ან მის ახლო კავშირს. გერმანული სამართლის თანახმად, არსებობს თავად დამნაშავის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მაშინაც, თუ იგი სულიერად ავადმყოფია და აქედან გამომდინარე ბრალი ვერ წარედგინება, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §829-ე. ქართული სამოქალაქო კოდექსი განსხვავებულად ანესრიგებს ამ საკითხს, რაც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია.

40.4. ექსპერტიზის დასკვნით, მოპასუხეთა შვილს, დანაშაულის ჩადენის დროს, დაუდგინდა არადიფერენცირებული შიზოფრენია, რომელიც სპეციალისტთა მოსაზრებით, არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ მას აღნიშნული ავადმყოფობა ბავშვობიდან, პერმანენტულად ჰქონდა (იხ. განჩინების მე-10 პუნქტი). ქვემდგომ სასამართლოში მოწვეული სპეციალისტის განმარტებით, აღნიშნული ავადმყოფობის ნიშნების ამოცნობა რთულია სპეციალისტის გარეშე და გარშემომყოფთათვის ადვილად საცნობი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ იგი გამოკვეთილია; ვაჟთან კლინიკური გასაუბრების შედეგები, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის გაკეთების საფუძველი გახდა, ეხება პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოკვლევას მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში. ექსპერტისავე განმარტებით,

ბავშვისათვის ადრე ჩატარებული მკურნალობა და მისთვის დანიშნული მედიკამენტები არ იყო განკუთვნილი შიზოფრენიის მკურნალობისთვის, არც შემდგომ დიაგნოზებში ფიქსირდება შიზოფრენიაზე მითითება (იხ. ამ განჩინების მე-10, მე-11, 23-ე-26-ე პუნქტები).

40.5. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის საოქმო ჩანაწერზე, ნევროპათოლოგ გ. ნ-ის, როგორც სპეციალისტის განმარტებაზე (იხ. საოქმო ჩანაწერი – აუდიო ჩანაწერი). საოქმო ჩანაწერის თანახმად, სპეციალისტმა განმარტა, რომ, დროის ხანგრძლივობის გამო, შესაძლებელია ყველაფერი ვერ აღედგინა, მეტ-ნაკლებად შეეძლო კითხვებზე პასუხების გაცემა. სპეციალისტმა განმარტა, რომ ნევროლოგიური თერაპია ექვემდებარება მკურნალობას, მისი დანიშნულებით, ზიანის მიმყენებელს მკურნალობა დაენიშნა აკვიატებული მოსაზრებების, მოქმედებების გამო; სპეციალისტის მიერ დასმული დაშიფრული დიაგნოზით, საკითხი ეხებოდა დაავადების შესაძლო პროგრესირების გამორიცხვას. არაერთ კითხვაზე, სპეციალისტმა განმარტა, რომ შიზოფრენიის ჩამოყალიბებული დიაგნოზის შემთხვევაში, იგი პაციენტს გადაამისამართებდა ფსიქიატრთან. ბავშვს, მკურნალობის შემდეგ, მოეხსნა აკვიატებები და მას აღენიშნებოდა მხოლოდ მავნე ჩვევები. (27.06.2014 სხდომის ოქმი, 17:17:07-დან). მოსამართლის შეკითხვის პასუხად, სპეციალისტმა განმარტა, მას რომ სცოდნოდა, ბავშვს ჰქონდა მონამგლის შინაარსის აზრები, იგი უდავოდ იქნებოდა გადაამისამართებული ფსიქიატრთან. მოსამართლის არაერთი შეკითხვის პასუხად, სპეციალისტმა განმარტა, რომ დიდი ხანია გასული, დეტალები არ ახსოვს, თუმცა, მან ინფორმაცია მიიღო არა მხოლოდ მშობლისაგან, არამედ 11 წლის ბავშვთან უშუალო საუბრითა და მასზე დაკვირვებით, ექიმი ეყრდნობა მშობლისა და ბავშვის მონაცემებს, პაციენტზე დაკვირვებას; კონკრეტულ შემთხვევაში, ერთი ვიზიტის შემდეგ, იყო მეორე ვიზიტი, როდესაც სპეციალისტმა გამორიცხა შიზოფრენიის დიაგნოზი; მოსამართლის შეკითხვის პასუხად, სპეციალისტმა განმარტა, რომ თუ დაინახავდა, რომ პაციენტს ჰქონდა ბოძვა, იგი აუცილებლად გადაამისამართებდა პაციენტს ფსიქიატრთან. იმ ეტაპზე და იმ დროს გამოირიცხა შიზოფრენია, მეორე ეტაპზე, ბავშვს უკვე მოხსნილი ჰქონდა აკვიატებული მოძრაობები და სიმპტომები. მშობელი, 11 წლის ბავშვის შემთხვევაში, არ არის დაინტერესებული, რომ ექიმს მიაწოდოს დეზინფორმაცია, ეს შეიძლება უფროსი ასაკის პაციენტთან უფრო მოხდეს, მაგრამ ბავშვის შემთხვევაში,



მისი ჯანმრთელობაა მთავარი. მესამე კონსულტაცია ჩატარდა წამლის მოხსნის შემდეგ. (27.06.2014 სხდომის ოქმი, 17:25:33-17:27:44). მოსამართლის შეკითხვის პასუხად, სპეციალისტმა განმარტა, რომ მას შეეძლო გამოერიცხა ფსიქიატრიული პრობლემა იმ ეტაპზე; პროგრედიენტული შიზოფრენიის გამოსარიცხად, საკმარისი იყო მისი კვალიფიკაცია; ბოდეა რომ ყოფილიყო, თერაპიას გააგრძელებდა არა ნევროპათოლოგი, არამედ გადასცემდა ფსიქიატრს, რასაც უკვე თერაპია კი არა, მართვა დასჭირდებოდა, ამასთან, არ არის საჭირო მაინცდამაინც სტაციონარული, ყოველდღიური დაკვირვება (27.06.2014 სხდომის ოქმი, 17:29:01-17:30:25). სპეციალისტმა მოსარჩელის წარმომადგენლის კითხვაზე: შესაძლებელი იყო თუ არა, რომ პაციენტი ყოფილიყო რეალურად ფსიქიატრის პაციენტი, მაგრამ რამდენადაც ნევროპათოლოგისათვის არ მოხდა ინფორმაციის სრულად მონოდება, ნევროპათოლოგის მიერ რეკომენდირებული მედიკამენტების ფონზე, ასე ვთქვათ, შენიღბულიყო ფსიქიატრიული დაავადების ნიშნები? – სპეციალისტმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ექიმი და პაციენტი თანამშრომლობენ, პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე; შეიძლებოდა შენიღბულიყო, მაგრამ რომ შენიღბულიყო, ის უფრო ადრე გამოავლენდა მაინც თავს (27.06.2014 სხდომის ოქმი, 17:48:23-17:48:49).

40.6. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სპეციალისტის განმარტებების გასაბათილებლად, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს, რომ ზიანის მიმყენებელ პირზე არ ახორციელებდნენ მეთვალყურეობას მშობლები გონივრული სტანდარტისა და მშობლის ვალდებულების ფარგლებში, რაც ასევე გამორიცხავს მოსამართლის განსხვავებულ მოსაზრებაში განვითარებული მსჯელობისა და დასკვნების გაზიარებას (იხ. ამ განჩინების 30.8-30.11 ქვეპუნქტები).

40.7. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქმეზე ნ. ა. ნორვეგიის წინააღმდეგ (N.A. v. Norway, განაცხადი ნო. 27473/11), 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე თანდართული მოსამართლე დედოვის თანმხვედრ მოსაზრებაში განვითარებულია მსჯელობა დელიქტური სამართლის პრინციპებზე, რომელთა თანახმადაც, შესაძლოა პირს, რომელსაც ზიანი არ მიუყენებია, დაევალოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ასეთი პირები, შესაძლოა, უშუალოდ არ იყვნენ მსგავსი ქმედების მონაწილენი, მაგრამ უნდა არსებობდეს ობიექტური მიზეზები, რომლებიც მათ პასუხისმგებლობას ინვეს. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ასეთი მიდგომა ევროპული დელიქ-

ტური სამართლის პრინციპებს შეესაბამება, მაგ. „მუხლი 6:101. პასუხისმგებლობა არასრულწლოვნებისა და სულით ავადმყოფ პირებზე – „არასრულწლოვანზე ან სულით ავადმყოფზე პასუხისმგებელი პირი, პასუხის აგებს ამ პირის მიერ მიყენებულ ზიანზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხისმგებელი პირი დაამტკიცებს, რომ მან ქცევის ზედამხედველობის მოთხოვნილი სტანდარტი შეასრულა“.

მოსამართლემ საკუთარ მოსაზრებაში განმარტა, რომ ზოგადად, პასუხისმგებლობა ეფუძნება კონტროლის ქვეშ მყოფი და გარშემომყოფი პირების სიცოცხლისა და კეთილდღეობის დაცვის პოზიტიურ ვალდებულებას. კერძოდ, მშობლების პასუხისმგებლობა ეფუძნება მათ ვალდებულებას, იზრუნონ თავიანთ შვილებზე. ეს მიდგომა შეესაბამება ევროპული დელიქტური სამართლის პრინციპების 4:103 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას, იმოქმედონ, რათა დაიცვან სხვები ზიანის მიყენებისგან. ეს მიდგომა მოითხოვს, რომ მტკიცების ტვირთი გადატანილი იყოს ამ პირზე, ამ შემთხვევაში – მშობელზე.

40.8. აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, სსკ-ის 995-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტებისას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირებად ზიანის მიმყენებლის მშობლების მისაჩნევად, სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია არა ფორმალურ-იურიდიული საფუძველი და მოხმობილ ნორმაში სიტყვის „ეკისრება“ იმგვარად განმარტება, რომ მეთვალყურეობა აუცილებლად ობიექტურად უნდა იყო დაკისრებული მშობელზე, არამედ, მეთვალყურეობაზე სუბიექტურად ვალდებული პირის, განსახილველ დავაში, მშობლის მიერ თავის ვალდებულად მიჩნევა, რომ ქცევის ზედამხედველობის მოთხოვნილი სტანდარტი გონივრულად შეასრულოს, რათა დაცული და არიდებული იქნეს სხვა პირთა სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნა, ზიანის მიყენება.

40.9. განსახილველ შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი პირის მიერ ქმედების ჩადენის შემდეგ დადგინდა დიაგნოზი, რომელმაც გამორიცხა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა, წინამდებარე განჩინების 39-40 პუნქტებში მითითებული მსჯელობისა და დასკვნების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ დასტურდება მშობლების მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც გამოიწვევდა მათ პასუხისმგებლობას, აენაზღაურებინათ შვილის მიერ კასატორისათვის მიყენებული ზიანი. სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებებით, მათ შორის, ექსპერტთა განმარტებე-

ბითა და დასკვნების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ დადასტურდა, მშობლების მიერ სუბიექტურად გამოვლენილი უყურადღებობა საკუთარი შვილისადმი, რომელსაც ბავშვობაში შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები. მოპასუხეებმა მიმართეს სპეციალისტს და უმკურნალებს შვილს, იმხანად შესაძლებელი საშუალებებით. მკურნალობის შედეგად, ექიმ-სპეციალისტთა მიერ დასმული დადებითი დიაგნოზი არ იძლეოდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ არსებობდა სამომავლო საფრთხე ბავშვის დაავადების განვითარების, გართულების, თუ სხვა შესაძლო შედეგების შესახებ, რადგან სპეციალისტებს ასეთი მითითება ან რეკომენდაცია არ მიუციათ პაციენტის მშობლებისათვის. მოპასუხეთა შვილი 13.04.2009-დან აიყვანეს სამხედრო აღრიცხვაზე, ცნეს სამხედრო სამსახურისათვის ვარგის პირად (იხ. განჩინების 26-ე პუნქტი), იგი სწავლობდა, ჰქონდა წარმატებები და მიღწევები სხვადასხვა ასპარეზზე (წარმატებით დაამთავრა სკოლა, 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის; ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში მიიღო დიპლომები; მონაწილეობდა ოლიმპიადებში, დაკავებული იყო სპორტული აქტივობით). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მშობლები შვილისადმი არ იჩენდნენ სათანადო მზრუნველობას, რითაც დაარღვიეს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 24-ე მუხლი.

40.10. ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დასკვნების საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც კასატორს უარი უნდა ეთქვას მისი პრეტენზიის გაზიარებაზე, რომ ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილდეს საარჩევლო მოთხოვნა.

41. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ა-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 21 ნოემბრის განჩინება;
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამღვარი ზიანის ანაზღაურება**

### **განჩინება**

№ას-463-445-2016

8 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

#### **1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. ზ. პ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, კასატორი ან დაზარელებული) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა-ისა“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან გამყიდველი) და ი. კ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შემძენი ან მფლობელი) მიმართ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის – 20 000 ლარის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ საფუძვლებს: 2015 წლის 2 იანვარს, დაახლოებით 03:00 საათზე, შემძენი მეტრო დელისის მხრიდან ვაჟა-ფშაველას ქეგლის მიმართულებით მოძრაობდა გამყიდველის საკუთრებად რეგისტრირებული „HONDA FIT-ის“ მარკის ავტომობილით (სახელმწიფო ნომერი №...) რა დროსაც ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა ბორდიურთან გაჩერებულ დაზარალებულის საკუთრებაში არსებულ „MERCEDES- BENZ-ის“ მარკის ავტომანქანას სახელმწიფო ნომრით I.... ავტოსაგ-

ზაო შემთხვევაში ბრალეულად იქნა ცნობილი შემძენი და ის დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე და 125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. მის მიერ საგზაო წესების დარღვევის შედეგად, მოსარჩელეს მიადგა ზიანი – 10 000 აშშ დოლარის ოდენობით, რადგანაც დაზიანებული ავტომანქანის შეკეთება შეუძლებელია.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებლით გამყიდველმა არ ცნო სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ სატრანსპორტო საშუალება, რომლის ექსპლუატაციის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა, საგზაო შემთხვევის დროისათვის გაყიდული იყო და მის მესაკუთრეს წარმოადგენდა შემძენი, კერძოდ, 2014 წლის 25 სექტემბერს მოპასუხეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გამყიდველმა ზემოაღნიშნული ავტომანქანა მიჰყიდა მეორე მოპასუხეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამსხვისებელს არ შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

2.2. შემძენმა სარჩელი ნაწილობრივ ცნო, ავტოსატრანსპორტო საშუალების შეჯახების ფაქტი მას სადავოდ არ გაუხდია, არამედ, არ დაეთანხმა ზიანის ოდენობას იმ დასაბუთებით, რომ შეჯახების შედეგად მოსარჩელის კუთვნილ ავტომანქანას დაუზიანდა მხოლოდ ფარი და ბუფერი. სხვა დაზიანება მოსარჩელის ავტომანქანას არ მიუღია.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 12 200 ლარის სოლიდარულად გადახდა, სარჩელის მოთხოვნა 7 800 ლარის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გამყიდველმა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, შეიცვალა გასაჩივრებული

გადაწყვეტილება აპელანტისათვის 12 200 ლარის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი გამყიდველის მიმართ არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა პროცესის ხარჯების დაკისრების შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტები აპელანტის მიმართ და მოსარჩელეს მის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის – 554.28 ლარის, ასევე, წარმომადგენლის დახმარებისათვის განუული ხარჯის – 500 ლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა აპელანტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებს: 1. მარკა, მოდელი NISSAN SKYLINE, გამოშვების წელი 2001, სახელმწიფო ნომერი A..., საიდენტიფიკაციო/შასის ნომერი V..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბის ნომერი A...; 2. მარკა, მოდელი HONDA FIT, გამოშვების წელი 2002, სახელმწიფო ნომერი A..., საიდენტიფიკაციო/შასის ნომერი ჩ..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბის ნომერი №...; 3. მარკა, მოდელი HYUNDAI XG 3.0, გამოშვების წელი 2002, სახელმწიფო ნომერი №..., საიდენტიფიკაციო/შასის ნომერი №..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონუმბის ნომერი №....

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და აპელანტის მიმართ სარჩელის დაკმაყოფილება, საქმის განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების დაკისრება და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ძალაში დატოვება (იხ. საკასაციო საჩივარი).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლის/უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლომ შეფასების საგანს მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირთა წრის განსაზღვრის სისწორე, ასევე, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებული ღონისძიების გაუქმე-

ბისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების კანონიერება წარმოადგენს.

1.2. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სატრანსპორტო საშუალება, რომლის ექსპლუატაციასაც მოჰყვა ზიანი, აღარ წარმოადგენდა მოპასუხე საწარმოს საკუთრებას, რაც დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, მის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა, რასაც არ ეთანხმება კასატორი სამართლის ნორმათა არასწორი გამოყენებისა და ამ გზით სადავო ფაქტობრივ გარემოებათა არასწორად დადგენის მოტივით (სსსკ-ის 393-ე მუხლი).

1.3. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმებამდე პალატა ყურადღებას გაამახვილებს სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმასა და მის აბსტრაქტულ ელემენტებზე. სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. მოხმობილი ნორმა წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებით, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელ სპეციალურ დანაწესს და განსხვავებით სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრებული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა, ადგენს პირის ვალდებულებას, ნორმაში ჩამოთვლილ სიკეთეთა ხელყოფის შემთხვევაში, აგოს პასუხი (ანაზღაუროს ზიანი) მიუხედავად ბრალისა. კანონის ამგვარი მიდგომა განპირობებულია თავად ზიანის წყაროს განსაკუთრებული თვისებით, რის გამოც იგი იურიდიულ ლიტერატურაში მომეტებული საფრთხის წყაროდ განიხილება. თავის მხრივ, ნორმის სუბიექტები არიან ვალდებული და დაზარალებული პირი. ვალდებულ პირად კანონი განიხილავს ნივთის მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც ამ ქონებაზე საკუთრება მართლზომიერად აქვს მოპოვებული, თუმცა, მფლობელი, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი, შეიძლება იყოს, როგორც პირდაპირი, ისე – არაპირდაპირი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზე გვყავს კვლავ „მფლობელი“ (არაპირდაპირი) და „მოსარგებლე“ (პირდაპირი მფლობელი), თუმცა, იმის მიხედვით, თუ რა გზით (იურიდიულად ნამდვილი უფლების საფუძველზე) აღმოჩნდა ნივთი მოსარგებლის ფაქტობრივ ბატონობაში, განსხვავებულია ამ ნივთის ექსპლუატაციით მიყენებულ

ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტიც (ნორმის მე-4 ნაწილი). ამდენად, სარჩელის საფუძვლიანობის (მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციით მიყენებული ზიანის სოლიდარულად ანაზღაურების მოთხოვნა) განმაპირობებელია გარემოება იმის თაობაზე, ავტოსატრანსპორტო შემთხვევისას თუ ვის გააჩნდა საკუთრება ზიანის წყაროზე. ამ თვალსაზრისით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.3.1. 2015 წლის 2 იანვარს ი. კ-მა, „HONDA FIT-ის“ მარკის სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას, ვერ დაიმორჩილა საჭე და შეეჯახა ბორდიურზე გაჩერებულ ზ. პ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებას. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა ი. კ-ს;

1.3.2. საგზაო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანის ოდენობა განისაზღვრა 12 200 ლარით;

1.3.3. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, „HONDA FIT-ის“ მარკის სატრანსპორტო საშუალება რეგისტრირებულია შპს „ა-ის“ სახელზე.

1.3.4. ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომამდე ი. კ-სა და შპს „ა-ს“ შორის გაფორმდა იმ სატრანსპორტო საშუალების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ექსპლუატაციის შედეგადაც დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.5. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით ი. კ-ს გადაეცა საკუთრების უფლება მომეტებული საფრთხის წყაროზე. ამ თვალსაზრისით კი, მხარე აპელირებს სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 52-ე მუხ-



ლების არასწორ გამოყენებაზე. მართალია, სააპელაციო სასამართლომ ნივთზე უფლების გადაცემა ხელშეკრულების იმ დებულებების ანალიზს დაუკავშირა, რომელთა თანახმადაც, მყიდველმა იკისრა ვალდებულება, საკუთარი სახელითა და ხარჯით დაეზღვია ავტომობილი, ასევე, გადაეხადა წარმოშობილი ჯარიმები (იხ. ხელშეკრულების 5.1. და 5.3. პუნქტები), თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკუთრების უფლების შემძენზე გადასვლის ფაქტი არსებითად სწორად იქნა დადგენილი, რამდენადაც დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ სადავო შემთხვევის დადგომამდე მოპასუხეთა შორის (შპს „ა-ი“ – გამყიდველი; ი. კ-ლი – მყიდველი) გაფორმდა გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლის ძალით შემძენს წარმოევა ხელშეკრულების საგანზე საკუთრების უფლება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით რეგულირებულია მოძრავი ნივთის შეძენის ზოგადი წესი და დადგენილია, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამომწურავად ადგენს შემთხვევებს, საკუთრების გადაცემის იურიდიული შედეგის დადგომისათვის თუ რა განიხილება ნივთის გადაცემად, ასეთად კი, მიჩნეულია შემდეგი: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება (ამ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკით, იხ. სუსგ-ები: №ას-914-954-2011, 27 ოქტომბერი, 2011წ; №ას-658-625-2014, 5 დეკემბერი 2014წ.), თუმცა, ამ ზოგადი დანაწესის კერძო შემთხვევას წარმოადგენს გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში (სკ-ის 505-ე მუხლი). საკანონმდებლო ტექნიკის (ნორმა ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ ქვეთავს წარმოადგენს), ასევე, ნივთზე უფლების გადაცემის საკითხის სწორად განსაზღვრის მიზნით სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლი უნდა განიმარტოს სისტემურად ამავე კოდექსის 477-ე და 186-ე (მოძრავი ნივთის შემ-

თხვევაში, ხოლო უძრავი ნივთისას – 183-ე მუხლი) მუხლებთან ერთობლიობაში. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავდება იმით, რომ განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს მყიდველს ნივთი ფასის გადახდამდე, ხოლო შემდგომ კი მყიდველის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ. ამდენად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მყიდველი ნივთის მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე, თუმცა მას გადახდილი აქვს ნივთის ფასის მხოლოდ ნაწილი. განვადებით ნასყიდობა, ისევე როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია, იგი დადებულია დივლენა მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევის მომენტიდან და მისი ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული ნასყიდობის საგნის რეალურად გადაცემასთან (იხ. სუსგ №ას-691-1021-07, 12 თებერვალი, 2008 წ), ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გადახდის განვადების ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება (ხელშეკრულების დადება), თავად ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, გამოირიცხავს მისი რეგულირებისათვის სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის (პირობადებული საკუთრება) გამოყენების შესაძლებლობას, რადგანაც, განსხვავებით ამ ნორმისაგან, გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას კანონი პირდაპირ ადგენს საკუთრების უფლების გადაცემის მომენტს.

1.6. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ავტომობილის გამსხვისებლის სახელზე რეგისტრაციის ფაქტი საკუთრების უფლების გადაცემის დამაბრკოლებელი გარემოება ვერ გახდება. ეს დასკვნა ემყარება, როგორც სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით დადგენილ მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის წესს, ისე წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.5. პუნქტში მითითებულ და სააპელაციო პალატის მიერ სწორად მოხმობილ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას. რაც შეეხება მოპასუხეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 5.2. პუნქტის დათქმას ფასის სრულად გადახდის შემდეგ „ავტომობილის საკუთრების შეცვლის“ თაობაზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების მითითებული დებულება წარმოადგენს მხოლოდ ნივთის რეგისტრაციაზე შეთანხმებას, რომელიც სა-

მოქალაქო სამართლის რეგულაციის ფარგლებს ცდება და მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის სფეროს.

1.7. ამდენად, განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მიზნებისათვის მომეტებული საფრთხის წყაროს, როგორც მფლობელი, ისე – მოსარგებლე ი. კ-ია და მიუხედავად ბრალისა, სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ი. კ-ს, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროდან გამომდინარე ვალდებულ პირს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, თანხის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება მის მიმართ შესულია კანონიერ ძალაში. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის განსაზღვრის ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები, ამავ კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

1.8. რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, მათ შორის იმ ნაწილში გაუქმების თაობაზე, რომლითაც ყადაღა დაედო ავტომანქანა „HONDA FIT-ს“, პალატა მას ვერ გაიზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ საპროცესო მოქმედების მიმართ კასატორმა დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლი არეგულირებს შემაჯამებელი გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის შესაბამისად გამოყენებული სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ბედს და დადგენილია, რომ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, ვინაიდან, სარჩელის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, მოსარჩელის მოთხოვნის ფორმალური საფუძვლიანობიდან გამომდინარე, მისი დაკმაყოფილების თაობაზე (სსსკ-ის 191.1 მუხლი), ამასთან, აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს პრევენციულ ნაბიჯს მართლმსაჯულების აქტის აღსრულების ხელშეწყობისათვის, გამოყენებული ღონისძიების გაუქმებისა თუ ძალაში დატოვების საკითხიც სწორედ საქმის არსებითი განხილვის შედეგად დამდგარი შემაჯამებელი აქტის პროპორციულად ინარჩუნებს ძალას.

1.9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, 2015 წლის 2 თებერვლის განჩინებით გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა დაედო მოპასუხე შპს „ა-ის“ კუთვნილ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებას, მათ შორის, სსიპ მომსახურების სააგენტოში სანარმოს სახელზე რეგისტრირებულ იმ სატრანსპორტო საშუალებას, რომლის ექსპლუატაციის შედეგადაც დადგა ზიანი. წინამდებარე განჩინებაში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, ვინაიდან დადგენილია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დადგომის დროისათვის სატრანსპორტო საშუალება „HONDA FIT-ზე“ საკუთრების უფლება გადაცემული ჰქონდა ი. კ.-ს, რომელიც დამდგარ ზიანზე პასუხისმგებელი პირია (მის მიმართ სარჩელი დაკმაყოფილებულია), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნივთზე საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა. ამდენად, სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლის წინაპირობა.

1.10. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მას არასწორად დაეკისრა შპს „ა-ის“ სასარგებლოდ საპროცესო ხარჯების ანაზღაურება. კასატორის მოთხოვნის წინააღმდეგ პალატა უპირველესად, აღნიშნავს, რომ ამ კუთხით მხარეს პრეტენზია არ წარმოუდგენია, თუმცა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესწავლით დასტურდება, რომ, როგორც სახელმწიფო ბაჟი, ისე იურიდიული მომსახურების ხარჯი მოგებული მხარის სასარგებლოდ დაეკისრა წაგებულს, ამასთან, იურიდიული მომსახურების გამო დაკისრებული თანხის ოდენობა გონიერულია და არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ სტანდარტს.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან, საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით საკასაციო საჩივარი დავის მატერიალური მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, გადახდილი ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 199<sup>1</sup>-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. პ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – მარკა, მოდელი HONDA FIT, გამოშვების წელი 2002, სახელმწიფო ნომერი – №..., საიდენტიფიკაციო/მასის ნომერი №..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო მონომობის ნომერი №... ყადაღის მოხსნის ნაწილში და ამ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა დარჩეს ძალაში.

3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის  
გარდაცვალებისას**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სასჯელთმსახურების  
სამართლებრივი დეპარტამენტის მიერ**

№ას-789-746-2015

22 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** საწარმოო ტრავმის შედეგად მარჩენალის და-  
ლუპვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სს „ს-ის“ (შემდეგში – ს-ა, საწარმო, მოპასუხე ან კასატო-  
რი) ხაშურის სალოკომოტივო სამმართველოში (ყოფილი დეპო)  
ელმავალის მემანქანედ მუშაობის დროს, სამსახურებრივი მო-  
ვალეობის შესრულებისას, გ. ლ-ის (შემდეგში მოსარჩელე, სარ-  
ჩენი ან მარჩენალის მეუღლე) მეუღლემ, კ. ლ-მა (შემდეგში –  
ყოფილი მემანქანე ან მარჩენალი) 1972 წლის 20 სექტემბერს,  
საწარმოს ბრალით, მიიღო ტრავმა. ტრავმის შედეგად, მემან-  
ქანემ პროფესიული შრომის უნარის 80% უვადოდ დაკარგა.

2. მარჩენალი 1990 წლის 1 ივნისს გარდაიცვალა.

3. საწარმოს ვალდებულება აღიარებული აქვს, იხდის მარ-  
ჩენალის დაკარგვის გამო, სარჩოს 192 ლარსა და 81 თეთრს ბო-  
ლო ხუთი წლის მანძილზე, რაც, მარჩენალის მეუღლის მოსაზ-  
რებით, შეუსაბამოდ დაბალია.

4. საწარმოში მომუშავე ელმავლის მემანქანის ხელფასი 2011  
წლის 1 მარტიდან განისაზღვრა 1050 ლარით, 2012 წლის 30 მარ-  
ტიდან – 1150 ლარით, ხოლო 2012 წლის 1 დეკემბრიდან – 1250  
ლარით.

5. 2014 წლის 24 ივნისს მარჩენალის მეუღლემ, სარჩელით  
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, საწარმოს წინა-  
აღმდეგ და მოითხოვა, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ,  
დაკისრებოდა 2011 წლის ივნისიდან 2014 წლის ივნისამდე, ბო-  
ლო სამი წლის მიუღებელი სარჩოს ერთობლივი თანხა – 9938,84  
ლარი, ხოლო 2014 წლის ივნისიდან – ყოველთვიურად 500 ლა-  
რი.

6. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით მარჩენალის მეუღლის სარჩელი დაკმაყოფილდა და, მის სასარგებლოდ, სანარმოს დაეკისრა:

1) მარჩენალის დაკარგვის გამო, ზიანის ასანაზღაურებლად, მიუღებელი სარჩოს ერთჯერადად გადახდა 10 018.84 (ათი ათას თვრამეტი ლარი და 84 თეთრი) ლარის გადახდა;

2) 2014 წლის 1 ივლისიდან, ყოველთვიურად, სარჩოს 500 (ხუთასი) ლარის გადახდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით.

7. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 316-ე-317-ე, 411-ე, 992-ე, 1006-ე მუხლებზე; საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში სშკ) 115-ე მუხლზე (2006 წლის 4 ივლისამდე მოქმედი რედაქციით); ამავე კოდექსის 44-ე მუხლზე (სარჩელის აღძვრის მომენტისათვის მოქმედი რედაქციით); საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლებზე; საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე და მიუთითა, რომ სანარმოს მიერ, გარდაცვლილი მარჩენალის მეუღლის სარჩოს დაანგარიშებაში, მოქმედი მემანქანის გაზრდილი ხელფასის გაუთვალისწინებლობით, სარჩენი არასრულად იღებდა კუთვნილ სარჩოს, რითაც მას ზიანი ადგებოდა.

8. მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩენის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

9. სანარმოს განმარტებით, სარჩენის მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მას არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულებები.

10. სანარმოს მოსაზრებით, სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმები არ ანესრიგებენ სარჩოს დაანგარიშების წესს. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზ-

ლაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და, თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ვადა“. საწარმოს მითითებით, აღნიშნული წესი არეგულირებს ზიანის ანაზღაურების წესს მხოლოდ დამსაქმებლის ბრალის შემთხვევაში და არა უკვე დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებას.

11. მოპასუხის მოსაზრებით, გარდაცვლილი მარჩენალის მეუღლის მოთხოვნა, არსებული მემანქანის ხელფასის გათვალისწინებით, სარჩოს გაზრდის თობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 38-ე პუნქტი შეეხებოდა, მარჩენალის გარდაცვალების გამო, ხელფასის ცვლილებასთან ერთად, დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებას. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის №923 ბრძანებულებით, 38-ე პუნქტში შევიდა ცვლილება და დანიშნული სარჩო, ხელფასის ცვლილებასთან ერთად, გადაანგარიშებას აღარ დაექვემდებარა, რის გამოც, მოსარჩელის მოთხოვნა მოქმედი მუშაკის ხელფასიდან მისთვის სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, სამართლებრივი საფუძველსაა მოკლებული. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53-ე მოქმედი დადგენილება არ ითვალისწინებს მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩოს გადაანგარიშების წესს და ყოველივე ეს მიუთითებს, რომ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მარჩენალის სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

12. საწარმოს განმარტებით, სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელზეც საქალაქო სასამართლო უთითებს, სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძველად, ვრცელდება სახელშეკრულებო ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე, რაც არ შეიძლება გავრცელდეს, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, ზიანის ანაზღაურებაზე, რადგან ამავე მუხლის მე-2 ნაწილი სპეციალურ ნორმას წარმოადგენს; იგი შეეხება ზიანის ანაზღაურებას სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, ყოველთვიური სარჩოს გადახდას, ხოლო აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს სარჩენის მიერ მითითებულ წესს, რის საფუძველზეც იგი ითხოვს დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებას,

13. საწარმოს მოსაზრებით პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლები.



14. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 აპრილის განჩინებით საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელის მეუღლემ ს-აში შრომითი მოვალეობის შესრულებისას, მიიღო საწარმოო ტრავმა, რის შედეგადაც დაკარგული პროფესიული შრომისუნარიანობის ხარისხი განისაზღვრა 80%-ით, ხოლო შემდეგში მაჩვენალი გარდაცვალა საწარმოო ტრავმის შედეგად. საწარმო, მარჩენალის დაკარგვის გამო, მის მეუღლეს ყოველთვიურად უხდის სარჩოს – 192.81 ლარს (პროფკომიტეტის სხდომის ოქმი).

16. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მემანქანის ხელფასი პერიოდულად იზრდებოდა (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი; განცხადებები).

17. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს-ას არ გადანაგარიშებია სარჩენის მიერ მისაღები სარჩო გაზრდილი, 2011-2014 წლებში მოქმედი ელმავლის მემანქანის ყოველთვიური ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, რის გამოც, გარდაცვლილი მარჩენალის მეუღლე არასრულად იღებდა და იღებს სარჩოს კუთვნილ ოდენობას, ამის გამო, მას ადგება ზიანი.

18. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იურიდიულად მართებულად არის შეფასებული, მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობდა ზიანის მიყენების შესახებ სამართლებრივი ურთიერთობიდან.

19. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებისას, დასაქმებული პირისათვის სხეულის დაზიანებით, ან ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ვნების მიყენებით, გამოწვეული ზიანი, უნდა ანაზღაურებულიყო არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით.

20. სასამართლომ აღნიშნა, რომ ს-ა პრეტენზიას ძირითადად ამყარებდა საქართველოს მთავრობის დადგენილებებზე (იხ. ამ განჩინების მე-10, მე-11 პუნქტები).

21. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩოს გაანგარიშებას, მართალია, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება არ ითვალისწინებდა, თუმცა, თავად ზიანის

ანაზღაურების მიზნიდან გამომდინარე, რომლის არსი სწორედ დაზარალებულის კომპენსირებაში მდგომარეობდა, მხედველობაში იყო მისაღები ის შემოსავალი, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა ზიანის დადგომამდე ორგანიზაციაში მუშაობისას და ზიანის დადგომის შემდგომი პერიოდი, როდესაც, შრომის უნარის შეზღუდვის გამო, დაზარალებული ვეღარ ახერხებდა მუშაობას და, ამის გამო, მას უკვე არ ჰქონდა უნარი, მიეღო შემოსავალი ხელფასის სახით. აღნიშნულის შესაბამისად, სარჩოს სახით, ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენდა, რასაც დაზარალებული იღებდა დაწესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე, შრომის უნარის დაკარგვის ხარისხთან შეფარდებით; ამასთან, ვინაიდან გარდაცვლილი მარჩენალის თანრიგის მუშაკების ხელფასი გარკვეულ პერიოდში იზრდებოდა, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია საფუძვლიანად მარჩენალდაკარგული პირის მოთხოვნა, სარჩოს გადაანგარიშებით, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

22. სასამართლომ, ასევე არ გაიზიარა, ს-ის პრეტენზია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ნორმები.

23. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფდა, რომ იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეულის დაზიანებით, ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვისური სარჩოს გადახდით, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსარჩელე მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.

24. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არსებობდა სსკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების დაკისრების ყველა წინაპირობა.

25. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ, სარჩოს გადაანგარიშების საკითხზე მსჯელობისას, მართებულად იხელმძღვანელა ზემოთ მოხმობილი ნორმებით, სსკ-ის 1006-ე მუხლით, ასევე სშკ-ის 44-ე მუხლით და სწორად შეაფასა, რომ სანარმომ არამართლზომიერად

არ გადაიანგარიშა მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩო, მე-მანქანის გაზრდილი ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, რის გამოც, სარჩენი არასრულად იღებდა სარჩოს და მას ზიანი ადგებოდა.

26. საწარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 აპრილის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

27. კასატორი უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული აქტი – საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილება და სსკ-ის 408-ე მუხლი არ ანესრიგებენ სარჩოს გადაანგარიშების წესს.

28. კასატორი უთითებს წინამდებარე განჩინების მე-10 და მე-11 პუნქტებში დასახელებულ აქტებზე და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის მოქმედ №53 დადგენილებაზე, რომელიც არ ითვალისწინებს მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩოს გადაანგარიშების წესს.

29. კასატორის განმარტებით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლი. მისი მოსაზრებით, სამოქალაქო საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ გარდაცვლილი მემანქანის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა საწარმოს ბრალით იყო გამოწვეული.

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 3 აგვისტოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის“ საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

31. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის

მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

32. საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის სამართლებრივი შეფასებისას ყურადღებას მიაქცევს, რომ საქმის მასალებით დადგენილია, ყოფილმა მემანქანემ საწარმოო ტრაგედიაში 1972 წელს, როდესაც იგი 54 წლის იყო (იხ. აქტი №6. მემანქანის დაბადების წელი – 1918) და მან 80%-ით დაჰკარგა შრომის უნარი, რის გამოც, ცნობილი იქნა უვარგისად მემანქანის პოზიციაზე. მემანქანის შრომის უნარის დაკარგვა საწარმოს ბრალით იყო გამოწვეული, რის გამოც, მას სიცოცხლეშივე დაენიშნა სხვაობა ხელფასსა და პენსიას შორის. მარჩენალი გარდაიცვალა 1990 წელს, 72 წლის წლის ასაკში. მოსარჩელეს მოპასუხე ყოველთვიურად უხდის სარჩოს 192.81 ლარს და ამ ფაქტზე არ დავობენ მხარეები. სარჩოს მიმღების სასარჩელო მოთხოვნა ეხება, მოქმედი მემანქანის ყოველთვიური ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშებას, რადგან 2011-2014 წლებში რამდენჯერმე გაიზარდა მემანქანის ხელფასი და, მომატებული ხელფასის მიხედვით, მიუღებელი სარჩოს გამო, მას ადგება ზიანი.

33. საკასაციო სასამართლო კვლევისა და შეფასების საგანია სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული, გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლობიერება. მოხმობილი ნორმით დადგენილია: „დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალეობდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო“. დასახელებულ ნორმასა და წინამდებარე განჩინების 32-ე პუნქტზე მითითებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ როდემდეა ძალაში რჩენის ვალდებულება, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა მარჩენლადაკარგული მოსარჩელისათვის მოქმედი მემანქანის ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

34. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზ-

ლაურების მავალდებულებელი გარემოება. განსახილველ დავაში, 1972 წელს დადგა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, როდესაც, საწარმოს ბრალით, მიღებული ტრავმის შედეგად, მისმა მემანქანემ, 54 წლის ასაკში დაკარგა შრომის უნარი 80%-ით და ამის გამო ველარ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ მემანქანე იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა. ამ ეტაპზე, საკასაციო სასამართლო აღარ ავითარებს მსჯელობას, გარკვეული კატეგორიის მუშაკთა შესაძლო ასაკობრივ შეზღუდვაზე, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ამ ფაქტზე შედავება კასატორს არ წარმოუდგენია სასამართლო განხილვის არცერთ ეტაპზე.

35. კასატორს აღიარებული აქვს ვალდებულება, მის მიერ მიყენებული ტრავმის გამო, მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდაზე, რასაც ასრულებს კიდევ, აღნიშნულ ფაქტზე მხარეები არ დავობენ. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა, სარჩენის სასარგებლოდ, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, მოქმედი მემანქანის ხელფასის ცვლილების საფუძველზე, რადგან მარჩენალი გარდაიცვალა 1990 წელს, 72 წლის ასაკში. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, როგორც უკვე აღინიშნა, იგი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე და სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები. სსკ-ის 1006 მუხლის საფუძველზე, საწარმომ – ზიანის მიმყენებელმა – სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე, საწარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის.

36. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდებოდა მარჩენალის სიცოცხლეში, როდესაც ამ უკანასკნელმა, საწარმოს ბრალით დაკარგა შრომის უნარი, და მისი გარდაცვალების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, რომ 72 წლის ასაკში, ელმავლის მემანქანედ ვერ იმუშავებდა პირი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მარ-

ჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, მოცემულ შემთხვევაში, მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება სანარმოს, თუმცა, 2011-2014 წლებში გაზრდილ ხელფასებზე მისადაგებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული, რის გამოც, უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო განაცხადი და გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

37. საკასაციო სასამართლო, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, არ აკმაყოფილებს სარჩენის პრეტენზიას, 2011-2014 წლებში ელმავლის მოქმედი მემანქანებისათვის გაზრდილი ხელფასების მიხედვით, სარჩოს გადაუანგარიშებლობის გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და უარყოფს სასარჩელო მოთხოვნას.

38. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველ, მეორე, მესამე ნაწილებზე და 49-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით, საკასაციო სასამართლო ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გ. ლ-ი გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის  
გარდაცვალებისას**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1216-1141-2015

3 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სანარმოო ტრავმით მარჩენალის დაკარგვის  
შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სს „ს“ (შემდეგში – სანარმო, მოპასუხე ან კასატორი) სად-  
გურ ხაშურში, მთავარ კონდუქტორად მუშაობის დროს, სამსა-  
ხურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მ. ბ-ის (შემდეგში მო-  
სარჩელე, სარჩენი ან მარჩენალის შვილი) მამა, თ. ბ-ე (შემდეგ-  
ში – ყოფილი მთავარი კონდუქტორი ან მარჩენალი) 1... წლის 4  
მარტს, სანარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად  
გადაიცვალა.

2. სანარმოს ვალდებულება აღიარებული აქვს. მარჩენალის  
დაკარგვის გამო, სანარმომ გარდაცვლილის ოჯახის ორ წევრს  
– მეუღლეს – მ. ბ-ს და შვილს დაუნიშნა პენსია, გარდაცვლილი  
მარჩენალის საშუალო თვიური ხელფასის 2/3-ის ოდენობით,  
1981 წლის 1 აპრილიდან (იხ. ხაშურის რაიონული სასამართლოს  
გადაწყვეტილება).

3. წლების განმავლობაში, სანარმო გარდაცვლილი მარჩენა-  
ლის შვილსა და მის მეუღლეს (ამ უკანასკნელის გარდაცვალე-  
ბამდე), ყოველთვიურად უხდიდა დანიშნულ სარჩოს.

4. ამ განჩინების მე-2 პუნქტში მითითებული გადაწყვეტი-  
ლების საფუძველზე, სანარმო სარჩენს ყოველთვიურად უხდის  
92,95 ლარს.

5. სანარმოში მომუშავე მატარებლის შემადგენლის (იგივე –  
ყოფილი კონდუქტორის თანამდებობა) ხელფასი 2011 წლის 1  
მარტიდან 2012 წლის 1 ივლისამდე განისაზღვრა 750 ლარით,  
ხოლო 2013 წლის 1 მარტიდან დღემდე, ღამის საათების გარეშე  
– 750 ლარით (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დად-

გენილი ფაქტები).

6. გარდაცვლილი მარჩენალის შვილმა, 2014 წლის 30 სექტემბერს სარჩელი აღძრა სანარმოს წინააღმდეგ და მოითხოვა, ამ უკანასკნელს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაკისრებოდა 2011 წლის ივნისიდან 2014 წლის ივნისამდე, ბოლო სამი წლის მიუღებელი სარჩოსათვის – 9557 ლარი, ხოლო 2014 წლის სექტემბრიდან – ყოველთვიურად 401 ლარი.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, სარჩენის სასარგებლოდ, სანარმოს დაეკისრა:

1) მარჩენალის დაკარგვის გამო, ზიანის ასანაზღაურებლად, მიუღებელი სარჩოს – 4 960.80 (ოთხი ათას ცხრაასსამოცი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ერთჯერადად გადახდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით;

2) 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ყოველთვიურად, სარჩოს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის გადახდა, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით.

8. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 316-ე-317-ე, 408-ე, 411-ე, 992-ე, 1006-ე მუხლებზე; საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში სშკ) 155-ე მუხლზე (2006 წლის 4 ივლისამდე მოქმედი რედაქციით); ამავე კოდექსის 44-ე მუხლზე (სარჩელის აღძვრის მომენტიდან მოქმედი რედაქციით); საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლებზე; საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე და მიუთითა, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი დარღვეული, შეზღუდული, წართმეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა-აღდგენისათვის მიმართოს სასამართლოს. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

9. მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩენის სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.1. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ის, რომ მოსარ-



ჩელის შრომის უნარის დაკარგვა გამოწვეული იყო სანარმოს ბრალეული ქმედებით, გარდა ამისა, შესაბამისი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი სარჩოს – 4960.80 ლარის ერთჯერადად გადახდისა და ყოველთვიური სარჩოს – 250 ლარის გადახდის თაობაზე. შესაბამისად, სარჩენის მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო და იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელემ ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები;

9.2. სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმები არ აწესრიგებენ სარჩოს დაანგარიშების წესს. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დამსაქმებელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით და შრომის კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და, თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ვადა“. სანარმოს მითითებით, აღნიშნული წესი არეგულირებს ზიანის ანაზღაურების წესს მხოლოდ დამსაქმებლის ბრალის შემთხვევაში და არა უკვე დაწინაურებული სარჩოს გადაანგარიშებას;

9.3. გარდაცვლილი მარჩენალის შვილის მოთხოვნას, არსებული მატარებლის შემადგენლის ხელფასის გათვალისწინებით, სარჩოს გაზრდის თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ 38-ე პუნქტი შეეხებოდა, მარჩენალის გარდაცვალების გამო, ხელფასის ცვლილებასთან ერთად, დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებას. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის №923 ბრძანებულებით, 38-ე პუნქტში შევიდა ცვლილება და დანიშნული სარჩო, ხელფასის ცვლილებასთან ერთად, გადაანგარიშებას აღარ დაექვემდებარა, რის გამოც, მოსარჩელის მოთხოვნა მოქმედი მუშაკის ხელფასიდან მისთვის სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53-ე მოქმედი დადგენილება არ ითვალისწინებს მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩოს გადაანგარიშების წესს,

აღნიშნული აქტი უბრალოდ ხაზს უსვამს ასეთი სარჩოს ანაზღაურებას და ყოველივე ეს მიუთითებს, რომ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი სარჩენის სარჩელის დასაკმაყოფილებლად;

9.4. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელზეც საქალაქო სასამართლო უთითებს, სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძველად, ვრცელდება სახელშეკრულებო ან სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე, რაც არ შეიძლება გავრცელდეს, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, ზიანის ანაზღაურებაზე;

9.5. საქალაქო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე მუხლი.

10. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანი იყო არა სარჩოს დაწესება, არამედ უკვე დაწესებული სარჩოს გადაანგარიშება. სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის ბრალეულობის საკითხის განხილვა ხდებოდა სარჩოს დაწესებისას და არა მისი დაანგარიშებისას.

12. სასამართლომ, წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ საწარმოს არ გადაუანგარიშებია სარჩენის მიერ მისაღები გაზრდილი სარჩო, 2011-2014 წლებში მოქმედი მატარებლის შემადგენლის ყოველთვიური ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, რის გამოც, გარდაცვლილი მარჩენალის შვილი არასრულად იღებდა და იღებს სარჩოს კუთვნილ ოდენობას, ამის გამო, მას ადგება ზიანი.

13. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იურიდიულად მართებულად იყო შეფასებული, მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობდა ზიანის მიყენების შესახებ სამართლებრივი ურთიერთობიდან.

14. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებისას, დასაქმებული პირისათვის სხეულის დაზიანებით, ან ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ვნების მიყენებით, გამოწვეული ზიან-

ნი, უნდა ანაზღაურებულიყო არასახელმეკრულებო (დელიქტუ-რი) პასუხისმგებლობის ფორმით.

15. სასამართლომ აღნიშნა, რომ საწარმო პრეტენზიას ძირითადად ამყარებდა საქართველოს მთავრობის დადგენილებებზე (იხ. ამ განჩინების 9.2.-9.3. ქვეპუნქტები).

16. სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოს გაანგარიშებას, მართალია, მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილება არ ითვალისწინებდა, თუმცა, თავად ზიანის ანაზღაურების მიზნიდან გამომდინარე, რომლის არსი სწორედ დაზარალებულის კომპენსირებაში მდგომარეობს, მხედველობაში იყო მისაღები ის შემოსავალი, რომელიც დაზარალებულს გააჩნდა ზიანის დადგომამდე ორგანიზაციაში მუშაობისას და ზიანის დადგომის შემდგომი პერიოდი, როდესაც, შრომის უნარის შეზღუდვის გამო, დაზარალებული ვეღარ ახერხებდა მუშაობას და, ამის გამო, მას უკვე არ ჰქონდა უნარი, მიეღო შემოსავალი ხელფასის სახით. აღნიშნულის შესაბამისად, საწარმოს სახით, ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენდა, რასაც დაზარალებული იღებდა დანესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე, შრომის უნარის დაკარგვის ხარისხთან შეფარდებით; ამასთან, ვინაიდან გარდაცვლილი მარჩენალის თანრიგის მუშაკების ხელფასი გარკვეულ პერიოდში იზრდებოდა, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია საფუძვლიანად მარჩენალდაკარგული პირის მოთხოვნა, საწარმოს გადაანგარიშებით, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

17. სასამართლომ, ასევე არ გაიზიარა, მოპასუხის პრეტენზია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

18. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფდა, რომ იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეულის დაზიანებით, ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად, დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური საწარმოს გადახდით, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსარჩელე მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.

19. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არსებობდა

სსკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების დაკისრების ყველა წინაპირობა.

20. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ, სარჩოს გადაანგარიშების საკითხზე მსჯელობისას, მართებულად იხელმძღვანელა ზემოთ მოხმობილი ნორმებით, სსკ-ის 1006-ე მუხლით, ასევე სშკ-ის 44-ე მუხლით და სწორად შეაფასა, რომ სანარმომ არამართლზომიერად არ გადაიანგარიშა მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩო, მატარებლის შემადგენლის გაზრდილი ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, რის გამოც, სარჩენი არასრულად იღებდა სარჩოს და მას ზიანი ადგებოდა.

21. სანარმომ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინება, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

21.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული აქტი – საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილება და სსკ-ის 408-ე მუხლი არ ანესრიგებენ სარჩოს გადაანგარიშების წესს;

21.2. წინამდებარე განჩინების 9.2.-9.3. ქვეპუნქტებში დასახელებული აქტები და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის მოქმედი №53 დადგენილება, არ ითვალისწინებს მარჩენალდაკარგული პირისათვის სარჩოს გადაანგარიშების წესს;

21.3. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლი. კასატორის მოსაზრებით, სამოქალაქო საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ გარდაცვლილი მემანქანის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა სანარმოს ბრალით იყო გამოწვეული.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 5 თებერვლის განჩინებით, დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის“ საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის მასალების, მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი სამართლებრივი მო-

ტივაციით:

23. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

24. საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის სამართლებრივი შეფასებისას ყურადღებას მიაქცევს, რომ საქმის მასალებით დადგენილია, უბედური შემთხვევა მოხდა 1... წლის მარტში, როდესაც მარჩენალი იყო 50 წლის (იხ. დაზარალებულის დაბადების წელი – 1...). მარჩენალი გარდაიცვალა 1... წელს, 50 წლის ასაკში. მოსარჩელეს მოპასუხე ყოველთვის უხდის სარჩოს 92.95 ლარს და ამ ფაქტზე არ დაგობენ მხარეები. სარჩოს მიმღების სასარჩელო მოთხოვნა ეხება, მოქმედი მატარებლის შემდგენელის (იგივე კონდუქტორის) ყოველთვისური ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშებას, რადგან 2011–2014 წლებში რამდენჯერმე გაიზარდა მატარებლის შემდგენელის ხელფასი და, მომატებული ხელფასის მიხედვით, მიუღებელი სარჩოს გამო, სარჩენს ადგება ზიანი.

25. საკასაციო სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია სსკ-ის 1006-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული, გაზრდილი (გადაანგარიშებული) სარჩოს დაკისრების მართლზომიერება. მოხმობილი ნორმით დადგენილია: „დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ როდემდეა ძალაში რჩენის ვალდებულება, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, კონკრეტულად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის მოქმედი მატარებლის შემდგენელის ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

26. „საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩინალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ – იხ. სუსგ №789-746-2015, 22.01.2016წ. განსახილველ დავაში, 1... წელს დადგა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, როდესაც, სანარმოს ბრალით, მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, მატარებლის შემდგენელი გარდაიცვალა 50 წლის ასაკში. „ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ მემანქანე იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა. ამ ეტაპზე, საკასაციო სასამართლო აღარ ავითარებს მსჯელობას, გარკვეული კატეგორიის მუშაკთა შესაძლო ასაკობრივ შეზღუდვაზე, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ამ ფაქტზე შედავება კასატორს არ წარმოუდგენია სასამართლო განხილვის არცერთ ეტაპზე“ – იხ. სუსგ №789-746-2015, 22.01.2016წ.

27. კასატორს აღიარებული აქვს ვალდებულება, მის მიერ მიყენებული ტრავმის გამო, მარჩინალდაკარგული მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდაზე, რასაც ასრულებს კიდევ, აღნიშნულ ფაქტზე მხარეები არ დავობენ. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა, სარჩენის სასარგებლოდ, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, მოქმედი მატარებლის შემდგენელის ხელფასის ცვლილების საფუძველზე, რადგან ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, როგორც უკვე აღინიშნა, პრეზუმირებულია, რომ მარჩინალი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე და სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები. „სსკ-ის 1006 მუხლის საფუძველზე, სანარმომ – ზიანის მიმყენებელმა – სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე, სანარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის“ – იხ. სუსგ №789-746-2015, 22.01.2016წ.

28. საკასაციო სასამართლოს მიერ ანალოგიურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით (საქმე №789-746-2015, 22.01.2016წ) შეიცვალა მანამდე არსებული სასამართლო პრაქ-

ტიკა. განსახილველ შემთხვევაში, სანარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდებოდა მარჩენალის გარდაცვალების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულე-ბელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, რომ სა-პენსიო ასაკამდე იმუშაებდა ან გარდაცვლილი მარჩენალი. სა-კასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩენისათვის ყოველ-თვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, მოცემულ შემთხვე-ვაში, მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება სანარ-მოს, თუმცა, 2011-2014 წლებში გაზრდილ ხელფასებზე მისა-დაგებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ფაქტობ-რივ და სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული, რის გამოც, უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო განაცხადი და გაუქმდეს გა-საჩივრებული განჩინება.

29. საკასაციო სასამართლო, ახალი გადაწყვეტილების მი-ღებით, არ აკმაყოფილებს სარჩენის პრეტენზიას, 2011-2014 წლებში მოქმედი მატარებლის შემდგენლისათვის გაზრდილი ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაუანგარიშებლობის გამო, მი-ყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და უარყოფს სასარ-ჩელო მოთხოვნას.

30. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველ, მეორე, მესამე ნაწილებ-ზე და 49-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით, საკასაციო სასა-მართლო ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მო-სარჩელეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. ბ-ე გაათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისა-გან;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიებელი

<b>1. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი</b>	
<b>1.1 საზიარო უფლებები</b>	
უფლება ნაყოფზე .....	3
საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას .....	17; 28
<b>1.2. უსაფუძვლო გამდიდრება</b>	
ვითომ კრედიტორისაგან მოთხოვნის საფუძვლები .....	43; 50; 75
უკან დაბრუნების მოთხოვნის ფარგლები .....	75
სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები და მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული .....	84
შეცდომით სხვისი ვალდებულების გასტუმრება .....	95
<b>2. დელიქტური ვალდებულებანი</b>	
სოლიდარული პასუხისმგებლობა	
მიყენებული ზიანისათვის .....	106
ზიანის ანაზღაურება .....	123; 130; 143
მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის .....	123
სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება .....	150
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება .....	172
ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალებისას .....	182; 191